საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

www.geworld.ge

19 - 25 ივნისი, 2019

№22 (493)

geworld@inbox.ru

## არავინ და არაფერია დავიწყებული! 11



# «ღმერთი არ გაგიწყრეთ!»

## «თითოეული პოლიციელი, პოლიტიკოსი თუ სხვა, ვინც ხელს უწყობს მამათმავლობის პროპაგანდას, ანათემას უნდა გადაეცეს!» 4




«სოდომიის პროპაგანდის დაშვებითა და არაღკვეთით თქვენს და ჩვენს შვილებს პოტენციურად გაუკუღმართებისთვის, საქართველოს კი გადაგვარება-განადგურებისთვის იმეტებთ»

## როგორ აპირებენ ჩვენი ბავშვების გახრწნას და ქვეყნის გადაგვარებას 2



## «მან შექმნა ისინი ქალად და კაცად» 3



გენდერული კუთვნილება, — ნათქვამია სახელმძღვანელოში, — განისაზღვრება არა ადამიანის, არამედ ღმერთის მიერ და ამით უნდა იხელმძღვანელონ საგანმანათლებლო ინსტიტუტებმა

## ათასობით ქართული ოჯახი დემოკრატიისა და ლიბერალიზმის სახელით ულუკმაპუროდ დატოვეს 7



## 2030 წელს საქართველოში ეთნიკური ქართველი უმცირესობაში იქნება 5






## 6 გურამ ნიკოლაიშვილი: მათთვის ჩვენ ვართ მცირე ზომისა და წონის პოლიტიკური იარაღი. დასჭირდებათ – რაღაცაში გაგვცვლიან, დაგვახურდავებენ და მორჩა...

## «რის მაქნისიღაა ეგ თქვენი მოწონებული... დოყლაპია ლიბერალობა» 18





## «ტროლები», სიძულვილი და 200 წელი 8

# ნარღვნა



16

SOS

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იუვენალური იუსტიციის წინა პლანზე წამოწევით საგანგებოდ არიან დაინტერესებულნი უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციები, ისეთები, როგორიც არის იუნისეფი, იუნესკო, საერთაშორისო განვითარების დიდი ბრიტანეთის დეპარტამენტი (DFID), HUMAN RIGHT WATCH-ი, ამერიკული, კანადური და ფრანგული უფლებადამცველი ორგანიზაციები. ისინი არ იშურებენ თანხებს და ბავშვის უფლებების კონვენციის დაცვისა და დემოკრატიის განმტკიცების მოთხოვნით ცდილობენ, პოლიტიკური ზეგავლენა იქონიონ ხელისუფლებაზე.**

# როგორ აპირებენ ჩვენი ბავშვების გახრწნას და ქვეყნის გადაგვარებას

**იუვენალური იუსტიცია ნელ-ნელა იქცა სისტემად, რომელშიც ჩამოყალიბდა სოციალური ზედამხედველობის ორგანო ოჯახში ბავშვის მდგომარეობის შესაფასებლად. ე.წ. საბავშვო იუსტიცია დგას რამდენიმე პრინციპზე: პირველი — ბავშვს აქვს ისეთივე უფლებები, როგორიც ზრდასრულს, მაგრამ ბავშვის ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობაზე არავინ ლაპარაკობს. ბავშვს შეუძლია მიმართოს ორგანოებს თავისი უფლებების დასაცავად, მათ შორის, პოლიციას ან სასამართლოს, თუ მიიჩნევს, რომ მშობლები მის უფლებებს ლახავენ. ეს ორგანოები კი ვალდებულნი არიან, შეამოწმონ, სათანადოდ თუ ასრულებენ მშობლები თავიანთ მოვალეობებს, თუმცა რას ნიშნავს მოვალეობების სათანადოდ შესრულება, განმარტებული არ არის. იუვენალური სისტემის სოციალური ზედამხედველობის ორგანოს, რომელიც სოციალური სფეროს მუშაკებისა და ფსიქოლოგებისგან შედგება, შეუძლია თავისი გადაწყვეტილების საფუძველზე ბავშვი მშობლებს ჩამოართვას, სასამართლოში გასაჩივრებას კი რამდენიმე წელი სჭირდება...**

რამდენიმე წლის წინათ ინტერნეტის წყალობით გაჩნდა სამი ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტის წაკითხვის შესაძლებლობა საერთო სახელწოდებით — **„ჰუმანისტური მანიფესტი“**. პირველი დოკუმენტი დათარიღებულია 1933 წლით, მეორე — 1973-ით, მესამე — 2000-ით. ეს დოკუმენტები ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ასახსნელად, რადგან გლობალიზმის იდეოლოგიურ პლატფორმას წარმოადგენს.

შემთხვევითი არ არის, რომ საქმეში ჩახედული ისეთი პოლიტიკოსი, როგორიც არის რეიგანის ყოფილი სპიჩრაიტერი (გამოსვლის სიტყვის შემდგენელი — გ.გ.) შემდეგში კი აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის — **პატრიკ ბიუკენენი**, ტყუილუბრალოდ არ უწოდებს ჰუმანისტებს შეთქმულებს, რომლებმაც ევროპასა და ამერიკაში დამანგრეველი რევოლუცია მოაწყვეს, ძირი გამოუთხარეს ოჯახის საფუძვლებს და კულტურულ ტრადიციებს. **„ჰუმანისტური მანიფესტი“ ღმერთისა და მისი მცნებებისადმი რწმენას გაკოტრებულად მიიჩნევს და პრეტენზიას აცხადებს მსოფლმხედველობრივ გადატრიალებაზე. აქედან გამომდინარე, ჰუმანისტებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „ახალი ადამიანის“ ჩამოყალიბებას.**

„მანიფესტის“ თავში მრავალმნიშვნელოვანი სათაურით „პლანეტური ბილი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ“ დიდი ადგილი ეთმობა აღზრდის, განათლებისა და ოჯახის საკითხებს. „მისი განხორციელება ცხოვრებაში რთული საქმე იქნება“, — მკაცრად აფრთხილებენ ჰუმანისტები. და ეს გასაკვირი არ არის, „ბილის“ ბევრი პოსტულატი ხომ პირდაპირ ეწინააღმდეგება ტრადიციულ წარმოდგენებს სიკეთესა და ბოროტებაზე — რაშიც, საკუთრივ, მდგომარეობს „ახალი ეთიკა“.

**ზნეობრივი ორიენტირების შესაცვლელად აუცილებელია, აღიკვეთოს რელიგიური ფასეულობებისა და კულტურული ტრადიციების გადაცემა თაობიდან თაობაზე. ამასთანავე, ეს უნდა გაკეთდეს მკვეთრად და სწრაფად, ვინაიდან ცვლილებების პროცესი ყოველთვის ეჯახება ინერციას, შემდეგ კი ბევრი ადამიანის წინააღმდეგობას. ამას გარდა, ფასეულობები, რომლებიც აქვს ე.წ. ერის კულტურულ ბირთვს, ძნელად ექვემდებარება ცვლილებებს. აქ რადიკალური ზომების გატარების გარეშე არაფერი გამოვა. ამ შემთხვევაში ძირითადი აქცენტი კეთდება მშობლებისგან ბავშვების მოწყვეტაზე.**

ახალი მსოფლიოს შემქმნელები ულტიმატუმის ფორმით მოითხოვენ, რომ **„მშობლებმა თავიანთი რელიგიური წარმოდგენები და მორალური ფასეულობები თავს არ უნდა მოახვიონ შვილებს“**. თანამედროვე ჰუმანიზმის იდეოლოგებს ოჯახისა და საზოგადოების ნგრევის მთავარ ხერხად სწორედ ბავშვის უფლებების დაცვის ლიბერალური გაგება აქვთ არჩეული. „ბავშვის უფლებების საერთაშორისო კონვენციაში (1989 წ.) ჩადებულია ლიბერალური იურისპრუდენციის შედარებით ახალი კონცეფცია: ბავშვების სრული ავტონომია, მათი უფლებების გათანაბრება ზრდასრულთა უფლებებთან, თუმცა საჯაროდ ამას არ აღიარებენ. **ეს კონცეფცია „მამებსა“ და „შვილებს“ შორის ურთიერთობების შეუქცევადი გაწყვეტისა და უფროსი თაობის დემორალიზაციის მაპროვოცირებელია, რათა მან დაკარგოს ნებისყოფა და წინააღმდეგობა ველარ გასწიოს. ეს ხელს უწყობს საზოგადოებაში შიშის დათესვას და თაობათა შორის მტრული დამოკიდებულების გაღვივებას. პარალელურად ხდება ნებადართულობის, დასაშვების საზღვრების გაფართოება, იცვლება ფასეულობები.**

ამასთანავე, გლობალისტების ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა მოსახლეობის რაოდენობის შემცირება ვითომდა არასაკმარისი ბუნებრივი რესურსების გამო. ამ ამოცანას კი საკმაოდ წარმატებით უმკლავდება ახალგაზრდობის კრიმინალიზაცია და ნარკოტიზაცია. და, რა თქმა უნდა, არ უნდა დაგვავიწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი მიზანი, როგორიცაა ეროვნული სახელმწიფოების სუვერენიტეტის შეზღუდვა, შემდეგ კი სრული გაუქმება.

ამისათვის „მშვენიერი ახალი მსოფლიოს“ შემოქმედნი ცდილობენ, მოაწყონ გადატრიალებები და რევოლუციები, ხელისუფლების სათავეში მოიყვანონ მარიონეტული მთავრობები, რომლებიც გაატარებენ მათთვის საჭირო პოლიტიკას, შესაბამისად, მათ, ვისაც ასეთი პერსპექტივა არ ხიბლავს (დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში ასეთები დიდი უმრავლესობაა), საწინააღმდეგო მიმართულებით უნდა იმოძრაონ.







## საზოგადოებისა და სახელმწიფოს გადაგვარება

იუვენალური იუსტიციის წინა პლანზე წამოწევით საგანგებოდ არიან დაინტერესებულნი უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციები, ისეთები, როგორიც არის იუნისეფი, იუნესკო, საერთაშორისო განვითარების დიდი ბრიტანეთის დეპარტამენტი (DFID), Human Right Watch-ი, ამერიკული, კანადური და ფრანგული უფლებადამცველი ორგანიზაციები. ისინი არ იშურებენ თანხებს და ბავშვის უფლებების კონვენციის დაცვისა და დემოკრატიის განმტკიცების საბაბით ცდილობენ, პოლიტიკური ზეგავლენა იქონიონ ხელისუფლებაზე. ამ პროცესში მონაწილეობს ერთ-ერთი დახურული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ჩართული იყო „ფერადი რევოლუციების“ ორგანიზებაში ყოფილი დსთ-ის ქვეყნების ტერიტორიაზე.

ომბუდსმენის მიერ შექმნილი სამსახურის მხრიდან მასწავლებლებისა და მშობლების წინააღმდეგ ჩივილს შედეგად შეიძლება მოჰყვეს მეამბოხეთა ჯგუფის ჩამოყალიბება. ომბუდსმენები დაკავშირებულნი არიან უფლებადამცველ სტრუქტურებთან. მათ კი, როგორც ცნობილია, ბევრი იმუშავეს „ფერადი რევოლუციების“ დროს დსთ-ის ქვეყნებში და დღესაც განაგრძობენ ამას.

**მასწავლებლებზე, მშობლებსა და მოსწავლეებზე დოსიეს შეგროვებით უფლებადამცველებისთვის ხელმისაწვდომი ხდება ადამიანის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია. ეს საშუალებას აძლევთ მათ, შექმნან პერსონალური ხასიათის მონაცემთა ბანკი (მათ შორის, სახელმწიფო მოღვაწეებზე, სამხედროებზე, უშიშროების ორგანოების თანამშრომლებზე საიდუმლო თემებზე მომუშავე მეცნიერებზე, რადგან მათი შვილებიც სწავლობენ სკოლაში და შეიძლება იყვნენ ომბუდსმენის ინტერესის ობიექტი). ცხადია, რომ ომბუდსმენთან საჩივლელად, უწინარესად, მივლენ არა პირველკასელები, არამედ მოზარდები.**

იუვენალური სამსახურების ჩარევა ოჯახის კერძო ცხოვრებაში და მით უმეტეს ბავშვების წართმევა არამარგინალი მშობლებისთვის გამოიწვევს (უკვე იწვევს!) სოციალური დაძაბულობის გაძლიერებას. გაძლიერდება დაძაბულობა რელიგიურ ნიადაგზეც. მართლმადიდებელი მშობლები აღმოჩნდებიან ტრაგიკული არჩევანის წინაშე. იუვენალური იუსტიცია ბავშვებს წააქეზებს დაარღვიონ მცნება „პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა“, ხოლო მშობლები იუვენალური კანონების მიხედვით ვერ შეძლებენ ბავშვების დაცვას ბოროტებისგან და იძულებულნი იქნებიან, დაარღვიონ ან მცნებები, ან კანონები. ისინი მომხდარში დაადანაშაულებენ (არცთუ უსაფუძვლოდ) სახელმწიფოს და გაერთიანდებიან მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ▶

**დეფორმირებული იდენტობის მქონე ადამიანების ჯგუფის მიერ გამართული სანახაობა სახიფათოა ქვეყანაში შექმნილი დემოგრაფიული ვითარებისთვისაც, იმისგან დამოუკიდებლად, როგორ იქნებიან ეს ადამიანები ჩაცმულნი — «სტრინგებში» ბუმბულებითა და ე.წ. სტრაზებით თუ კლასიკურ კოსტიუმებში. საზოგადოების მიერ არცთუ ჯანმრთელი ადამიანების ქუჩაში გამოსვლის დაშვება საზოგადოებრივ ცნობიერებაში მასშტაბურ ცვლილებებს გამოიწვევს. ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ საზოგადოება ამ პათოლოგიას იღებს, როგორც ნორმას, და მას პათოლოგიად უკვე აღარ მიიჩნევს, უფრო პირიქით — ყველა იხრება იქით, რომ ახლანდელი ნორმა ჩაითვალოს პათოლოგიად**

# SOS

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იუვენალური სამსახურების ჩარევა ოჯახის კერძო ცხოვრებაში და მით უმეტეს ბავშვების წართმევა არამარგინალი მშობლებისთვის გამოიწვევს (უკვე იწვევს!) სოციალური დაძაბულობის გაძლიერებას. გაძლიერდება დაძაბულობა რელიგიურ ნიადაგზეც. მართლმადიდებელი მშობლები აღმოჩნდებიან ტრაგიკული არჩევანის წინაშე. იუვენალური იუსტიცია ბავშვებს წააქეზებს, დაარღვიონ მცნება „პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა“, ხოლო მშობლები იუვენალური კანონების მიხედვით ვერ შეძლებენ ბავშვების დაცვას ბოროტებისგან და იძულებულნი იქნებიან, დაარღვიონ ან მცნებები, ან კანონები. ისინი მომხდარში დაადანაშაულებენ (არც თუ უსაფუძვლოდ) სახელმწიფოს და გაერთიანდებიან მის წინააღმდეგ საბრძოლველად.**

◀ იუვენალურ სისტემას მიაკუთვნებენ არა მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანოებს, არამედ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასაც. ბოლო წლების გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ასეთი ორგანიზაციები მუშაობენ უცხოური ფონდების ფულით და ყველაფერს აკეთებენ, რათა დაანგრიონ ოჯახური ურთიერთობების ტრადიციული საფუძვლები, პროპაგანდას უწევენ უსაფრთხო სექსს, ჰომოსექსუალიზმსა და ნარკომანიას. ამ ორგანიზაციებიდან ბევრი ტოტალიტარული სექტაა, რომელთა გამოვლენაც არც ისე იოლია. ეს ყველაფერი გამოიწვევს ტრადიციული კონფესიების მორწმუნეთა უკმაყოფილებას და განაწყობს მათ ხელისუფლების წინააღმდეგ.

## სოდომიტები – პათოლოგია თუ ნორმა?

მიუხედავად გამოხატული აგრესიულობისა და „წელსქვევითა“ თემაზე „ჩაციკლულობისა“, რომლის მეშვეობითაც სოდომიტები უყურებენ სამყაროს, მათ სჩვევიათ, თვალების მინაბვით გულუბრყვილოდ იკითხონ: **„და რა მოხდება, თუკი ჩვენ მხიარულ გუნდად გავივლით ქუჩაში? გვაქვს უფლება! ჩვენ ხომ არავის ვაიძულებთ მოგვბაძოს — უბრალოდ, მხოლოდ გვიყურონ“.** მოჩვენებით თავმდაბლობას „ბიჭებისა, რომლებმაც თავი წარმოიდგინეს გოგონებად“ და „გოგონებისა, რომლებმაც თავი წარმოიდგინეს ბიჭებად“, ემატება კონსტიტუციის მუხლი, რომელიც იცავს მოქალაქეთა უფლებებს, აგრეთვე, „ადამიანის უფლებების კონვენციის“ მე-11 მუხლი შეკრების თავისუფლების შესახებ.

**საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლში (შეკრების თავისუფლება) ნათქვამია: „1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო, ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება...**

**3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების შეწყვეტა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო“.**

„ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კონვენციაშიც“, რომლის ციტირებაც ძალიან უყვართ სოდომიტებს, ნათქვამია: **„ამ უფლებების განხორციელება არ ექვემდებარება შეზღუდვებს, გარდა იმისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებისთვის, არეულობებისა და დანაშაულების თავიდან აცილების მიზნით, ჯანმრთელობისა და ზნეობრიობის დაცვის ან სხვა პირების უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.**

დეფორმირებული იდენტობის მქონე ადამიანების ჯგუფის მიერ გამართული სანახაობა სახიფათოა ქვეყანაში შექმნილი დემოგრაფიული ვითარებისთვისაც, იმისგან დამოუკიდებლად, როგორ იქნებიან ეს ადამიანები ჩაცმულნი — „სტრინგებში“ ბუმბულებითა და ე.წ. სტრაზებით თუ კლასიკურ კოსტიუმებში. საზოგადოების მიერ არცთუ ჯანმრთელი ადამიანების ქუჩაში გამოსვლის დაშვება საზოგადოებრივ ცნობიერებაში მასშტაბურ ცვლილებებს გამოიწვევს. ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ საზოგადოება ამ პათოლოგიას იღებს, როგორც ნორმას, და მას პათოლოგიად უკვე აღარ მიიჩნევს, უფრო პირიქით — ყველა იხრება იქით, რომ ნორმა ჩაითვალოს პათოლოგიად. ყველა საჯარო აქციას, რომელიც თავისი ანომალიურობით ყურადღებას იქცევს, მით უმეტეს დაკავშირებულს ქვენა გრძნობებთან, აქვს არაჯანსაღი ნიადაგი. ცნობილი მეცნიერების, პროფესიონალი სექსოლოგების აზრით, ჰომოსექსუალიზმი სოციალურად განპირობებული დაავადებაა, სოციალურად გადამდებია და, რაც მეტია დამახინჯებული ქცევების (მეცნიერულად — „პერვერსიის“) მაგალითი (ცუდი შეფასებებითაც კი) და მოზარდი თაობა ნახავს მათ ქუჩაში, მით მეტი შანსი ექნებათ მათ, წავიდნენ დამახინჯებული იდენტურობის ჩამოყალიბების გზით, თავგზა აებნეთ თავიანთ თავზე წარმოდგენებში და უკვე ჩამოყალიბებული ჰომოსექსუალებისა და პედოფილებისთვის სასურველ ნადავლად იქცნენ.





**ცნობილი მეცნიერების, პროფესიონალი სექსოლოგების აზრით, ჰომოსექუალიზმი სოციალურად განპირობებული დაავადებაა, სოციალურად გადამდებია, და რაც მეტია დამახინჯებული ქცევების (მეცნიერულად — «პერვერსიის») მაგალითი (ცუდი შეფასებებითაც კი) და მოზარდი თაობა ნახავს მათ ქუჩაში, მით მეტი შანსი ექნება, რომ ახალგაზრდები წავლენ დამახინჯებული იდენტურობის ჩამოყალიბების გზით, თავგზა აებნევათ თავიანთ თავზე წარმოდგენებში და უკვე ჩამოყალიბებული ჰომოსექსუალებისა და პედოფილებისთვის სასურველ ნადავლად იქცევიან**

დასავლეთი მიესალმება ახალგაზრდების გამრყვნელი პროექტების დაფინანსებას. მანკიერების მეშვეობით ხდება მათი ადეპტების „გაადამიანურება“ და ამაზე ყველაზე უკეთ ლაპარაკობენ თვითონ ისინი — „გეიპრაიდი“, „პრაიდი“, როგორც ეძახიან ისინი თავიანთ პირმშოს, ნიშნავს „ხროვას“ (ზოოლოგიურად, ლომების ხროვას, გუნდს). აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. თავიანთი ანტიქრისტიანული, უფლის მგმობელი ხასიათი კი გამოავლინეს გადარჩენის, ხსნის სიმბოლოს — ცისარტყელას — უცერემონიოდ მითვისებაში.

* * *

**„ჩვენ ვდგავართ განსაცდელის წინაშე, მრავალი განსაცდელი ხდება ადამიანის ცხოვრებაში. განსაკუთრებით ახალგაზრდობა დიდი საფრთხეების წინაშე დგას, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი დაიცავს, დაიფარავს, გადაარჩენს საქართველოს“,** — ბრძანა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია მეორემ** სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**
**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

# «მან შექმნა ისინი ქალად და კაცად»



**ლგბტ პირების უფლებათა დამცველებმა დაგმეს კათოლიკური ეკლესიის კონგრეგაციის (რომის კურიის ქვედანაყოფი) მოხსენება, რომელშიც ვატიკანმა მწვავედ გააკრიტიკა გენდერული იდენტობის კონცეფცია. ეს დოკუმენტი არის სახელმძღვანელო მათთვის, ვინც მუშაობს ბავშვებთან. მოხსენება შედგება 30 გვერდისგან და იწოდება ასე: „მან შექმნა ისინი ქალად და კაცად“. მოხსენებაში ნათქვამია, რომ თანამედროვე გენდერული თეორიები მოწყვეტილია ბუნებას და ამის ნაცვლად აბსოლუტური არჩევანი კეთდება მხოლოდ და მხოლოდ გრძნობების საფუძველზე.**

**დებორა ლიუბოვი,** NBC-ის ანალიტიკოსი: **„ეს დოკუმენტი დიდ ინტერესს იწვევს. მასში ნათლად არის ნათქვამი, რას მიიჩნევს ვატიკანი მთავარ პრობლემად ბიოლოგიური განსხვავების გაუქმებაში. ეს არის დარტყმა ოჯახურ ფასეულობებზე. მოხსენებაში გამოყენებულია საკმაოდ უხეში ენა, როდესაც ლაპარაკია ლგბტ თემის წარმომადგენლებზე. ნებისმიერ შემთხვევაში ეს მოხსენება დიდ იმედგაცრუებად იქცა ბევრი ადამიანისთვის, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ მიდგომა იქნებოდა უფრო ინკლუზიური. პაპი ფრანცისკე ყურადღებას ამჟღავნებდა ჰომოსექსუალების მიმართ, ლაპარაკობდა ყველა ადამიანის სიყვარულზე და პირადად ხვდებოდა განკიცხულთ“.**

მოხსენება გამოქვეყნდა იმ მომენტში, როდესაც გეები, ლესბოსელები, ბისექსუალები, ტრანსსექსუალები აღნიშნავენ „სიამაყის თვეს“. მათი წარმომადგენლები ამბობენ, რომ ეს არის სიძულვილისა და ფანატიზმის წამახალისებელი დოკუმენტი.

გენდერული კუთვნილება, — ნათქვამია სახელმძღვანელოში, — **განისაზღვრება არა ადამიანის, არამედ ღმერთის მიერ და ამით უნდა იხელმძღვანელონ საგანმანათლებლო ინსტიტუტებმა. ამასთანავე, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ბავშვებმა და ახალგაზრდებმა პატივი უნდა სცენ ყველა ადამიანს და არავინ უნდა იტანჯებოდეს დაცინვისა და დისკრიმინაციისგან.**

**გენდერული კუთვნილება, — ნათქვამია სახელმძღვანელოში, — განისაზღვრება არა ადამიანის, არამედ ღმერთის მიერ და ამით უნდა იხელმძღვანელონ საგანმანათლებლო ინსტიტუტებმა**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არავის ჰქონდეს იმედი, რომ, დღეს თუ დაგვარბევენ, შეგვეშინდება და ხვალ აღარ გამოვალთ გასაპროტესტებლად. აღარ არის შიშის დრო. მათ თავიანთი ამორალურობით უკვე მიაღწიეს იმას, რომ ხალხს არა რეპრესიების, არამედ დუმილისა და ინერტულობის ეშინია. ზუსტად ეს არის მათი აღსასრული და ვერაფერი ვერ შეაჩერებს — ვერც პოლიცია, სპეცრაზმი, ნიჩაბი და ხელკეტი... მათი ძალადობა სამარცხვინოდ დასრულდება. მათი ლიბერალური ტირანია სამუდამოდ წარსულს ჩაბარდება“.**

### მამა გიორგი (რაზმაძე):

# ღმერთი არ გაგიწყრეთ!

**ევროკავშირთან ასოცირებით ნაკისრი საკანონმდებლო ვალდებულებების კვალდაკვალ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უახლოეს მომავალში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას მკაცრ „საკანონმდებლო“ ჩარჩოებში მოაქცევს. კანონპროექტი, რომელზეც კომისიის წევრებთან ერთად უცხოეთიდან დაფინანსებული სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და „უფლებადამცველები“ აქტიურად მუშაობდნენ, მედიაში „სიძულვილის ენის“ აკრძალვასა და უმცირესობებისადმი „ნეგატიური განწყობების გამღვივებელი ინფორმაციის“ შეზღუდვას გულისხმობს.**

როგორც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლები განმარტავენ, საკანონმდებლო ცვლილებაზე მხოლოდ ადგილობრივი „ექსპერტების“ მუშაობა საკმარისი არ არის და მეტი სანდოობისთვის აუცილებელია, პროცესში „საერთაშორისო პარტნიორებიც“ ჩაერთონ. მათივე ცნობით, განხილვების ფარგლებში რამდენიმე ტრენინგი ევროპის საბჭოს მიერ მოწვეულმა მედიაექსპერტებმა უკვე ჩაატარეს და უწყების თანამშრომლებს დასავლეთის გამოცდილება გააცნეს. პროცესში აქტიურად მონაწილეობდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიც, რომლის უშუალო დაფინანსებითაც ცვლილებების პაკეტზე, კომისიის წევრებთან ერთად, რამდენიმე საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელიც მუშაობდა. ცნობისთვის: ევროკავშირის რიგ ქვეყნებში, სადაც „სიძულვილის ენის“ ასაკრძალავად მკაცრი საკანონმდებლო რეგულაციები მიიღეს, კონსერვატიულ მედიას, მათ შორის, ანტილიბერალურ გვერდებს სოციალურ ქსელებში, პრობლემები შეექმნა. მოიმატა იმ შემთხვევების რაოდენობამ, როცა სასამართლომ ამა თუ იმ საინფორმაციო საშუალების მიმართ „ლიბერალურ“ სტანდარტებთან შეუსაბამო ლექსიკისა თუ ტერმინოლოგიის გამოყენების გამო გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. შედეგად უკიდურესად შეიზღუდა იმ მედიასაშუალებების მოქმედების არეალი, რომლებიც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის რეალური ინფორმაციის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. მეტიც, ზოგიერთ მათგანს (ძირითადად ინტერნეტგვერდებს) საერთოდ აეკრძალა საქმიანობა აბსურდული მიზეზებით...

როგორც ჩანს, ზემოაღნიშნული ცვლილება საქართველოშიც იმ მიზანს ემსახურება, რომ კონსერვატიული საინფორმაციო საშუალებების შეზღუდვის ხარჯზე „ლიბერალურ“ პროპაგანდას მედიასივრცეში კონკურენტი არ ჰყავდეს...

**რას მოიტანს ეს ცვლილება და რა ძალები დგას დღეს ამ პროცესის უკან? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია უცხოეთიდან დაფინანსებულ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად მედიაში „სიძულვილის ენის“ ასაკრძალავად რეგულაციების მიღებას გეგმავს, რომელიც, ცხადია, გარკვეულ შეზღუდვებსა და სადამსჯელო მოქმედებებს გულისხმობს განსხვავებული აზრისადმი. კონკრეტულად რა შეზღუდვებზე შეიძლება იყოს საუბარი? რა დგას რეალურად ამ ყველაფრის უკან?**

— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბოლო პერიოდში ლიბერალურმა ტირანიამ განსაკუთრებით მწვავე და რეპრესიული ხასიათი მიიღო და ადრე თუ მეტ-ნაკლებად მაინც ინარჩუნებდა დემოკრატიულობის ფასადურ სახეს, ახლა უკვე განსხვავებული აზრის პირდაპირ დევნაზე გადავიდნენ. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რას გულისხმობს ეს ცვლილება. ცხადია, ეს არის კიდევ ერთი მცდელობა, რომ ადამიანებს, რომელთა ცნობიერებასაც ამდენი ხნის განმავლობაში ვერაფერს „უხერხებს“ 24-საათიანი ლიბერალური პროპაგანდა, ნაჯახის პრინციპით მიადგნენ, რათა წაართვან ლაპარაკის, აზროვნების უფლება. დარწმუნებული ვარ, რომ პირველ რიგში ეს ცვლილება მიმართულია ეკლესიის, სამღვდელოების წინააღმდეგ. ეს არის ღვთის სიტყვის საწინააღმდეგო კამპანია და ჩვენ ვნახავთ, რომ მალე ეს კამპანია საშინელ რეპრესიებში გადაიზრდება.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— მაგალითად, თუ პატრიარქი ან ნებისმიერი სხვა სასულიერო პირი ქადაგებისას იტყვის, რომ მამათმავლობა უმძიმესი ცოდვაა და ამ ცოდვით შეპყრობილი ადამიანი სინანულს უნდა მიეცეს, ეს შეფასდება „სიძულვილის ენად“, ოღონდ არა მხოლოდ შეფასდება, დანაშაულის კვალიფიკაციაც მიენიჭება და დაწესდება ჯარიმები. ეს პროცესები ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის იქით, რომ ყველაფერი, რაც დასავლური „ნეოლიბერალური“ დღის წესრიგისთვის ხელისშემშლელია, გაანადგურონ. თუმცა მე არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: **ჩვენი ქვეყნის უპირველესი მტერი დღეს არის ამერიკის შეერთებული შტატები, რასაკვირველია, გავლენიან პოლიტიკურ წრეებს ვგულისხმობ, და ევროკავშირი.**



**«თითოეული პოლიციელი, პოლიტიკოსი თუ სხვა, ვინც ხელს უწყობს მამათმავლობის პროპაგანდას, ანათემას უნდა გადაეცეს!»**

რაც შეეხება ჩვენს ხელისუფლებას, გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ **დღეს საქართველოს ხელისუფლება არ ჰყავს, საქართველოს ჰყავს ქართველი ხალხის მტრებისგან დაკომპლექტებული კრიმინალური სინდიკატი, რომელიც მზად არის ნიჩბებით, ხელკეტებით, ტყვიითა და სხვა მსგავსი საშუალებებით დაუპირისპირდეს მოსახლეობას, ოღონდ კი უცხოეთიდან დაფინანსებულ ვიღაც გაურკვეველი სქესის არსებებს მამათმავლობის ზეიმი ჩაატარებინოს.** მაგრამ ყველამ და მათ შორის იმ ადამიანებმაც, რომლებიც ახლა იმ რაღაც რეგულაციებზე მუშაობენ, უნდა იცოდნენ ერთი რამ: ნებისმიერი კანონი, ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება თუ რეგულაცია, რომელიც ეწინააღმდეგება ერის ტრადიციულ ფასეულობებსა და კულტურას, ყოველთვის დარჩება ფარატინა ქაღალდად და ხალხი მას არ დაემორჩილება. ვინმეს თუ ჰგონია, რომ ჩუმად მიიღებენ ამ ცვლილებებს და მერე უკვე დამტკიცებული კანონებით დაზაფრავენ მოსახლეობას, ძალიან ცდება. ვერ გააჩუმებენ ვერავის. რაც უფრო რეპრესიული იქნება მათი პოლიტიკა, მით მეტ უკმაყოფილებასა და პროტესტის წამლეკავ ტალღებს მიიღებენ. ეს ერთი და მეორე — **ამ სოციალურ ქსელებს რომ ბლოკავენ და ადამიანებს თვალში ნაცარს აყრიან, რა ჰგონიათ, ეს უშველით?!** რაც მეტად შეეცდებიან თავისუფალი სიტყვის დაბლოკვას, მით მეტი ხალხი გამოვა ქუჩაში. ამას ვერ შეაჩერებენ, მით უმეტეს, ძალადობით, იმიტომ, რომ „ლიბერალური“ ჰეგემონია დასასრულს უახლოვდება... აქვე მინდა **ვისარგებლო შემთხვევით და გამოვეხმაურო საფრანგეთის ელჩს საქართველოში, რომელმაც 17 მაისს განაცხადა, რომ არ აინტერესებს ჩვენი ფასეულობები, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს დასავლეთთან აღებული ვალდებულებაო. ხელისუფლებას ვალდებულებები, პირველ რიგში, აღებული აქვს ქართველ ხალხთან და ქართველი ხალხის არჩევანი არ არის გარყვნილება. ქართველმა ხალხმა არჩევანი გააკეთა სამართლიანობაზე, მაგრამ სულ რაღაც ექვს წელიწადში ამ უნიათო ხელისუფლებამ იმდენი მოახერხა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ახლა ციხეში უნდა ისხდნენ, მორალს გვიკითხავენ და მოძალადეებს გვეძახიან... აი, ეს არის მწარე სიმართლე, ბატონო ელჩო...**

**— ამ პროცესების უკან გავლენიანი დასავლური ინსტიტუტები დგანან და ისინი კოლოსალურ თანხებს ხარჯავენ დასახული მიზნების მისაღწევად. მაგალითად, „სიძულვილის ენის“ ასაკრძალავ კანონპროექტს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი უწევს ფინანსურ დახმარებას... რა საშუალებებით შეიძლება, საზოგადოება წინ აღუდგეს ამ ყველაფერს?**

— ვფიქრობ, საზოგადოება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ცალკეული ანტისახელმწიფოებრივი ლიბერალური გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლით, იმიტომ, რომ ეს შეიძლება სატყუარა აღმოჩნდეს. მიზანი უნდა იყოს ერთი — ძირეული პოლიტიკური ცვლილებები. ის კი არა, რომ ერთი სახე მეორემ შეცვალოს, არამედ ფუნდამენტური იდეოლოგიური ცვლილებები უნდა განხორციელდეს...

**— არის კი მზად ამისთვის საზოგადოება?**

— ამ დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა დამარწმუნა, რომ საზოგადოებაში ძალიან დიდი უკმაყოფილებაა დაგუბებული, რაც, ჩემი აზრით, მალე გადმოხეთქავს. რაც შეეხება ხელისუფლებას, ამას წინათ ამერიკიდან ახალჩამოსული პრემიერი მამუკა ბახტაძე დაიმუქრა ერთ-ერთ გამოსვლაში, რომ ყველა მოძალადეს ციხეში მივაბრძანებთო... ბოდიში და, ფეხებს ვერ მოჭამთ ვერავის! **შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელსაც იმის თავი არ აქვს, რომ უმძიმესი დანაშაული აღკვეთოს და დასჯის ნაცვლად ბოდიშებს უხდის ნარკოტიკების გამსაღებლებს, ქართველი ხალხის ნებას წინ ვერ აღუდგება. აღუდგება და მიიღებენ სამოქალაქო ცუნამის...** ისე, თუ ასეთი დიდი წარმოდგენა აქვს პოლიციას თავის თავზე, კვირიკაშვილს ნარკომანებმა და ნარკობარიგებმა ბოთლები და კვერცხები რომ დაუშინეს, ეს არ იყო ადამიანის უფლების დარღვევა?! და **შინაგან საქმეთა მინისტრი გახარია, იმის მაგივრად, რომ დამნაშავეები დაეკავებინა, ამ ხროვას ეახლა და ბოდიშები მოუხადა, იმიტომ, რომ ასეთი დავალება ჰქონდა ამერიკელი „პარტნიორებისგან...“**

მინდა მივმართო იმ პოლიციელებს, რომლებიც უსიტყვოდ ასრულებენ ყველა სამარცხვინო დავალებას იმ გამართლებით, რომ თურმე სამსახურია და რა ქნან, ოჯახები ჰყავთ, სოდომიის პროპაგანდის წინააღმდეგ გამოსულ ახალგაზრდა ბიჭებს აკავებენ: ღმერთი არ გაგიწყრეთ და არ შეეხოთ არც ერთ ახალგაზრდას, რომელიც გარყვნილებას წინ აღუდგება, თორემ იმ ზნედაცემულ ადამიანებთან და მათ სამარცხვინო ხელისუფლებასთან ერთად წაილეკებით! მხოლოდ თქვენ არ გაქვთ სამსახური და მხოლოდ თქვენ არ გყავთ ოჯახები. რანაირი ოჯახის პატრონები იქნებით, როცა თქვენს შვილებს მისაბაძ მაგალითად (მისაბაძ მაგალითად ჯერჯერობით, თორემ მერე პირდაპირ ძალადობაზე გადავლენ) მამათმავლებს დაუყენებენ, ამაზე არ გიფიქრიათ? სოდომიის პროპაგანდის დაშვებითა და არაღკვეთით თქვენს და ჩვენს შვილებს პოტენციურად გაუკუღმართებისთვის, საქართველოს კი გადაგვარება-განადგურებისთვის იმეტებთ, ამაზე იფიქრეთ თქვენც და სხვებმაც. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათ ღამის აქციაზე რვა შვილის მამა დააკავეს, რომელსაც ძალიან უჭირს ფინანსურად და სრულიად უმიზეზოდ 700 ლარით დააჯარიმეს. და რამდენია კიდევ ასეთი?.. ეკლესია ასეთ საკითხებში პრინციპული უნდა იყოს...

**— ეკლესიის პრინციპულობაში რას გულისხმობთ?**

— თითოეული პოლიციელი, პოლიტიკოსი თუ სხვა ვინმე, ვინც ხელს უწყობს მამათმავლობის პროპაგანდას და უპირისპირდება ამ პროპაგანდის წინააღმდეგ გამოსულ ხალხს, ანათემას უნდა გადაეცეს. ნებსით თუ უნებლიეთ, ისინი არიან უცხო ქვეყნის აგენტები, ქართველებისა და საქართველოს მტრები, ამიტომ მათი და მათი შთამომავლების ხსენება უნდა ამოიძირკვოს ქართული ცნობიერებიდან.

**— ამ დღეებში ათიათასობით მოქალაქე გამოვიდა ქუჩაში, თუმცა, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ძირეული ცვლილებებისთვის გაცილებით მეტია საჭირო. გამოვა ხალხი იმ რეპრესიების შემდეგ, რაც ვიხილეთ?**

— ერთ რამეში ვარ დარწმუნებული: ნებისმიერი რეპრესია, დევნა და წნეხი, რომელიც მიმართულია ერისა და ქვეყნის წინააღმდეგ, უმცირესობის მიერ უმრავლესობის დასატერორებლად, მხოლოდ ახალი მუხტია, რომელიც თითოეულ მოქალაქეს აძლიერებს; ამიტომ არავის არ ჰქონდეს იმედი, რომ, დღეს თუ დაგვარბევენ, შეგვეშინდება და ხვალ აღარ გამოვალთ გასაპროტესტებლად. აღარ არის შიშის დრო. მათ თავიანთი გარყვნილებით უკვე მიაღწიეს იმას, რომ ხალხს არა რეპრესიების, არამედ დუმილისა და ინერტულობის ეშინია. ზუსტად ეს არის მათი აღსასრული და ვერაფერი ვერ შეაჩერებს — ვერც პოლიცია, სპეცრაზმი, ნიჩაბი და ხელკეტი... **მათი ძალადობა სამარცხვინოდ დასრულდება. მათი ლიბერალური ტირანია სამუდამოდ წარსულს ჩაბარდება...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ამას წინათ სასულიერო პირები ამბობდნენ: ეკლესიაში მრევლი შემცირდა, ხალხი ღმერთისკენ თუ არ შემობრუნდება, არაფერი გვეშველებაო. რეალურად კი, მრევლი კი არა, ადამიანების რაოდენობა შემცირდა, მართლმადიდებელი ადამიანების. დრომ ისე მოიტანა, რომ საქართველოში მართლმადიდებლები, პრაქტიკულად, მხოლოდ ქართველები დავრჩით, თორემ ბერძნები, რუსები, ასირიელები და სხვები, უკვე დიდი ხანია, ქვეყნიდან წავიდნენ და მათი რაოდენობა ძალიან მცირეა. შესაბამისად, მრევლი თითქმის ასი პროცენტით ქართულია და სწორედ შობადობის კლებისა და მოკვდავობის მატების გამო, ემიგრაციაში წასვლის გამო, მათი რაოდენობა ეკლესიებში დღითიდღე მცირდება. ეს მწარე რეალობაა.**

ჩაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 2030 წელს საქართველოში ეთნიკური ქართველი უმცირესობაში იქნება

**ერს გადაშენების საფრთხე ემუქრება, ქვეყანაში მთავარი სასაუბრო და გასარჩევი თემა კი ის არის, უნდა მიეცეს თუ არა ლგბტ თემის წარმომადგენლებს აღლუმის ჩატარების უფლება. ერის გადაშენების საფრთხეს რაც შეეხება, არც ვაზვიადებთ და არც ვიგონებთ — ეს ყველაფერი გაეროს ოფიციალურ დასკვნაში წერია. სხვათა შორის, იმ ორგანიზაციის დასკვნაში, რომლის წინა დასკვნის გამო, ოფიციალური ვერსიით, თანამდებობას პრემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაემშვიდობა. მაშინ ითქვა, რომ კვირიკაშვილმა დამალა გაეროს დასკვნა, რომელშიც ეწერა, რომ საქართველოში ათასობით ბავშვი შიმშილობს. ისე, რაღაც არ გვსმენია, რომ გაეროს აღნიშნული დასკვნა გამხდარიყოს მსჯელობის საგანი.**

და მაინც: რა წერია დასკვნაში, რომელიც გვგონია, რომ ბოლო წლებში გამოქვეყნებულ დასკვნებს შორის, ყველაზე საგანგაშო და საყურადღებოა? ჩვენ ყველაზე საინტერესო ადგილს მოგახსენებთ:

**„ოფიციალურად, დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში 3 714 000 ადამიანი ცხოვრობს. მათგან ეთნიკური ქართველი 3 200 000-ია. ვვარუდობდით, რომ 2030 წლისთვის საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ქართველების რაოდენობა 2 900 000-ს მიაღწევდა, ანუ 300 ათასით დაიკლებდა. ქართველებისთვის სამწუხაროდ, ჩვენ შევცდით და ეს რიცხვი 11 წლით ადრე, ანუ 2019 წელს დაჯდა. შესაბამისად, ვვარაუდობთ, რომ ამ ტემპის გაგრძელების შემთხვევაში, 2030 წელს ე.ი. 11 წლის შემდეგ, საქართველოში ეთნიკური ქართველი უმცირესობაში იქნება და მას სხვა ერები გაასწრებენ...“**

ცოტა ისტორიაც მიმოვიხილოთ. ქართველთა ოფიციალური აღწერა პირველად მე-13 საუკუნის შუაწელს ჩატარდა, როცა მონღოლებმა დაგვიპყრეს და დაინტერესდნენ, დაპყრობილ ქვეყანაში რამდენი ადამიანი ცხოვრობდა. ისტორიული წყაროების ცნობით, იმხანად 5-დან 6 მილიონამდე ვყოფილვართ. შემდგომ უკვე ქართველები თვითონ ატარებდნენ აღწერას და, ისტორიული წყაროების ცნობით, 1780 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, ქართველთა რაოდენობა კატასტროფულად ცოტა, 675 ათასი იყო, ანუ ნახევარ მილიონზე ოდნავ მეტი. ეს გამუდმებულმა ომებმა გამოიწვია, რომლებსაც საჯიშე ბიჭები ეწირებოდნენ.

შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, მაგრამ, **ძალიან დიდი ალბათობით, ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ 1783 წელს დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი. საქართველოს ან მარტოს უნდა განეგრძო ბრძოლა ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ და ფიზიკურად გამქრალიყო, ან დახმარების სათხოვნელად რუსეთისთვის უნდა მიემართა. არაერთი მოსაზრების მიუხედავად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ქვეყნისა და სარწმუნოების გადასარჩენად. ეს არის ისტორია, ის ისტორია, რომელსაც ვერსად გავექცევით და, რამდენიც უნდა ვატრიალოთ, ვერ შევცვლით.**

სხვაგვარად რომ მომხდარიყო და დახმარება ოსმალეთისთვის ან ირანისთვის გვეთხოვა, ზუსტად იმდენ ხანში შეწყვეტდა არსებობას ქართული სახელმწიფო, რამდენზეც ეს ორი ურჩხული მოილაპარაკებდა ერთმანეთში და ჩვენს ქვეყანას შუაზე გაიყოფდა. ომი რომ გაგვეგრძელებინა და დახმარება არავისთვის გვეთხოვა, სავარაუდოდ, ერთი წლის შემდეგ, კაცი კი არა, ქალიც აღარ დარჩებოდა ხმლის მომქნევად და ესეც მწარე რეალობაა...

ისევ გაეროს დასკვნას დავუბრუნდეთ. ამ ორგანიზაციის ექსპერტთა ვარაუდით, საქართველოში ადგილობრივი მოსახლეობის კლების რამდენიმე ძირითადი მიზეზი არსებობს. მთავარ მიზეზებს შორის არის **შობადობასა და მოკვდავობას შორის დისბალანსი.** ყოველწლიურად მოკვდავობა უფრო და უფრო უსწრებს შობადობას და, ეს კარგი ცხოვრებით რომ არ არის გამოწვეული, ადვილი მისახვედრია. ამას გარდა, ყოველწლიურად იზრდება **მოსახლეობის მიგრაცია,** საქართველოდან მიდიან ქართველები, სამაგიეროდ, ჩამოდიან უცხოელები და, თუ ქართველები საზღვარგარეთ რჩებიან, უცხოელები საქართველოში პოულობენ ნავსაყუდელს და აქედან წასვლას არ აპირებენ. პროპორციაში ეს ერთ დიდ პრობლემას ქმნის და იმდენად დიდს, რომ აგერ ქართველთა რაოდენობა ნავარაუდევზე 11 წლით ადრე შეამცირა.

ამას წინათ, ერთ-ერთი არასამთავრობოს წარმომადგენელმა საქართველოს ხელისუფლებას შეუტია, სტეფანწმინდისა და მისი მიმდებარე სოფლების მცხოვრებლების უმრავლესობას საქართველოს მოქალაქეობაზე უარი აქვს ნათქვამი და რუსეთის მოქალაქეა, რადგან იქაურ პენსიას იღებენო. ის კაცი (თუ ქალი) **იმას კი არ ამბობდა, საქართველოში დაბალი პენსიაა და ქართველები რუსულ პასპორტში იმიტომ ცვლიან ქართულსო, არამედ სახელმწიფოს უკიჟინებდა: საზღვარზე მოღალატეები გყავსო.** რეალურად კი, მთის ხალხზე პატრიოტები ცოტაა საქართველოში და მეორეც — გადაუხადოს ქართულმა სახელმწიფომ რუსეთზე მეტი პენსია და მერე ეგებ ვლადიკავკაზში მცხოვრებლებმა გადაცვალონ იქაური პასპორტები ქართულზე. მაგრამ არა, რუსებს როგორ მივცემთ ქართულ პირადობებს, ისინი ხომ მტრები არიან...



**«ოფიციალურად, დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში 3 714 000 ადამიანი ცხოვრობს. მათგან ეთნიკური ქართველი 3 200 000-ია. ვვარუდობდით, რომ 2030 წლისთვის საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ქართველების რაოდენობა 2 900 000-ს მიაღწევდა, ანუ 300 ათასით დაიკლებდა. ქართველებისთვის სამწუხაროდ, ჩვენ შევცდით და ეს რიცხვი 11 წლით ადრე, ანუ 2019 წელს დაჯდა»**

**ამას წინათ სასულიერო პირები ამბობდნენ: ეკლესიაში მრევლი შემცირდა, ხალხი ღმერთისკენ თუ არ შემობრუნდა, არაფერი გვეშველებაო. რეალურად კი, მრევლი კი არა, ადამიანების რაოდენობა შემცირდა, მართლმადიდებელი ადამიანების. დრომ ისე მოიტანა, რომ საქართველოში მართლმადიდებლები, პრაქტიკულად, მხოლოდ ქართველები დავრჩით, თორემ ბერძნები, რუსები, ასირიელები და სხვები, უკვე დიდი ხანია ქვეყნიდან წავიდნენ და მათი რაოდენობა ძალიან მცირეა. შესაბამისად, მრევლი თითქმის ასი პროცენტით ქართულია და სწორედ შობადობის კლებისა და მოკვდავობის მატების გამო, სწორედ ემიგრაციაში წასვლის გამო, მათი რაოდენობა ეკლესიებში დღითიდღე მცირდება და ეს მწარე რეალობაა.**

ერთი შეხედვით, რიცხვი 675 ათასი ძალიან საშინელია, ძალიან დამთრგუნველად ჩანს, მაგრამ იქით მიდის საქმე, რომ ეს მაჩვენებელი, გაეროს კვლევის თანახმად, მალე საქართველოში ქართველების რაოდენობის აღმნიშვნელი იქნება.

ვამაყობთ, რომ სტუმართმოყვარე ერი ვართ, იმითაც ვამაყობთ, რომ თბილისში გვერდიგვერდ დგას სინაგოგა, მეჩეთი და სომხური ეკლესია, იმითაც ვამაყობთ, რომ საქართველოს პარლამენტში აზერბაიჯანელი, სომეხი, ებრაელი, იეზიდი დეპუტატები გვყავს და ეს ყველაფერი, ერთი შეხედვით, ძალიან კარგია, მაგრამ, აბა, ჩვენს მეზობლებს შევხედოთ. **აზერბაიჯანის პარლამენტში მხოლოდ აზერბაიჯანელი დეპუტატები არიან (და ეს იმის მიუხედავად, რომ საინგილო ქართველებით კომპაქტურად არის დასახლებული და წესით, ერთი ინტერესების დამცველი კი უნდა ჰყავდეს საკანონმდებლო ორგანოში), სომხეთის პარლამენტში — მხოლოდ სომეხი დეპუტატები.** იმას ნამდვილად არ ვამბობ, რომ საქართველოშიც, გინდა თუ არა, მხოლოდ ქართველი კანონმდებლები ისხდნენ-მეთქი, ბედმა თუ უბედობამ ისე გვარგუნა, რომ ამ ყველაფერს ვეგუებით, მაგრამ, დრო რომ გავა და, როგორც გვიწინასწარმეტყველებენ, უმცირესობაში აღმოვჩნდებით, **ვინმე არის იმის გარანტი, რომ საქართველოს პარლამენტში პაკისტანელი, ირანელი, არაბი და ჩინელი დეპუტატები არ მოხვდებიან და ისინი ქართველებზე მეტნი არ იქნებიან?** და ვინ არის იმის გარანტი, რომ **იგივე პაკისტანელი, ირანელი, არაბი და ჩინელი დეპუტატები ქართულ ინტერესს გაატარებენ და ქართული სულისა თუ ქართული გენის გადარჩენაზე იზრუნებენ? არავინ, ბატონებო, აბსოლუტურად არავინ! და ესეც მწარე რეალობაა.**

ისტორიას თუ გავითვალისწინებთ, ახლაც დაახლოებით იგივე მდგომარეობაა, რაც მე-18 საუკუნის მიწურულს იყო. იმის მიუხედავად, რომ მსოფლიო განვითარდა და თითქოს ღია აგრესია ისჯება, აგერ, აჭარაში მხოლოდ თურქული და ირანული საუბარი ისმის, დედაქალაქში ნაირფერი შეფერილობის ადამიანთა რაოდენობამ საგანგაშო ზღვარს მიაღწია და, რაც მთავარია, აქედან წასვლას არავინ აპირებს, ხელისუფლებაც ცდილობს, ყველას სასათბურე პირობები შეუქმნას. **რომ გაიძახიან „ინვესტორია, ინვესტორიო“, ინვესტორი კი არა, დამპყრობელია, ბატონებო, დამპყრობელი და, ომით რომ აქვს აკრძალული ქვეყნის დაპყრობა, გაღარიბებულ, დაბეჩავებულ ქვეყანას ფულით იპყრობს. ჰოდა, ჩვენც იძულებულნი ვართ, ფეხქვეშ გავეგოთ ღიმილით მოსულ მტერს, რადგან სხვა გზა და სხვა ხსნა არ არსებობს, შიმშილით სიკვდილი ემუქრება ირგვლივ ყველას და ყველაფერს.**

ნამდვილად არ ვამბობთ იმას, რომ რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატის მაგვარი რამ გავაფორმოთ, მაგრამ დროა (თუ დაგვიანებული არა), რომ ერთმორწმუნე ერთან სრულად აღვადგინოთ სავაჭრო ურთიერთობა, რადგან მსოფლიოს ყველაზე დიდი ბაზარი — რუსეთი საქართველოსაც ამოასუნთქებს, აქ მოწეულს იქ მარტივად გავყიდით, რადგან ახსოვთ ქართული პროდუქტების გემო და არ არიან წინააღმდეგნი, საქართველოსთან ძველი კავშირები აღადგინონ. ეგ კი არა და, ოფიციალური მონაცემებით, ყველაზე მეტი ტურისტი რომ რუსეთიდან შემოდის საქართველოში, რისი ბრალია, ნეტავ? ხომ არ არის ეს იმის ნიშანი, რომ, ამდენი ძაგებისა და ლანძღვის მიუხედავად, რუსი ერი მზად არის ქართველებთან მეგობრობისთვის და ეგებ, ამ მეგობრობით აშენებულ ხიდზე მერე დევნილებმაც გაიარონ და საკუთარ კერას დაუბრუნდნენ.

რომ გავიძახით: აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გასაღები მოსკოვში დევსო, ვინმე ხომ უნდა წავიდეს იმ გასაღების ჩამოსატანად?! თუ არადა, აგერ, თურქეთის ოფიციალური პირები ამბობენ: ბათუმი ჩვენიაო, და დავუთბილოთ ფეხები თურქებს, შემთხვევით ბათუმის ნესტმა არ დაცადოს...

**ბესო ბარბაქაძე**

პოზიცია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„იმ პროცესების გათვალისწინებით, რომლებიც დღეს ვითარდება საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე, პროდასავლური კურსი მალე შეიყვანს ქვეყანას ჩიხში, რომლის იქით პოლიტიკური არჩევანი აღარ გვექნება, გარდა რუსეთთან დიალოგისა. თუმცა, ვშიშობ, ეს არ იქნება ჩვენთვის ხელსაყრელი მდგომარეობა, იმიტომ, რომ ერთია, როცა ორ სახელმწიფოს შორის დიალოგის დაწყება განპირობებულია ორივეს ინტერესით და მეორეა, როცა ეს დიალოგი განპირობებულია იმით, რომ ერთ-ერთ მათგანს, უბრალოდ, სხვა გზა არ აქვს...“.**



## გურამ ნიკოლაიშვილი:

# მათთვის ჩვენ ვართ მცირე ზომისა და წონის პოლიტიკური იარაღი. დასჭირდებათ — რაღაცაში გაგვცვლიან, დაგვახურდავებენ და მორჩა...

**რამდენიმე დღის წინათ ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს მუცლით მეზღაპრე პრემიერმა მამუკა ბახტაძემ, რომელიც ბოლო პერიოდში ხან ეკონომიკურ სასწაულებზე ლაპარაკობს თავის სატელევიზიო გამოსვლებში, ხან გასაოცარ დემოკრატიაზე, მაიკ პომპეოსთან შეხვედრის შემდეგ მედიასთან კიდევ ერთხელ დააყენა სიცრუის კორიანტელი და ამაყად განაცხადა, რომ ამერიკა-საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობა უპრეცენდენტოდ მაღალ ნიშნულზეა. მისი შეფასებით, მსგავსი მხარდაჭერა თბილისს ვაშინგტონისგან თანამშრომლობის არც ერთ ეტაპზე არ ჰქონია, რაც თურმე, არც მეტი, არც ნაკლები, ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმებისა და სწორი პოლიტიკური კურსის შედეგია...**

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან **მაიკ პომპეოს** განცხადებით, ოფიციალურ თბილისს არ მოაკლდება ვაშინგტონის მხარდაჭერა ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ მიმავალ გზაზე, რაც არა მხოლოდ ცალკეული პოლიტიკოსების, არამედ ამერიკის მთავრობის ურყევი პოზიციაა: „საქართველოს ძალისხმევა მიძლიერებს რწმენას და პრეზიდენტ ტრამპისა და აშშ-ის მთელი მთავრობის სახელით ვაცხადებ, რომ თქვენ არ მოგაკლდებათ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა ნატოში გაწევრების გზაზე...“ პომპეომ ანაკლიის პორტზეც ისაუბრა და თქვა, რომ ამ პროექტის განხორციელება აუცილებელია საქართველოსთვის, რათა იგი არ მოექცეს რუსეთისა და ჩინეთის გავლენის ქვეშ... პომპეოს შეფასებებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **გრიგორი კარასინი** გამოეხმაურა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მიერ ალიანსის გაფართოებაზე გაკეთებულმა განცხადებამ, შესაძლოა, „დამღუპველად იმოქმედოს“ რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე...

**რას ნიშნავს საქართველოსთვის ზემოაღნიშნული განცხადებები და რას უნდა ველოდოთ ნატოს დეკემბრის სამიტზე? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი.**

**— ბატონო გურამ, რამდენიმე დღის წინათ ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა პრემიერმა მამუკა ბახტაძემ მედიასთან განაცხადა, რომ ამერიკა-საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობა უმაღლეს ნიშნულზეა... შეესაბამება რეალობას ეს განცხადება?**

— საქართველოს შეერთებული შტატების მიმართ ასეთი ვასალური პოლიტიკა არასდროს ჰქონია. დღეს ყველა საკითხის მიმართ, რომელზიც ვაშინგტონს აინტერესებს, გვაქვს ერთგვარი ყრუ დამოკიდებულება და ყველაფერს უსიტყვოდ ვეთანხმებით. არადა, იქიდან გვესმის ღია განცხადებები, რომ ვაშინგტონი ვერ დაიკისრებს ვინმეზე ან რამეზე პასუხისმგებლობას, თუ ეს მისი ინტერესით არ იქნება ნაკარნახევი. ახლა ვიღაცისთვის ეს ცალხმრივი თავგადაკლული პარტნიორობაც შეიძლება გარკვეულ პოლიტიკურ ღირებულებას წარმოადგენდეს, მაგრამ სახელმწიფოებს შორის პარტნიორობა სხვა რამეს ნიშნავს. პარტნიორობაა, როცა ორივე მხარე რაღაც სარგებელს ნახულობს და ამ ურთიერთობაში თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესების თუნდაც ნაწილობრივ რეალიზებას ახდენს. ჩვენ **ვმონაწილეობთ სამშვიდობო მისიებში, ვხარჯავთ კოლოსალურ თანხებს, უსიტყვოდ ვასრულებთ მათ დირექტივებსა და მითითებებს და ამ ყველაფრის შედეგი არის მხოლოდ ერთი რამ — დასავლეთი აფხაზეთს და სამაჩაბლოს საქართველოს ტერიტორიებად აღიარებს. მერე რა? როდემდე შეიძლება ვიცხოვროთ იმ ზღაპრით, რომ, ეს მხარდაჭერა რომ არა, პუტინი თბილისს აიღებდა, ვინ უშლიდა?**

რაც შეხება ნატოში შესაძლო მიღებას, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოსგან მიიღო მაქსიმუმი, რის მიღებაც უნდოდა და მომავალშიც მიიღებს, თუ რამე დასჭირდა. ეს შეიძლება იყოს ტერიტორია გარკვეული სამხედრო გადაადგილებებისთვის, შეიძლება იყოს პოლიტიკური ვაჭრობისთვის გამოყენება მესამე სახელმწიფოსთან და ა.შ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ **უკვე ორ მილიარდ ლარზე მეტია გადახდილი ბიუჯეტიდან ნატოს სხვადასხვა პროგრამაში მონაწილეობაზე და შედეგი არის ნული...** სხვათა შორის, გაგახსენებთ **10 იანვარს ნატოს წარმომადგენლების შეკრებაზე ბენ ჰოჯესის განცხადებას, რომელიც ბალტიისპირეთის ქვეყნებს შეეხებოდა. მან პირდაპირ უთხრა ამ ქვეყნების ხელმძღვანელობას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეთ.** ზუსტად ამის შემდეგ დაინტერესდნენ ისინი რუსეთთან დიალოგით და ლიტვის პრეზიდენტი მოსკოვში ჩავიდა. ანუ რისი თქმა მინდა: **ალიანსი, რომელიც დახმარებაზე უარს ეუბნება მის წევრ ევროპულ სახელმწიფოებს და აცხადებს, რომ ვერ იქნება პასუხისმგებელი ვერავის უსაფრთხოებაზე, ჩვენ, ვისაც არაფერი გვაკავშირებს ამ ალიანსთან, გარდა აბსურდისა, რომ ნატოს კარი ჩვენთვის ღიაა, თან ტერიტორიული პრობლემები გვაქვს, დაგვიცავს?!** ვისაც ეს სჯერა, შეუძლია ამ ცრუ იმედით იცხოვროს სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ, ვისაც ანალიზის უნარი აქვს, იმისთვის ხომ სასაცილოა ეს ყველაფერი. **ჩვენ დაგვიცავს ნატო, რომელმაც ბალტიისპირეთზე ხელები დაიბანა?!** სხვათა შორის, მათ თავის დროზე, როცა რუსეთ-თურქეთს შორის ვითარება უკიდურესად დაიძაბა, ასევე მკაფიოდ უთხრეს ოფიციალურ ანკარასაც პირდაპირ დახმარებაზე უარი. ზუსტად ამის შემდეგ **ერდოღანი** იძულებული შეიქნა, პეტერბურგში ჩასულიყო და, ფაქტობრივად, მუხლებში ჩავარდნოდა ვლადიმერ პუტინს...

**«ალიანსი, რომელიც დახმარებაზე უარს ეუბნება მის წევრ ევროპულ სახელმწიფოებს და აცხადებს, რომ ვერ იქნება პასუხისმგებელი ვერავის უსაფრთხოებაზე, ჩვენ, ვისაც არაფერი გვაკავშირებს ამ ალიანსთან, გარდა აბსურდისა, რომ ნატოს კარი ჩვენთვის ღიაა, თან ტერიტორიული პრობლემები გვაქვს, დაგვიცავს?! ჩვენ დაგვიცავს ნატო, რომელმაც ბალტიისპირეთზე ხელები დაიბანა?!»**

**— გინდათ, თქვათ, რომ საქართველოს ხელისუფლებასაც, ადრე თუ გვიან, მოუწევს მოსკოვში ჩასვლა?**

— ყოველ შემთხვევაში ერთ რამეში ვარ დარწმუნებული: **იმ პროცესების გათვალისწინებით, რომლებიც დღეს ვითარდება საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე, პროდასავლური კურსი მალე შეიყვანს ქვეყანას ჩიხში, რომლის იქით პოლიტიკური არჩევანი აღარ გვექნება, გარდა რუსეთთან დიალოგისა. ვშიშობ, ეს არ იქნება ჩვენთვის ხელსაყრელი მდგომარეობა, იმიტომ, რომ ერთია, როცა ორ სახელმწიფოს შორის დიალოგის დაწყება განპირობებულია ორივეს ინტერესით; მეორეა, როცა ეს დიალოგი განპირობებულია იმით, რომ ერთ-ერთ მათგანს, უბრალოდ, სხვა გზა არ აქვს...**

რაც შეეხება იმ მოლოდინს, რომ ამერიკა დაგვიცავს, ისინი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები არიან და ა.შ. **თავის დროზე, როცა საკითხი დადგა, დაეწესებინათ თუ არა სანქციები თურქეთისთვის, ტრამპს ჰკითხეს — კი მაგრამ, ამან ხომ სხვა ქვეყნებიც შეიძლება დააზარალოს, მაგალითად საქართველო, რომელიც ეკონომიკურად მჭიდროდაა თურქეთთან დაკავშირებულიო? მან მოკლედ და კონკრეტულად უპასუხა: არ მაინტერესებს!** მორჩა! აქ ჩანს ყველაფერი, რაც ჩვენთვის დღევანდელი პოლიტიკის პირობებში საშიშია, თორემ ტრამპის პოზიციიდან სწორი და პრაგმატული ხედვაა.

**— ბახტაძესთან შეხვედრის შემდეგ მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ საქართველოს არ მოაკლდება შეერთებული შტატების მხარდაჭერა ნატოსკენ მიმავალ გზაზე.**

— ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ და გავიხსენოთ, სად, რომელი ტრიბუნიდან რა თქმულა ან რა დაპირებები მოგვისმენია ალიანსში მიღებაზე, მივხვდებით, **რომ ყველა მსგავსი განცხადება არის ჩვეულებრივი პოლიტიკური ჟონგლიორობა, რომლის მიღმაც არანაირი რეალური სურვილები არ დგას. რას გულისხმობენ მხარდაჭერაში, იმას, რომ „ჯაველინები“ მოგვყიდეს 75 მილიონ დოლარად და თითო „სტინგერში“ 80 ათასი დოლარი რომ გადაგვახდევინეს?! თუ იმას, რომ ჯარი მოგვიმზადეს? მოგვიმზადეს ჩვენივე ფულით. სხვათა შორის, 18 მილიონი ლარია თავდაცვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იმისთვის, რომ 9 ბატალიონი სამი წლის განმავლობაში მოამზადონ ამერიკელმა სპეციალისტებმა. რა, ჩვენები ვერ მოამზადებდნენ?**

**— ქართველ სამხედროებს რატომ არ ანდეს ეს საქმე?**

— მარტივი მიზეზის გამო — ამერიკული ფული ამერიკაში უნდა დაბრუნდეს. **რაც შეეხება პომპეოს განცხადებას თუ მინიშნებას იმის თაობაზე, რომ შესაძლოა, დაჩქარდეს საქართველოს ნატოში მიღების პროცესი, როგორც ჩანს, ახლა ამერიკელებს ახალი სავაჭრო თემები სჭირდებათ რუსეთთან და ხელოვნურად წევენ ტემპერატურას მაღლა. ანუ, იქმნება ილუზია, რომ ნატო, შესაძლოა, აღმოსავლეთით გაფართოვდეს.**

**— შესაძლოა, ეს ყველაფერი თვის ბოლოს იაპონიაში ტრამპი-პუტინის შეხვედრისთვის კეთდებოდეს?**

— ყოველ შემთხვევაში, ეს პოლიტიკური თამაში რომ არის და საქართველო არავის აინტერესებს, ფაქტია. მათთვის ჩვენ ვართ მცირე ზომისა და წონის პოლიტიკური იარაღი: დასჭირდებათ — რაღაცაში გაგვცვლიან, დაგვახურდავებენ და მორჩა. რა ნატო?! **ნატოს ლიდერებმა გასაგებად განაცხადეს, რომ ალიანსის გაფართოებაზე ჯერჯერობით საუბარიც ზედმეტია...**

**— მაშინ რას ნიშნავდა კარასინის შეფასება იმის თაობაზე, რომ პომპეოს განცხადებამ, შესაძლოა, „დამღუპველად იმოქმედოს“ რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე?**

— ეს იყო გაფრთხილება რუსეთის ხელისუფლების მხრიდან, რომ ის არანაირი ფორმით არ დაუშვებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შემოსვლას რუსეთის უსაფრთხოების არეალში. ჩვენმა პრემიერმა კი აკეთა ომახიანი განცხადებები: არავის საქმე არ არის, სუვერენული სახელმწიფო სად წავა და რა არჩევანს გააკეთებსო, მაგრამ პოლიტიკაში ხომ ასე არ არის? როგორ გინდა, კრემლი დაარწმუნო იმაში, რომ, ვთქვათ, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი მისთვის საფრთხის შემცველი არ იქნება, როცა ამერიკელები თავს იკლავენ, ააშენეთო? რატომ არიან ამერიკელები ასე დაინტერესებულნი? იმიტომ, რომ ღამე არ სძინავთ ჩვენს ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ფიქრით?! თანაც **იზორიამ** განაცხადა: ჩვენი ნავსადგურები ყოველთვის მზად იქნება, ნატოს გემებს მოემსახუროსო. ცხადია, რუსეთი არ დაუშვებს არანაირ ცვლილებებს ამ რეგიონში, რომლებიც მის უსაფრთხოებას რამე ფორმით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს და მას ამისთვის უამრავი ბერკეტი აქვს.

**— მაგალითად?**

— უამრავი საკითხია, რომლებზეც ხელისუფლებას, არა თუ ხედვა არ გააჩნია, მგონი, საერთოდ ნაფიქრიც არ აქვს. მაგალითად, რა პოზიცია ექნება მეზობელ სომხეთს, რომელიც რუსეთის პირდაპირი მოკავშირეა, თუ საქართველო საჯილდაო ქვა გახდება დიდ სახელმწიფოებს შორის? ასევე არავინ იცის, რა პოზიციას დაიკავებს თურქეთი... არაფერს ვამბობ იმაზე, რომ აქვეა ცხინვალის ბაზა, აფხაზეთის, გიუმრის 102-ე... არაფერს ვამბობ იმაზე, რომ მიჩუმათებული ტერიტორიული დავა გვაქვს აზერბაიჯანთან, პრობლემები გაქვს სამცხე-ჯავახეთში... საერთოდ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ესენი ვერ აცნობიერებენ, რომ საქმე გვაქვს მსოფლიო გეოპოლიტიკურ ასპარეზზე ერთ-ერთ დიდ მოთამაშესთან, რომელსაც ყველა ანგარიშს უწევს, ჩვენ გარდა.

**— გამოსავალი რა არის?**

— დღეს საქართველოსთვის ერთადერთი გამოსავალი მიუმხრობლობის პოლიტიკაა. ჩვენ არ უნდა მივემხროთ არც ერთ პოლიტიკურ ბანაკს, არც ერთ სამხედრო ბლოკს. ნებისმიერი მიდგომა, რომელიც გათვლილი იქნება რომელიმე ვექტორის მიმხრობაზე, ქვეყანას, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გადააქცევს დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების პოლიგონად. ამ დაპირისპირებაში კი დამარცხებული იქნება მხოლოდ საქართველო და ქართველი ხალხი, რომელიც შედეგად მიიღებს ნგრევას...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**თუ გახსოვთ, უკრაინის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ზელენსკიმ ერთ-ერთი პირველი რაც განაცხადა, სწორედ რეფერენდუმის ჩატარება იყო იმის გასარკვევად, რა სურდა უკრაინის მოსახლეობას. ეს თემა ზელენსკის უკვე აღარ უხსენებია და ეჭვი გვაქვს, აღარც ახსენებს, რადგან მას გასაგებად უთხრეს, რომ მოსახლეობამ, შესაძლოა, უარი თქვას ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის უტოპიურ ოცნებაზე და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება მოითხოვოს. ანუ, იქაც ზუსტად ისეთი მდგომარეობაა, როგორიც საქართველოში, მოსახლეობა სხვა რამეს ითხოვს, მაგრამ დასავლელი პარტნიორები გვეუბნებიან: ეგ არ გჭირდებათ, დაგვიჯერეთო.**

«მსოფლიო» დეპორტაცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ათასობით ქართული ოჯახი დემოკრატიისა და ლიბერალიზმის სახელით ულუკმაპუროდ დატოვეს

**ძალიან უცნაურ დროში ვცხოვრობთ — ყველაფერში ორმაგი სტანდარტები გვაქვს და საინტერესოა, რომ ეს ორმაგი სტანდარტი არამხოლოდ ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, არამედ ხელისუფლების მიდგომაცაა. ბოლო მაგალითი ავიღოთ — ე.წ. თბილისი პრაიდის წარმომადგენლებმა 14 ივნისს აქცია გამართეს და იქვე კონტრაქციაც მოეწყო. სამართალდამცავებმა კონტრაქციის 28 წევრი დააკავეს და მიზეზად ის დასახელდა, რომ აგრესიულად იქცეოდნენ. აგრესიაში იგულისხმეს ის, რომ კონტრაქციის წარმომადგენლებმა „თბილისი პრაიდის“ აქციის მონაწილეებს თურმე სამი თითის კომბინაცია უჩვენეს, რასაც აგრესია დაარქვეს. ჰოდა, ამ დროს ტელევიზიების პირდაპირ ეთერში ვინმე ნათა ფერაძემ ორივე ხელი შემართა თავს ზემოთ და კონტრაქციის წარმომადგენლებს ანალოგიური ჟესტი უჩვენა, მაგრამ არავის დაუკავებია. საზოგადოდ, ვერც იმას ვხვდებით, რატომ დაერქვა 30 ადამიანის ქუჩაში გამოსვლას აქცია და რამდენიმე ათასი კაცის გამოსვლას — კონტრაქცია...**

შესაძლოა, კონკრეტულად ეს ამასთან არაფერ შუაშია, მაგრამ ორმაგ სტანდარტთან აშკარად კავშირშია. ისრაელის პოლიციამ იქ მცხოვრები ქართველები დააკავა და მათ დეპორტაციას ეტაპობრივად ახორციელებს. სამწუხაროდ, ქართველთა უმრავლესობა იქ ლუკმაპურის საშოვნელად არის წასული და უსაბუთოდ მუშაობს. ჰოდა, ამ ადამიანებს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თავს დაესხა ადგილობრივი პოლიცია და დამნაშავეებივით დააპატიმრა. შემდეგ ცხოველებივით შეყარა ერთ ოთახში (და ამაზე ემიგრანტები თვითონ წერდნენ, რომ მათ ცხოველებივით ექცეოდნენ), არ მისცეს წყალი, საკვები, არ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება და საქართველოში კი არ გამოუშვეს, გამოყარეს.

**ანალოგიური რამ მოხდა გერმანიაშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გერმანელებმა წყალი არ დაამადლეს ჩვენს ემიგრანტებს... საფრანგეთიდანაც ჩამოვიდა რეისი, რომელმაც გამოძევებული ქართველები ჩამოიყვანა... ავსტრია, ესპანეთი, საბერძნეთი... პრაქტიკულად არ დარჩა ევროპული ქვეყანა, რომელმაც ქართველებზე ნადირობის სეზონი არ გამოაცხადა და „ნადავლი“ საქართველოში არ გამოამგზავრა.** ახლა იმაზე საუბარი, რომ ყველაფერი ხელისუფლების ბრალია და რომ არა საგარეო საქმეთა მინისტრისა და პრეზიდენტის განცხადებები, საქართველო უსაფრთხოა და ყველა არალეგალი გამოუშვითო,- არაფრის მომცემია. ჯერ ერთი, აფრიკელი არალეგალებით სავსეა მთელი ევროპა და მათ არავინ ეხება; მეორეც — ევროპელებმა ყველაზე კარგად იციან, რომ ქართველები იქ ლუკმაპურისთვის არიან და საქართველოში დაბრუნების შემდეგ შიმშილი და უმუშევრობა ელით.

**რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ამჯერად ერთადერთი ქვეყანა რუსეთია, რომელსაც ქართველების დეპორტაცია არ მოუხდენია. ეს მაშინ, როცა რეალურად, ყველაზე მეტი ქართველი სწორედ რუსეთში ცხოვრობს. შესაბამისად, ყველაზე მეტი არალეგალიც სწორედ ჩვენს მეზობელ ქვეყანაშია და თუ ვინმეს ჰგონია, რომ რუსეთის ლიდერებმა არ მოისმინეს საგარეო საქმეთა მინისტრის ან პრეზიდენტის განცხადება, ძალიან ცდება. მაშ, რა მოხდა? რატომ არის, რომ რუსეთმა, რომელსაც ხელისუფლება და ოპოზიცია ნომერ პირველ მტრად მიიჩნევს, არ დაიწყო ქართველების დეპორტაცია?**

სხვათა შორის, როცა ევროპიდან ქართველ ემიგრანტთა გამოძევების პროცესი დაიწყო, ევროპული ქვეყნების ოფიციალურმა პირებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ ამ ნაბიჯით მათ ქვეყანაში ადგილობრივებს სამუშაო ადგილები შეუქმნეს, ანუ, სადაც მუშაობდნენ ქართველები, იქ იმუშავებენ ადგილობრივები, რაც რეალურად ზღაპარია. ჯერ ერთი, ქართველები, პრაქტიკულად, მათხოვრულ ხელფასზე მუშაობენ და ისეთი სამსახურები აქვთ, რომელსაც ევროპელები არ კადრულობენ, ამიტომ, დიდი ალბათობით, ქართველების ადგილს აფრიკელი და ახლო აღმოსავლელი არალეგალები დაიკავებენ. რაც შეეხება რუსეთს, როგორ გგონიათ, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი განებივრებულია სამუშაო ადგილებით და მილიონამდე ქართველს იმიტომ ინახავს, რომ თავისი მოქალაქეები ასი პროცენტით დასაქმებული ჰყავს? ხომ ყველამ ვიცით, რომ რეალობა სხვაა და რუსეთს იმაზე მეტად უდგას უმუშევრობის პრობლემა, ვიდრე საფრანგეთს, ისრაელს, ესპანეთს, გერმანიას, ავსტრიას...

საქმე ის არის, რომ **რუსებს რეალობის აღქმა არ დაუკარგავთ და ზუსტად იციან, აქ ადამიანებს არ დახვდებათ სამსახურები და არ ექნებათ ხელგაშლილი ცხოვრება. რეალობის აღქმა არც ევროპაში აქვთ დაკარგული, მაგრამ ახლა ასე აძლევთ ხელს და თან მიზეზიც აქვთ, ლიბერალური დამოკიდებულების რადიკალურად შეცვლა ქართველების მიმართ რომ გაამართლონ — ქვეყნის პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი ამბობს და რატომ არ უნდა დავიჯეროთო.** ჰოდა, დემოკრატიისა და ლიბერალიზმის სახელით, ერთ კვირაში ათასობით ქართული ოჯახი შემოსავლის გარეშე დარჩა და თან ევროპაში დაბრუნების პერსპექტივის გარეშე. სულ ცოტა, სამი წელი გამოძევებულებს ვერც ვიზალიბერალიზაცია უშველის და ვერც ევროკავშირთან თბილი და ტბილი დამოკიდებულება, ისინი ბევრ კონტინენტზე ველარ შევლენ. **რაღა რჩებათ? ის, რომ ისინიც რუსეთში წავიდნენ და იქ იპოვონ თავშესაფარი, სარჩო და საბადებელი. შესაბამისად, ისინიც მიხვდებიან, რომ რუსეთისგან მტრის ხატის შექმნა მხოლოდ პოლიტიკოსთა თავებში იხარშება და ერი სხვაგვარად ფიქრობს.**




**ევროპა და ამერიკა უსიტყვო მორჩილებას გვთხოვენ და ესმით მხოლოდ ის, რისი გაგებაც სურთ და რაც ხელს აძლევთ. მათ არ აინტერესებთ, რა სჭირდება რეალურად საქართველოს, იშიმშილებენ თუ არა იქიდან გამოძევებული მოქალაქეების ოჯახები, იშოვიან თუ არა ყოველდღიურ სარჩოს შვილებისთვის; მთავარი მხოლოდ ის არის, რომ ხმის ჩახლეჩამდე ვლანძღოთ რუსეთი და მაღალი ტრიბუნიდან ოკუპანტი ვეძახოთ. მერე რა, რომ ეს ლანძღვა უკვე მხოლოდ ხელისუფლებასა და ოპოზიციაზე მოდის, ხალხის ხმას ადგილობრივები არ ისმენენ და სხვებმა რატომ უნდა შეისმინონ?!**

**სათვალავიც კი აგვერია, მერამდენედ ვითხოვთ იმას, რომ ჩატარდეს რეფერენდუმი, რომელიც გამოავლენს ქვეყნის განვითარების რომელი მიმართულება სურს ერს.** თავის მართლება იმით, რომ რეფერენდუმის გასამართავად თურმე ფული არ არის, ძალიან არასერიოზულია, რადგან ახლახან გაირკვა, რომ უცხოურ ვოიაჟებში ხელისუფლების წარმომადგენლებმა, დეპუტატებმა და საჯარო მოხელეებმა, საერთო ჯამში, 78 მილიონი დახარჯეს. ეს მხოლოდ გასული წლის განმავლობაში და მოდი, გავაჩეროთ ქუჩაში პირველი შემხვედრი 50, გნებავთ — 100 კაცი და რომელი გაიხსენებს მაღალჩინოსნებისა და დეპუტატების ერთ სასარგებლო ვიზიტს მაინც, ისეთს, რომელიც ქვეყანას წაადგა და მოსახლეობას დაამახსოვრდა. ჩვენი აზრით, ვერც ერთი, ანუ ასი პროცენტით იქნება პასუხი, რომ არც ერთი ვიზიტი არ ახსოვთ. წყალშია გადაყრილი ის თანხები, რომლებიც დახარჯულია (და პროცენტულად ყველაზე მეტი, სწორედ ამ ვიზიტებზე მოდის) ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის თხოვნით ჩატარებულ ვიზიტებზე, ამ ორგანიზაციებში შესვლის თაობაზე ჩატარებულ ფორუმებზე — ყველაფერზე, რაც კონკრეტულად ამ ორ საკითხს უკავშირდება. ეს იმიტომ, რომ **გასაგებად ამბობენ, ნატოსა და ევროკავშირის გაფართოება უახლოეს ათ წელიწადში არ იგეგმება და ამას იმეორებენ, კარგა ხანია. არავინ არის იმის გარანტორი, რომ ათი წლის შემდეგ, იმავეს არ გაიმეორებენ და ნატო-ევროკავშირის პერსპექტივას კიდევ ათი წლით არ გადაწევენ. რეფერენდუმის ჩატარებას კი 15-16 მილიონი ლარი სჭირდება... სამაგიეროდ, ზუსტად გვეცოდინება, რა უნდა მოსახლეობას და ხმასაც არავინ ამოიღებს, — ქვეყანა ამ მიმართულებით რატომ მიდისო?!**

ისე, თუ გახსოვთ, უკრაინის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა **ზელენსკიმ** ერთ-ერთი პირველი რაც განაცხადა, სწორედ რეფერენდუმის ჩატარება იყო იმის გასარკვევად, რა სურდა უკრაინის მოსახლეობას. ეს თემა ზელენსკის უკვე აღარ უხსენებია და ეჭვი გვაქვს, აღარც ახსენებს, რადგან მას გასაგებად უთხრეს, რომ მოსახლეობამ, შესაძლოა, უარი თქვას ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის უტოპიურ ოცნებაზე და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება მოითხოვოს. ანუ, იქაც ზუსტად ისეთი მდგომარეობაა, როგორიც საქართველოში, მოსახლეობა თითქოს სხვა რამეს ითხოვს, მაგრამ დასავლელი პარტნიორები გვეუბნებიან: ეგ არ გჭირდებათ, დაგვიჯერეთო.

ამ ყველაფერს მხოლოდ ერთი რამისკენ მივყავართ: ევროპა და ამერიკა უსიტყვო მორჩილებას გვთხოვენ და ესმით მხოლოდ ის, რისი გაგებაც სურთ და რაც აძლევთ ხელს. მათ არ აინტერესებთ, რა სჭირდება რეალურად საქართველოს, იშიმშილებენ თუ არა იქიდან გამოძევებული მოქალაქეების ოჯახები, იშოვიან თუ არა ყოველდღიურ სარჩოს შვილებისთვის — მთავარი მხოლოდ ის არის, რომ ხმის ჩახლეჩამდე ვლანძღოთ რუსეთი და მაღალი ტრიბუნიდან ოკუპანტი ვეძახოთ. მერე რა, რომ ეს ლანძღვა უკვე მხოლოდ ხელისუფლებასა და ოპოზიციაზე მოდის, ხალხის ხმას ადგილობრივები არ ისმენენ და სხვებმა რატომ უნდა შეისმინონ?! იმაშიც ხომ დარწმუნებული ხართ, რომ რუსეთის მხარეს ჩვენი თუნდაც ათი არალეგალი რომ გამოეძევებინა ქვეყნიდან, რა ამბავი ატყდებოდა, როგორ ვუჩივლებდით რუსებს სტრასბურგში, როგორ გულზე მჯიღის ცემით ვიტყოდით, რომ მტერი მტრულად გვექცევა. ახლა კი რუსეთი არავის ახსოვს, იმიტომ, რომ ხომ არ იტყვიან: კარგად მოიქცა, ქართული ინტერესი გაატარაო.

სწორედ ამიტომ **ისევ ვითხოვთ, რომ ხელისუფლებამ გამონახოს სახსრები, გამოიჩინოს კეთილი ნება და ჩაატაროს რეფერენდუმი ერთადერთი კითხვით — როგორი საგარეო კურსი სურს საქართველოს მოსახლეობას? ხომ ვუმტკიცებთ მსოფლიოს, რომ ევროპა და ამერიკა გვინდა?! ჰოდა, რა პრობლემაა! გააოფიციალურეთ და სახეზეააფარეთ ნებისმიერს, ვინც ფიქრობს, რომ ხალხის აზრი სხვაგვარია.**

**ბესო ბარბაქაძე**

ბაჩურ სვანიძის
საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ოცნების“ პაპის პაპები სად იყვნენ, ჟვანია-სააკაშვილის გუნდი ჯერ კიდევ 20 წლის წინათ რომ „აგორებდა ყომარს“ ქართულ მედიასივრცეში? სწორედ მაშინდელ შეზღუდულ მედიარესურსში აპრობირებული „ფეიკ“, ანუ ცრუ ინფორმაციის გავრცელების ტექნოლოგიაა თანამედროვე სოციალურ ქსელებში „ტროლების მოღვაწეობის“ საფუძველთა საფუძველი; ხოლო დღევანდელი ნაცები და ნაცგანაყოფები რომ სწორედ „მაშასადამე ევროპელის“ მიერ შემუშავებული ბინძური მეთოდებით მოქმედებენ დღესაც, ეს ამ თემებში ოდნავ ჩახედულმა ნებისმიერმა ადამიანმა იცის.**

# «ტროლები», სიძულვილი და 200 წელი

**ურთიერთგამომრიცხავი აზრების ფრქვევა, რადიკალურად განსხვავებული სხვადასხვა მოთხოვნის წაყენება ხელისუფლებისთვის ჩვენს ქვეყანაში უკვე ერთგვარ ტრადიციად აქციეს ე.წ. ოპოზიციურმა პარტიებმა. ეგრეთ წოდებულს იმიტომ ვამბობთ, რომ ნამდვილი ოპოზიციური პარტიები, მაგალითად, „პატრიოტთა ალიანსი“, თუნდაც ნინო ბურჯანაძის პარტია არ მოვხარშოთ იმავე ქვაბში, რომელშიც კვლავ და კვლავ მიშა სააკაშვილის გარშემო შეკრებილან ძველი თუ ახალი თვალთმაქცი პოლიტიკანები და უკვე ხმამაღლაც თუხთუხებენ. დიახ, მხოლოდ თუხთუხის ხმაა ძალიან მაღალი, თორემ რეალურად ესენი არავისი „დამწველები“ და „დამდუღვრელები“ არ არიან. მათ მხოლოდ ის სტრატეგია აქვთ „დამუღამებული“, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს რაც შეიძლება დემაგოგიური, მყვირალა, ხალხისთვის მგრძნობიარე სიმებზე მოქმედი შეკითხვები დაუსვან პარლამენტის დარბაზში, ტელედებატებში თუ, უბრალოდ, ინტერვიუს ჩაწერისას.**



**«მე «რუსთავი 2» არ ვარ, მე ჟურნალისტი ვარ და დავითი მქვია!»**

ცალკე უბედურება ჩვენი ქვეყნისა არის ის, რომ ფულით ნაყიდი ჟურნალისტებიც უკვე საჯაროდ სვამენ ისეთ შეკითხვებს, რომ მათ აღარაფერი გამოარჩევს კონკრეტული პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებისგან. მეტისმეტი მონდომებით, რამენაირად დიდ პოლიტიკურ „ბოსებს“ რომ ასიამოვნონ, სერიოზულ ტრაგიკომედიაშიც გადადიან ხოლმე. ამის კლასიკური ნიმუში იყო „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტის — **დავით ქაშიაშვილის** „200-წლოვანი“ კითხვა, რომელიც მან თბილისის მერ **კახა კალაძეს** დაუსვა მდინარე ვერეს ხეობაში. ყველას ნანახი გექნებათ — კალაძე 13 ივნისს, ვერეს ხეობის ტრაგიკული მოვლენების 4 წლის თავზე, იქ დაღუპულთა ხსოვნისათვის პატივის მისაგებად მივიდა. სწორედ იქ დახვდა მას ჟურნალისტი დავით ქაშიაშვილი სხვა ჟურნალისტებთან ერთად, თუმცა მან მერთან ინტერვიუს ცალკე ჩაწერა მოითხოვა. „რუსთავი 2“-თან ურთიერთობებში მრავალჭირნახული კალაძე დაფიქრდა — ემანდ ჩემი ნათქვამი არ გადაასხვაფერონ, როგორც იციანო და თანამშრომელს „ინტერნეტ ლაივის“ ჩართვა სთხოვა, რამე რომ იყოს, მეც მექნება პარალელური ჩანაწერიო. ამან, როგორც ჩანს, ძალიან გააღიზიანა ჟურნალისტი ქაშიაშვილი, რადგან **გვარამიასგან** დავალებულ მზაკვრულ ჩანაფიქრს ველარ ასრულებდა და ეს გაღიზიანება ყველაფერში დაეტყო — ფსიქიატრიული კლინიკიდან ახალგამოსულივით ცმუკავდა, ხელებს უაზროდ იქნევდა და იმაზეც კი გამოხატა პროტესტი, როდესაც კალაძემ თქვა „რუსთავი 2“-მა ცალკე ინტერვიუ მთხოვაო. **„მე „რუსთავი 2“ არ ვარ, მე ჟურნალისტი ვარ და დავითი მქვია!“.** კიდევ კარგი ბოლოში „ბრატ“-ო არ დააყოლა მცმუკავმა ქაშიაშვილმა, თორემ უკვე საბოლოოდ დაემგვანებოდა საქმის გასარჩევად ჩაცუცქულ ძველ ბიჭს. არადა, ნებისმიერი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი პერსონისგან იმის თქმა — ამა და ამ ტელევიზიამ ინტერვიუ მთხოვაო — სრულიად ჩვეულებრივი ამბავია და ამაში არაფერია შეურაცხმყოფელი. ეს სულაც არ არღვევს მედიასთან ურთიერთობის ეტიკეტს, თუკი ვინმე პერსონალურად და პირადად არ დაასახელებს იმ კონკრეტული ჟურნალისტის სახელსა და გვარს, რომელმაც ინტერვიუ სთხოვა. მისაღები ფორმაა ინტერვიუს მოთხოვნელად ზოგადად მედიასაშუალების დასახელება. ასე რომ, ქაშიაშვილის ეს ნერვულ-ძველბიჭური გამოხდომა სწორედ იმაზე მეტყველებდა, რაც თავიდან ვთქვით: მას არ მოეწონა, **რომ კალაძე თავისი „ლაივის“ მეშვეობითაც იწერდა ინტერვიუს სრულ ვერსიას და „რუსთავი 2“-ს ესპობოდა საშუალება, რომ მაყურებლისთვის დაჩეხილ-დამახინჯებული, კონტექსტიდან ამოგლეჯილი ვერსია მიეწოდებინა.**

ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებითაც კი, მაინც გამაოგნებელი იყო ის, რაც მან ქალაქის მერს ჰკითხა: **„თქვენ აცხადებთ, რომ გაქვთ სპეციალისტების შესაბამისი დასკვნები, რომ ვერეს ხეობის ამ ადგილზე მშენებლობა საშიში არ არის, მაგრამ იღებთ პასუხისმგებლობას იმაზე, რაც შეიძლება აქ 200 წლის შემდეგ მოხდეს?“**

ამით ჟურნალისტმა ქაშიაშვილმა იდიოტური კითხვების ყველა დროის რეკორდი დაამხო, კალაძემ კი მართლა ძალიან გაოგნებულმა დატოვა ოქაურობა.

ბევრი ვეძებე „იუთუბის“ არქივებში, ნაცნობ ჟურნალისტებშიც ვიკითხე, მაგრამ ვერსად ვნახე და ვერც ვერავინ გაიხსენა შემთხვევა, რომ ან პირადად დავით ქაშიაშვილს ან, საზოგადოდ, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს მიშა სააკაშვილის დროს გინდ ქალაქის მერისთვის და გინდ რომელიმე სხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლისთვის, არათუ 200 წლით დაეკისრებინოს პასუხისმგებლობა ამა თუ იმ მშენებლობის გამო, არამედ ის მაინც ეკითხოს — თუნდაც 200 დღის ან 200 წუთის შემდეგ რაც მოხდება, იმაზე თუ ხართ პასუხისმგებელიო.

რა გაეწყობა, ეს არის „რუსთავი 2“-ის „მაღალი მედიასტანდარტი“ და რამენაირად უნდა შევეგუოთ. აკი, ყოფილმა შავმა პროკურორმა და აწ უკვე სწორედ ამ ტელეკომპანიის გენერალურმა დირექტორმა იმასაც შეგვაგუა, რომ პირდაპირ ეთერში დედის გინება და სხვა უხამსი სიტყვების ლაპარაკი ულტრათანამედროვე მედიასტანდარტია.

სტატიის დასაწყისში მავანთა პარადოქსული და ურთიერთგამომრიცხავი მოთხოვნების შესახებ ვილაპარაკე და ზუსტად ასევეა საქმე გვარამიას მხარდამჭერი პოლიტიკოსების, ჟურნალისტებისა თუ უბრალო მოქალაქეების მხრიდანაც. მაგალითად, ზუგდიდში მერის არჩევნებისას ცნობილმა ზუგდიდელმა კოლორიტმა და პოეტმა, ბატონმა **შუკო ჯიქიამ** „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტს უთხრა: სანდრა ბუს კვერცხებს მოიგებსო. „აღშფოთებულმა“ და „გაწითლებულმა“ ჟურნალისტმა გოგონამ ბატონი შუკო „ნამუსზე აგდო“: ხვალ ამ სიტყვებს ეთერში რომ მოისმენთ, არ შეგრცხვებათ პოეტ კაცსო? ამ დროს კი, მისსავე გენერალურ დირექტორს მიჰქონდა ეთერი გაუგნარი უხამსი სიტყვებით და ყველაზე უფრო „მრავალსართულიანი“ გინებებით! თურმე შუკოსთვის ბუს კვერცხები ყოფილა „სამარცხვინო“, ხოლო ნიკასთვის „დედის ტ...ი“ ან „შენს სისხლს დავლევ“ — მაღალი ჟურნალისტური სტანდარტი.

სწორედ ასეა საქმე მაშინაც, როცა პოლიტიკოსები, ჟურნალისტები თუ უბრალო მოქალაქეები „სიძულვილის ენის გავრცელების წინააღმდეგ“ მისაღები კანონის შესახებ მსჯელობენ. აქ პარადოქსული და ტრაგიკომიკური ისაა, რომ ასეთი კანონის ამოქმედების წინააღმდეგ ყველაზე დიდი გავეშებით სწორედ ის პერსონები გამოდიან, რომლებიც სხვა დროს გააფთრებით ითხოვენ ხოლმე „სოციალურ ქსელებში ტროლების თარეშის აღკვეთას“.

მარტივად რომ ვთქვათ, ეს ადამიანები, მაგალითად, **ელისო კილაძე, თაკო ჩარკვიანი,** თვით **ნიკა გვარამიაც,** ასევე სხვადასხვა ნაცი პოლიტიკოსი და ჟურნალსტი, თითქმის ერთი წელია, ხელისუფლებისგან მოითხოვენ ალაგმოს „ტროლები“, რომლებიც სოციალურ ქსელებში შეუარცხმყოფელ და უხამს შეტევებს ახორციელებენ „ოპოზიციაზე“. ისინი ტელემაყურებელსა და ამომრჩეველს ყოველდღიურად მიმართავენ, რომ ხელისუფლება არაფერს არ აკეთებს ამ დამნაშავეების გამოსავლენად და ასალაგმავად, რომ ხელისუფლება თვითონ აფინანსებს ასეთი „ტროლების“ ჯგუფებს და ა.შ.

ახლა კი, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა და პარლამენტის თავმჯდომარემ ოფიციალურად გამოაცხადა, „სიძულვილის ენის გავრცელება კანონით უნდა ავკრძალოთ და უხამსი და შეურაცხმყოფელი გამოხდომებისთვის ადამიანები უნდა ისჯებოდნენო“, თვითონ ამ „ტროლების წინააღმდეგ მებრძოლებმა“ ატეხეს ვაი-ვიში: არიქა, ხალხო „გამოხატვის თავისუფლებას“ გვიზღუდავენო.

უკაცრავად, პატივცემულებო, მაგრამ, თუკი კანონით არ არის აკრძალული პიროვნების შეურაცხმყოფელი მასალის გავრცელება, სიძულვილის ენით ლაპარაკი, უხამსი ლექსიკა საჯარო სივრცეში — აბა, სხვა რა მეთოდით უნდა ალაგმოს ხელისუფლებამ „ტროლების თარეში“? დაუაროს მათ და სათითაოდ ჩამოახრჩოს ქალაქის კარიბჭესთან თუ გილიოტინაზე აიყვანოს და თავები მოჰკვეთოს?

როგორ ფიქრობთ, მკითხველო, რამ აღაშფოთა ასე და რამ გადარია „თაკოები“ „ელისოები“ და სხვები? რამ და, რეალურად „ტროლების ფაბრიკები“, „ქარხნები“ და „დიდი ტროლური ინდუსტრიები“ სწორედ თვითონ მათ აქვთ და საკუთარი „ტროლების“ დასაფარავად სხვას აბრალებენ „ტროლობას“.

ტიგრანასი არ იყოს, **„ოცნების“ პაპის პაპები სად იყვნენ, ჟვანია-სააკაშვილის გუნდი ჯერ კიდევ 20 წლის წინათ რომ „აგორებდა ყომარს“ ქართულ მედიასივრცეში? სწორედ მაშინდელ შეზღუდულ მედიარესურსში აპრობირებული „ფეიკ“, ანუ ცრუ ინფორმაციის გავრცელების ტექნოლოგიაა თანამედროვე სოციალურ ქსელებში „ტროლების მოღვაწეობის“ საფუძველთა საფუძველი, ხოლო, დღევანდელი ნაცები და ნაცგანაყოფები რომ სწორედ „მაშასადამე ევროპელის“ მიერ შემუშავებული ბინძური მეთოდებით მოქმედებენ დღესაც, ეს ამ თემებში ოდნავ ჩახედულმა ნებისმიერმა ადამიანმა იცის.**

„ჩვენი მაღალიც“ სწორედ მაგ სკოლის „წმინდა მიხეილის ჯგუფის“ ბეჯითი მოსწავლეა და, სანამ ზოგიერთი „ყვარყვარე“ მიხვდება, „რა ასწავლეს მას ამისთანა იმ წმინდა მიხეილის ჯგუფში“, მანმადე, დაგვექცევა კი არა, დაგვექცა კიდეც ქვეყანა თავზე.

მოკლედ ასე: **„ტროლების“ დასჯის მომთხოვნები სიძულვილის ენის ალაგმვისკენ მიმართულ კანონპროექტს აპროტესტებენ, გამოხატვის უფლებას გვიზღუდავს მთავრობაო. დედის გინება, მამაკაცის სასქესო ორგანოს პირდაპირ ეთერში ხშირად ხსენება და ყველასი და ყველაფრის შეურაცხყოფა ყოფილა მათთვის გამოხატვა, თავისუფალი აზრი და დემოკრატიის საფუძველი.**

**როგორც ცნობილი ქართული ფილმის გმირი იტყოდა, „მკვლელები კლავენ, ბოზები ბოზობენ... ი რაზვე ეტო ნარმალნო?!“**

სხვათა შორის, უნდა შეგახსენოთ, რომ ხსენებული ფილმი „კომუნისტების დროს გამეფებულ განუკითხაობას“ გმობდა და მკაცრად აკრიტიკებდა... როგორ ფიქრობთ, ამ კუთხით უკეთესობისკენ არის ახლა რამე შეცვლილი თუ უარესობისკენ? მაშინ ინანიებდნენ მაინც და ახლა ეს უტიფრები საკუთარ თავს „სიტყვის თავისუფლებისთვის“ მებრძოლ გმირებად გვიხატავენ.

**«ტროლების» დასჯის მომთხოვნები სიძულვილის ენის ალაგმვისკენ მიმართულ კანონპროექტს აპროტესტებენ, გამოხატვის უფლებას გვიზღუდავს მთავრობაო. დედის გინება, მამაკაცის სასქესო ორგანოს პირდაპირ ეთერში ხშირად ხსენება და ყველასი და ყველაფრის შეურაცხყოფა ყოფილა მათთვის თავისუფალი აზრი, გამოხატვა და დემოკრატიის საფუძველი. როგორც ცნობილი ქართული ფილმის გმირი იტყოდა, «მკვლელები კლავენ, ბოზები ბოზობენ... ი რაზვე ეტო ნარმალნო?!»**

SᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ Ე.Წ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲣᲬᲧᲔᲡ „ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ“ „ᲗᲔᲗᲠ ᲛᲔᲚᲐᲡ“, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲙᲐᲛᲖᲔ ᲓᲐᲡᲙᲣᲞᲓᲐ (ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲨᲘᲖᲝᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ) ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ — ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ (ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ). ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ ᲩᲐᲡᲕᲐ ᲓᲐ ᲪᲝᲪᲮᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲐ, ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲡᲝᲮᲣᲛ-ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲙᲝᲓᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲝᲠᲘᲪ ᲣᲑᲝᲫᲐ; ᲮᲝᲚᲝ ᲛᲔᲝᲠᲔᲛ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲘ ᲒᲠᲐᲤᲐ ᲐᲛᲝᲐᲦᲔᲑᲘᲜᲐ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘᲓᲐᲜ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲬᲐᲒᲕᲐᲠᲗᲕᲐ ᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲡᲪᲚᲝᲓᲐ, ᲖᲔᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲡᲢᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ „ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ, ᲚᲒᲑᲢᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲐᲖᲐᲨᲘ, ᲐᲜᲣ ᲘᲛ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ᲞᲔᲓᲔᲠᲐᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐᲛᲓᲔ

**ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, გადაუჭარბებელი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს ქოც-ნაცური ხელისუფლების ყოფნა-არ ყოფნის წამმზომი ჩართულია. დიახ, ქოც-ნაცური, რადგან დიდი ხანია, მკითხველთან შეთანხმებულები ვართ, რომ, თუ არ ჩავთვლით „პატრიოტთა ალიანსს“, საქართველოს პარლამენტში არავითარი ოპოზიცია არ არსებობს.**

**ᲣᲘᲐᲠᲐᲦᲝᲡ** („პრადვინუტი“ ქოც-ნაცების საყურადღებოდ: იყო ასეთი ფსევდონიმის მქონე მწერალი — **ᲙᲝᲜᲓᲠᲐᲢᲔ ᲗᲐᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** რომელმაც ქართველებს სულისშემძვრელი მოთხრობა „მამლუქი“ დაგვიტოვა) **ხვიჩა და გოჩას მცირედი პერიფრაზით გამოვა, რომ არც ქოცია ქართველი და არც ნაცი, ორივენი ლიბერასტი სოროსების ნაბუშრები არიან.**

აქედან გამომდინარე, ალბათ, უპრიანი იქნება ვთქვათ: ერთი წყალს წაუღია და მეორე — მეწყერს, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში ხელისუფლების ყოფნა-არ ყოფნის მიმართ ჩართული წამმზომი, საქართველოს ყოფნა-არ ყოფნის წამმზომის ჩართვასაც ნიშნავს. უფრო სწორად, ქართული მენტალობის, საქართველოსა და ქართველის ყოფნა-არ ყოფნა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენ ხანს გასტანს ლიბერასტი ქოც-ნაცების ხელისუფლების ბოგინი და, თუ ის შეიცვლება, რეალურ-თვისობრივად უნდა შეიცვალოს.

მოკლედ, ხელისუფლების შეცვლა თუ ჩანაცვლება არჩევნებისა თუ რევოლუციური სცენარით, ქვეყნისთვის ისეთივე საბედისწერო იქნება, როგორც არაერთგზის ყოფილა საქართველოს უახლეს ისტორიაში.

პირველი საბედისწერო ცვლილება ეს **ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ** მრგვალი მაგიდის ხელისუფლებაში მოსვლა იყო, როდესაც საქართველომ ნანატრი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ ქართველ ერს დიდხანს არ დასცალდა თავისუფლებით ტკბობა, რადგანაც ზვიად გამსახურდიას პირველი და, როგორც აღმოჩნდა, ჯერჯერობით ერთადერთი ეროვნული ხელისუფლება კრიმინალური გადატრიალების გზით დაამხეს **ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜ-ᲙᲘᲢᲝᲕᲐᲜᲘᲡ** ბანდებმა და ხელისუფლებაში საქართველოს „უძღები შვილი“ **ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ** დაბრუნდა, რომელმაც სამხედრო ხუნტის ხელისუფლება 1992 წელს არჩევნებად წოდებული ფარსით გაალეგიტიმურა. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მართალია, შევარდნაძის ხელისუფლება ეროვნულობით ვერ დაიტრაბახებდა, მაგრამ ვერც ლიბერასტობას დასწამებდა ვინმე.

ხელისუფლების თანდათანობითი და, აქედან გამომდინარე, პირველ ხანებში ძნელად შესამჩნევი ლიბერასტიზაცია (თუ ასე თქმა უპრიანია) 1995 წლის არჩევნების შემდეგ დაიწყო, როდესაც ედუარდ შევარდნაძემ ხელისუფლებაში თავისი გამოზრდილი, ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორების გუნდი შეიყვანა **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲟᲕᲐᲜᲘᲐᲡᲐ** და **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** მეთაურობით.

სწორედ ამ ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებმა მოუწყეს „ვარდების რევოლუცია“ „თეთრ მელას“, შემდეგ ერთი საქართველოს პრეზიდენტის სკამზე დასკუპდა (აშკარა შიზოიდი და ამიტომ საშიში ქვეყნისთვის) და მეორე — პრემიერმინისტრის (აშკარად ჭკვიანი და ამიტომაც უფრო საშიში, ქართველი ლიბერასტების მამა). პირველმა ნახევარი საქართველო ციხეში ჩასვა და ცოცხებით გააუპატიურა, რუსეთს სოხუმ-ცხინვალთან ერთად კოდორი და ახალგორიც უბოძა; ხოლო მეორემ ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფა ამოაღებინა პასპორტიდან, ქართველობა წაგვართვა და, რომ დასცლოდა, დარწმუნებული ვარ, ზემოხსენებული ლიბერასტიზაცია დიდი ხნის გადასული იქნებოდა „განვითარების“ შემდგომ, ლგბტზაციის ფაზაში, ანუ იმ უბედურებაში, რომელშიც არის დღეს საქართველო.

და აი მივადექით მთავარ სათქმელს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ ვთანხმდებით, რომ დღევანდელი უბედურებების სათავე ე.წ. ვარდების რევოლუციაშია საძებნი, თამამად შეიძლება ვუწოდოთ „ვარდების რეოლუციას“ ნეოლიბერასტული, ხოლო უფრო თამამად — პედერასტების რევოლუცია, რომლის ფესვებიც, ვიმეორებთ, ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორების ხელისუფლებაშია საძებნი, ხოლო ის, რასაც ლგბტების არნახული თავხედობა ჰქვია, მხოლოდ და მხოლოდ ამ ფესვებიდან აღმოცენებული ნაყოფია.

თუმცა ნეოლიბერალური იდეოლოგია ხომ მხოლოდ ლგბტ-თემის გაჯეჯილებას არ ნიშნავს?! ამ იდეოლოგიის მიმდევართათვის აბსოლუტურად მიუღებელია სამშობლოს, ეროვნების, წინაპართა ხსოვნის, პატრიოტიზმის, ოჯახის სიწმინდის, ცოლქმრული ერთგულების, საზოგადოებრივი მორალის და ა.შ. ცნებები, რომელთა აღიარების, პატივისცემის გამო ადამიანი განსხვავდება ცხოველისგან.

სწორედ ხელისუფლებებში ამ ცნებების დეფიციტის გამო დავკარგეთ ტერიტორიები და კიდევ უფრო მეტის დაკარგვის რეალური საფრთხე გვემუქრება. ეს რომ ასეა, თუნდაც დავითგარეჯის თემაც მოწმობს. სწორედ ეს თემა იყო მთავარი გასულ კვირაში „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ თავისუფლების მოედანზე მრავალათასიანი მიტინგის გამართვისა. აქციაზე, რომელზეც ჩვენი და აზერბაიჯანის(!) ხელისუფლებების გასაგონად კიდევ ერთხელ გაცხადდა ქართველი ხალხის უდრეკი ნება, რომ, მართალია, აზერბაიჯანი ჩვენი მოძმე და სტრატეგიული მეზობელია, მაგრამ დავითგარეჯა საქართველოა და მას ქართველი ერი არ დათმობს. მაგრამ, რომ იტყვიან, არ ასვენებთ გამჩენიო, და **მას შემდეგ, რაც შს მინისტრმა გიორგი გახარიამ ქართველ ჰომოსექსუალებს გეიაღლუმის უსაფრთხოდ ჩატარების გარანტიის მიცემაზე უარი სტკიცა, აზმუვლდნენ და აღნავლდნენ ლგბტ თემი და მათი მხარდამჭერი არასამთავრობო ხლისტები,**







**— არიქა, დემოკრატიის უპირველეს მონაპოვარს, კონსტიტუციაში ჩაწერილ გამოხატვის თავისუფლებას გვართმევენო და ე.წ. თბილისი-პრაიდის აქტივისტებმა და მათმა მხარდამჭერმა არასამთავრობო თუ სამთავრობო ბუდარა-ბუდარიხებმა მთავრობის კანცელარიასთან საპროტესტო აქცია გამართეს. აქცია, რომელსაც „დაეჯახა“ კონტრაქცია ლევან ვასაძის თაოსნობით.**

შედეგად, ადმინისტრაციული წესით, პოლიციამ მხოლოდ კონტრაქციის მონაწილე 28 კაცი დააკავა, მაგრამ ხელი არ უხლიათ აშკარად პროვოკატორი პედერასტებისთვის. ამან სამართლიანად აღაშფოთა ხალხი და ლევან ვასაძემ ვერის ბაღში მამაკაცების შეკრება გამოაცხადა, რომელზეც მრავალი თბილისელი თუ კვირას სპეციალურად ამ შეკრებისთვის რაიონებიდან ჩამოსული მამაკაცები მოვიდნენ და თბილისი-პრაიდის ჩაშლის სამოქმედო გეგმაც შემუშავდა. მეტს არაფერს არ ვიტყვი, რადგანაც ქამრებისა და კომბლების შესახებ ყველამ შეიტყო და ამიტომ მხოლოდ ერთს დავძენ: თუ „ვარდების რევოლუციას“ პედერასტების რევოლუცია ვუწოდეთ, მაშინ ვერის ბაღში შეკრებას კონტრრევოლუციის დასაწყისი შეიძლება ვუწოდოთ. „პატრიოტთა“ მიერ თავისუფლების მოედანზე გამართული მიტინგიდან და ვერის ბაღში შემდგარი შეკრებიდან გამომდინარე, ერთი ფაქტის კონსტატაცია შეიძლება — დავითგარეჯაცა და ლგბტ თემის პრობლემაც არამატერიალური, ვიტყოდი, სულიერების (თუ ასე თქმა მართებულია) სუბსტანციაა. მკითხველს ვთხოვ, მკრეხელობაში ნუ ჩამითვლის ერთი შეხედვით შეუთავსებელთა შეთავსების მცდელობას. დიახ, ერთი შეხედვით, რადგან, თუ დავითგარეჯის სულიერება სადავო არ არის და ლგბტ თემატიკასაც კარგად შევხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ მამათმავალთა მიმართ საზოგადოების აღშფოთებაც სულიერი ღირებულება-ფასეულობების უარყოფის და ხშირად ამ ბინძური ხალხის მიერ რელიგიური სიწმინდეების შეურაცხყოფის ნაყოფია. იმედისმომცემია ის, რომ, მართალია, ქართველ ხალხს არც ეკონომიკურ-სოციალური პრობლემები აკლია, მაგრამ პრიორიტეტად ისევ ზნეობრივი საკითხები მიაჩნია და არა, უკაცრავად და, კუჭთან დაკავშირებული თემები... **ხელისუფლებებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველი ერის ქვეცნობიერში არსებობს ე.წ. წითელი ხაზები, რომელთა გადმოკვეთის უფლებას არავის მისცემს.**

დავითგარეჯა სწორედ ის წითელი ხაზი იყო, რომლის გადმოკვეთის გამო „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ორგანიზებულ აქციაზე ათასობით ქართველი მიაწყდა დასაცავად ქართული სულიერების წმინდა სავანეს და შემდეგ უკვე იმავე პოლიტიკური ძალის ორგანიზებითა და იმავე მოტივით თბილისში, თავისუფლების მოედანზე ათიათასობით ქართველი შეიკრიბა. ლგბტ თემის მიმართ საზოგადოების აღშფოთების მთავარი მიზეზიც ე.წ. წითელი ხაზების გადაკვეთაა.

მე, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანს, არ შემიძლია მშვიდად ვუყურო, მამათმავლებს კი არა (თავშიც ქვა უხლიათ), ამ მომაკვდინებელი ცოდვის პროპაგანდას. თბილისი-პრაიდი თუ ლგბტ პირების ნებისმიერი საჯარო მანიფესტაცია ბინძური უკანალების ქნევის თანხლებით სწორედ სოდომის ცოდვის პროპაგანდაა.

ისე, ცოდვაც არის და ცოდვაც. მათ შორისაც არის გრადაცია სიმძიმის მიხედვით და წმინდა მამების სწავლებების მიხედვით, ყველაზე მძიმე, მომაკვდინებელი ცოდვა ზოოფილია, ანუ ცხოველებთან სქესობრივი კავშირია, მეორეა მამათმავლობა, რომლის შენდობასაც 25-წლიანი ეპტიმია, ანუ ეკლესიური სასჯელი სჭირდება და მხოლოდ მესამეა კაცის კვლა 10-წლიანი ეპტიმიით. როგორც იტყვიან, უკომენტაროდ.

ლგბტ ღონისძიებებს — სირცხვილი, ხოლო მამათმავლობას ავადმყოფობა უწოდა ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა კათალიკოს-პატრიარქმა, რის გამოც ევროკომისიამ სიძულვილის ენით საუბარი დააბრალა სიყვარულის, სათნოების განსახიერება ილია მეორეს და ამის გამო ქართველი ლგბტ თემის სამიზნეშია ამოღებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი. მეტიც, პედერასტების ერთ-ერთი წინამძღოლი, ვინმე **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲐᲑᲐᲒᲐᲠᲘ** გვემუქრება: მოვა დრო და სტალინურ რეპრესიებს მოგანატრებთ, ვინც ბედავთ და ლგბტ თემის წინააღმდეგნი ხართო. ყველანი ერთად კი რუსული ინტერესების დამცველებად, რუსული ნარატივის გამტარებლებად შეგვრაცხა ამ ქათამმა და, იცით, ალბათ, რატომ. ქრისტიანულ სამყაროში რუსეთი არის ერთადერთი ქვეყანა, რომლის საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონით 99 წლის ვადით აკრძალულია არასრულწლოვანებში გეიპროპაგანდა და, აქედან გამომდინარე, გეიაღლუმი ვერ ჩატარდება ამ უზარმაზარი რუსული სახელმწიფოს ქალაქებში და სწორედ ეს აცოფებთ მსოფლიოს ნეოლიბერასტებს.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲮᲔᲘᲫᲔ**

**P.S. ზემოთ ლიბერასტიზაცია და მისი ბუნებრივი გაგრძელება — ლგბტ-ზაცია ვახსენე და ახლა ამ ტერმინების მიმართ შესანიშნავი ქართული ფილმიდან „შეხვედრა წარსულთან“ გენიალური იპოლიტე ხვიჩიას გმირის ეპიზოდი გამახსენდა: კოლექტივი, კი ვიცი, რაა, მარა ზაცია რა არის? თუ ფილმიდან პერიფრაზირებულ კითხვას დავსვამთ: ლიბერასტი და ლგბტ, კი ვიცით, რა არის, მაგრამ ზაცია რა არის? გიპასუხებთ, რომ ლიბერასტიზაცია მოსახლეობის მომზადებაა სოდომის ცოდვის მიმართ ლოიალური დამოკიდებულებისთვის, ხოლო ლგბტზაცია ამ ლოიალურობის შედეგად ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინების დაკანონება და „მშობელი №1“-ისა და „მშობელი №2“-ისთვის ბავშვების შვილად აყვანის უფლების მიცემაა.**

პოსტსაბჭოთა სივრცე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბრძენი ნაზარბაევი ხვდებოდა, რომ ქვეყანა მუდამ ვერ დაეყრდნობა ერთი კაცის ავტორიტეტს; ამიტომ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება — მოემზადებინა ხელისუფლების ცვლილება პოლიტიკური სტაბილურობისა და ეკონომიკის ზრდის პერსპექტივის დაკარგვის გარეშე. ყაზახეთის დემოკრატიზაცია საშინაო პროცესია, იგი წარმოადგენს საზოგადოების სოციალურ დაკვეთას და ადგილი არ აქვს საეჭვო დემოკრატიის იმპორტს, რომელიც არ ესადაგება არა მხოლოდ ყაზახეთს, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცის ძალიან ბევრ ქვეყანას.**

# ყაზახეთი: დემოკრატიის მშენებლობა საკუთარი ძალებით



**ყაზახეთს ახალი არჩეული პრეზიდენტი ჰყავს. ამ ქვეყანაში მიმდინარეობს სერიოზული დემოკრატიული პროცესები, რომლებსაც ხელს უწყობს ხელისუფლება. ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ისტორიული არჩევნების დღეს, 2019 წლის 9 ივნისს, როდესაც გამიმართლა, პირადად გამეშუქებინა ეს მოვლენა რესპუბლიკის დედაქალაქიდან, თანამდებობიდან ნებაყოფლობით გადამდგარმა პირველმა პრეზიდენტმა ბრიფინგზე განაცხადა: „გაგიმხელთ ერთ საიდუმლოს — გადადგომაზე ფიქრი და მისთვის მზადება დავიწყე სამ წელიწადზე ცოტა მეტი ხნის წინათ“. ნაზარბაევის თქმით, მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი ფიქრობდა, აფასებდა და აანალიზებდა ვითარებას, აკვირდებოდა თავისი საქმის ღირსეულ გამგრძელებლებს, მაგრამ, რაც მთავარია, ხვეწდა უკვე არსებულ სახელმწიფო ინსტიტუტებს და ქმნიდა ახლებს. ამ საკმაოდ ხანგრძლივი პროცესის დამაგვირგვინებელი აქტი იყო სახელმწიფოს ახალი მეთაურის თავისუფალი, კონკურენტული არჩევნები (მონაწილეობდა შვიდი კანდიდატი), ამ არჩევნებმა წარმატებით ჩაიარა და ქვეყანა დემოკრატიული განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა.**

ყოველივე გარედან ჩარევის გარეშე მოხდა, მხოლოდ და მხოლოდ ყაზახების ძალისხმევით. ბრძენი **ნაზარბაევი** ხვდებოდა, რომ ქვეყანა მუდმივად ვერ დაეყრდნობა ერთი კაცის ავტორიტეტს; ამიტომ მან მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება — მოემზადებინა ხელისუფლების ცვლილება პოლიტიკური სტაბილურობისა და ეკონომიკის ზრდის პერსპექტივების დაკარგვის გარეშე. ყაზახეთის დემოკრატიზაცია საშინაო პროცესია, იგი წარმოადგენს საზოგადოების სოციალურ დაკვეთას და ადგილი არ აქვს საეჭვო დემოკრატიის იმპორტს, რომელიც არ ესადაგება არა მხოლოდ ყაზახეთს, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცის ძალიან ბევრ ქვეყანას, მაგრამ ხანდახან იძულებულნი არიან, ის მიიღონ...

ყაზახეთმა ღირსეულად ჩაატარა არჩევნები და მას ჰყავს ღირსეული ახალი პრეზიდენტი — უდიდესი გამოცდილების მქონე დიპლომატი და მმართველი **ყასიმ-ჟომარტ ტოკაევი.** ეს ინტელიგენტი, მცოდნე, საქმიანი, თავმდაბალი და მომხიბლავი ადამიანი, რომელმაც ამომრჩეველთა 70 პროცენტზე მეტი ხმა მიიღო, გაურბის ხმამაღალ განცხადებებს და მოუთმენლად ელის სახელმწიფო მეთაურის თანამდებობაზე ყოველდღიური სამუშაოს დაწყებას. მასობრივ ინფორმაციის საშუალებებს ტოკაევმა 10 ივნისს შემდეგი განუცხადა:

„შედეგების გამოცხადების შემდეგ, გასაკვირია, მაგრამ არ განვიცდიდი რაიმეს. არ ვიცი, რატომ, მხოლოდ სიმშვიდე დამეუფლა. სავარაუდოდ, ალბათ, მაინც იმის გამო მოხდა ეს, რომ უკვე იმაზე ვფიქრობ, რა გავაკეთო შემდგომ, სამუშაო გრაფიკი ძალზე დატვირთულია. ასეთ ვითარებაში სიცილისა და სიხარულის დრო არ მრჩება. თვით სიტყვა „გამარჯვება“ უფრო სამხედრო კონფლიქტების სფეროს განეკუთვნება, ვიდრე არჩევნებს, დღის წესრიგში იდგა ამომრჩევლების ჩემდამი დამოკიდებულების გარკვევა... 14 ივნისს უნდა გავემგზავრო ბიშკეკში შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტში მონაწილეობითვის, შემდეგ კი დუშანბეში მიწევს წასვლა“.

ტოკაევისთვის მიუღებელია ტერმინი „ხელისუფლების ტრანზიტი“, რომელიც დამკვიდრდა პოლიტოლოგიურ და ჟურნალისტურ წრეებში. ყაზახეთში უზრუნველყოფილია სიტყვის თავისუფლება და ტოკაევს არ შეუძლია, ვინმეს აუკრძალოს ამ ტერმინის გამოყენება. ანალიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ე. წ. „ხელისუფლების ტრანზიტი“ მხოლოდ საწყის მდგომარეობაშია და ყაზახეთს წინ ელის სახელმწიფოებრივ-სტრუქტურული ცვლილებები. ამაზე ღიად მსჯელობენ ქვეყნის სატელევიზიო არხების თოკ-შოუებში, რომლებსაც მე მოვუსმინე.

ალსანიშნავია ყაზახეთის პოლიტოლოგიური საზოგადოების მაღალი დონე, აქ უფროსი თაობის ბევრი გამოცდილი სპეციალისტია, მაგრამ კიდევ უფრო მეტია მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტი; საგანმანათლებლო პროგრამამ და მსოფლიოს საუკეთესო უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტების მიერ ცოდნის მიღების სახელმწიფოებრივმა მხარდაჭერამ თავისი შედეგები მოიტანა. ჩვენი თოკშოუებისგან განსხვავებით, ყაზახეთში ოპონენტები ერთმანეთს პიროვნულად არ ესხმიან თავს, არ არის

**ყაზახეთმა ღირსეულად ჩაატარა არჩევნები და მას ჰყავს ღირსეული ახალი პრეზიდენტი — უდიდესი გამოცდილების მქონე დიპლომატი და მმართველი ყასიმ-ჟომარტ ტოკაევი. ეს ინტელიგენტი, მცოდნე, საქმიანი, თავმდაბალი და მომხიბლავი ადამიანი, რომელმაც ამომრჩეველთა 70 პროცენტზე მეტი ხმა მიიღო, გაურბის ხმამაღალ განცხადებებს და მოუთმენლად ელის სახელმწიფო მეთაურის თანამდებობაზე ყოველდღიური სამუშაოს დაწყებას**



ზედმეტი ემოციები და, მით უმეტეს, შეურაცხყოფა; არის პოლიტიკური ვითარების კრიტიკული განხილვა და ოპტიმალური შესაძლო გადაწყვეტილებების ძიება.

ასეთ მდგომარეობას თანამდევი მოვლენებიც ახლავს. როგორც ტელეარხ „ხაბარის“ თოკშოუს ერთ-ერთმა მონაწილემ არჩევნების დასრულების საღამოს აღნიშნა, საზოგადოება ერთგვარად გადაიღალა ყაზახურ პოლიტიკაში შოუს ელემენტებისა და მძაფრი განცდების არარსებობის გამო, განსხვავებით ისეთი ქვეყნებისგან, როგორც, მაგალითად, უკრაინაა, სადაც შოუმენად თვითონ პრეზიდენტი გვევლინება. როგორც ჩანს, საზოგადოების ნაწილისთვის შოუ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფოს განვითარება, ამიტომ ქალაქების — ნურ-სულთანისა და ალმატის — ქუჩებში რამდენიმე ასეული ადამიანი გამოვიდა პროტესტის ნიშნად, თუმცა რას აპროტესტებდნენ ისინი, გაუგებარი დარჩა. არჩევნები ჩატარდა და ეს არის ლეგიტიმური არჩევნები, ამიტომ მათ არ შეეძლოთ, გაეპროტესტებინათ არჩევნების შედეგები, ვინაიდან არანაირი არსებითი ხასიათის დარღვევები არ იქნა გამოვლენილი. **გამოდის, რომ „პროტესტანტებს“ მხოლოდ ყაზახეთის იმიჯის გაფუჭება და შემდგომი ესკალაციისთვის პირობების შექმნა სურდათ. ქვეყნის გარეთ არიან გავლენიანი ძალები, რომლებსაც ხელს არ აძლევთ სტაბილური და სუვერენული ყაზახეთი, სწორედ ამ ძალების მხრიდან „დაუბერა ქარმა“.** ქაოსის შექმნის მოსურნეები, რომლებიც აგრესიულად იქცეოდნენ, ქუჩებში შეთანხმებულად, ორგანიზებულად გამოვიდნენ, მათ აშკარად ერთი ცენტრიდან აძლევდნენ მითითებებს. სამართალდამცავმა ორგანოებმა კანონით გათვალისწინებული ზომები მიიღეს, რათა არ დაეშვათ არეულობა არჩევნების დღეს, როდესაც ხალხი საარჩევნო უბნებზე გადიოდა და უკან ბრუნდებოდა, მაგრამ პროვოკატორებმა მიიღეს ვიდეოკადრები — პოლიციელები აკავებენ სამოქალაქო პირებს. სწორედ ამის ტირაჟირება მოახდინა **დასავლურმა მასმედიამ, რომელიც არანაირ არჩევნებს არ სცნობს, თუ ის დასავლეთის ქვეყნებში დაწერილი გარკვეული სცენარის მიხედვით არ მიმდინარეობს... სამწუხაროა, რომ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს მოხსენებაში დაუსაბუთებლად არის აღნიშნული დარღვევები, რომლებიც სინამდვილეში არ მომხდარა.**

მაგრამ ეს ყველაფერი უკვე ხელს ვერ შეუშლის ახალი პრეზიდენტის წარმატებულ სტარტს. პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ყაზახეთში არავინ კრძალავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, თუკი ეს ხდება კანონის ფარგლებში, სხვა მოქალაქეებისთვის საფრთხის შექმნის გარეშე. რაც შეეხება ეუთოს კრიტიკას, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამ ორგანიზაციის გარდა არსებობს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც, არანაკლებ ავტორიტეტული, რომლებიც აკვირდებოდნენ არჩევნებს და მაღალი შეფასება მისცეს მას. მართლაც, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიისა და ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიების ხელმძღვანელებმა **ვლადიმერ ნოროვმა** და **მაჰმუდ ალ რაისიმ** დადებითად შეაფასეს არჩევნები. დადებითად დაახასიათეს ეს არჩევნები გერმანელმა დამკვირვებლებმა, საზოგადოებრივმა მოღვაწეებმა და დიპლომატებმა: **ვ. ბორნმა, ჰ. ცერტიკმა** და **კ. გროსემ**, საერთაშორისო დამკვირვებლებმა, პარლამენტარებმა რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, საფრანგეთიდან, ისრაელიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, ასევე დსთ-ს დამკვირვებლებმა. განსაკუთრებით აღვნიშნავ ჩვენს პარლამენტარებს — **კ. ოქრიაშვილს, რ. ნიკოლაიშვილსა** და **ს. ნოზაძეს**, რომლებმაც 9 ივნისის ბრიფინგზე მკაფიოდ განაცხადეს, რომ არჩევნები მიმდინარეობს ძალზე მაღალი სტანდარტების შესაბამისად და დარღვევების გარეშე.

დასასრულ, არჩევნების შემდეგ, 10 ივნისს, სასტუმრო „ბესტ ვესტერნის“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საერთაშორისო მრგვალი მაგიდა, სახელწოდებით „ხელისუფლების ტრანზიტი — ახალი ყაზახეთი: ელიტების კონსოლიდაცია“, რომელშიც ვმონაწილეობდი. ამ ღონისძიების ინიციატორის როლში გამოვიდა გეოპოლიტიკური პროგნოზირების საერთაშორისო ცენტრი „აღმოსავლეთი-დასავლეთი“ და მისი დამფუძნებელი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი **კარგილაშ ნუგმანოვა.** მრგვალი მაგიდის მონაწილეები იყვნენ ცნობილი ყაზახი და უცხოელი პოლიტიკოსები. არჩევნების შემდგომი ყაზახეთის შიდაპოლიტიკური რეალიები განხილულ იქნა რეგიონულ და გლობალურ გეოპოლიტიკურ კონტექსტში.

**გულბაათ რცხილაძე**

დიდ სამამულო ომში, რომელიც, სტალინის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა გერმანიის დედაქალაქ ბერლინში, მილიონობით ადამიანმა გაწირა თავი სამშობლოს დასაცავად, ასიათასობით ადამიანი კი რუსეთიდან, ბელარუსიდან, უკრაინიდან, საქართველოდან, ყაზახეთიდან და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრესტისა და სევასტოპოლის ბრძოლებში, მოსკოვისა და სტალინგრადის დაცვაში, ვორონეჟისა და პროხოროვკის, კენიგსბერგისა თუ ბერლინის ბრძოლებში, დღესაც უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

თარიღი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# არავინ და არაფერია დავიწყებული!

## დიდი სამამულო ომის დაწყებიდან 78 წელი გავიდა

**22 ივნისს შესრულდება დიდი სამამულო ომის (1941 წლის 22 ივნისი-1945 წლის 9 მაისი) დაწყებიდან 78 წელი, ომისა, რომელმაც უამრავი ტანჯვა-წამება და მწუხარება მოუტანა მსოფლიოს ხალხებს. ამ ომში, რომელმაც უზარმაზარი გავლენა იქონია კაცობრიობის მომავალზე, მონაწილეობდა იმხანად არსებული 73 სახელმწიფოდან 62 (დედამიწის მოსახლეობის 80%). საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე, შეიარაღებულ ძალებში მობილიზებული იყო 110 მლნ ადამიანი. საერთო ადამიანურმა დანაკარგებმა შეადგინა 60-65 მლნ ადამიანი, მათგან ფრონტზე დაიღუპა 27 მლნ.**

მეორე მსოფლიო ომში ყველაზე მეტი ადამიანი დაკარგა **საბჭოთა კავშირმა** — 27 მლნ, შემდეგ **ჩინეთმა** — დაახლოებით 20 მლნ, **გერმანიამ** — დაახლოებით 10 მლნ, **პოლონეთმა** — 6 მლნ, **იაპონიამ** — 3 მლნ, **იუგოსლავიამ** — 3 მლნ. სამხედრო ხარჯებმა და დანაკარგებმა შეადგინა 4 ტრილიონი დოლარი. მატერიალურმა დანახარჯებმა მიაღწია ომში ჩართული სახელმწიფოების ეროვნული შემოსავლის 60-70%-ს.

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია და მისი ევროპელი მოკავშირეები (უნგრეთი, იტალია, რუმინეთი, სლოვენია, ფინეთი, ხორვატია) ომის გამოუცხადებლად დაესხნენ თავს საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს. მეორე მსოფლიო ომი კი დაიწყო 1939 წლის 1 სექტემბერს, როცა ნაცისტური გერმანია შეიჭრა პოლონეთში (თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ მეორე მსოფლიო ომი დაიწყო 1931 წელს იაპონიის თავდასხმით ჩინეთზე, შემდეგ კი მიმდინარეობდა, როგორც ლოკალური კონფლიქტების ჯაჭვი: **იაპონია-ჩინეთის** (1931-45), **იტალია-ეთიოპიის** (1935-41) ომების, **ესპანეთის სამოქალაქო ომის** (1939), **ავსტრიის ანშლუსის** (1938 წლის მარტი), **სუდეტის ოლქის** (1938 წლის ოქტომბერი), შემდეგ კი სრულიად **ჩეხოსლოვაკიის** (1939 წლის მარტი) **ოკუპაციის** და ა.შ. ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ **პოლონეთისა** (1939 წლის სექტემბერი) და **ნორვეგიის** (1940 წლის აპრილ-ივნისი) ოკუპაცია გერმანელების მიერ, **ბელგიის** სამხედრო კამპანია და **საფრანგეთის ოკუპაცია** (1940 წლის მაისი-ივნისი), **იუგოსლავიისა** (1941 წლის აპრილი) და **საბერძნეთის** ოკუპაცია გერმანელებისა და იტალიელების მიერ (1941 წლის აპრილ-მაისი). ყველა ეს სამხედრო კამპანია ხანმოკლე და ნაკლებად სისხლისმღვრელი იყო დიდ სამამულო ომთან შედარებით.

მეორე მსოფლიო ომის მიზეზები პირველი მსოფლიო ომის შედეგებში უნდა ვეძებოთ, როცა დაინგრა 4 იმპერია და შეიქმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო. გამარჯვებული სახელმწიფოები შეეცადნენ ნაციონალური საკითხების მოგვარებას, მაგრამ მოხდა პირიქით — წარმოიქმნა ახალი ნაციონალური და სახელმწიფოებრივი პრობლემები — ვერსალის სისტემა (1919 წლის ვერსალის სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ ფრანგმა მარშალმა **ფერდინანდ ფოშმა** განაცხადა: **„ეს, მშვიდობა კი არა, 20-წლიანი ზავია“)** აგებული იყო დამარცხებული ქვეყნების — უწინარესად, გერმანიისა და რუსეთის — დამცირებასა და ძარცვაზე, სწორედ ამან უბიძგა გერმანიას რევანშისკენ.

არსებობდა სხვა მიზეზებიც. ინგლისმა, საფრანგეთმა და აშშ-მა ვერ შეძლეს ისეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა ევროპისა და ამერიკის ეკონომიკურ აყვავებას. 1929 წელს მსოფლიოში დაიწყო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც მასობრივი უმუშევრობა გამოიწვია. მან კი ხელი შეუწყო 1933 წელს გერმანიის ხელისუფლების სათავეში **ჰიტლერის** მოსვლას, თუმცა ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში ვერ მოვიდა პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნების დახმარების გარეშე — ინგლისსა და საფრანგეთს სურდა, გერმანიას ომი დაეწყო საბჭოთა კავშირთან და სწორედ ამისთვის აქეზებდნენ ფაშისტებს. 1938 წელს სწორედ საფრანგეთისა და ინგლისის ხელშეწყობითა და ჩუმი თანხმობით შეძლო ჰიტლერმა ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია; შემდეგ კი, როცა მომძლავრდა, საფრანგეთსა და ინგლისს მიუბრუნდა. ნიურნბერგის პროცესზე გერმანელმა ფელდმარშალმა **კეიტელმა** განაცხადა: **„1939 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით, რომელიც მიუნხენში მივიღეთ, ჩვენი მიზანი იყო საბჭოთა კავშირის განდევნა ევროპიდან. გერმანიის გადაიარაღების დასრულება და სამომავლო მზადება“...**



**დიდი სამამულო ომი — ეს არის ისტორიის გამოცდა, რომელიც საბჭოთა ხალხმა უზარმაზარი დანაკარგის ფასად ჩააბარა, ამიტომ მისი დავიწყების უფლება არავის აქვს**




დიდ სამამულო ომში, რომელიც, **სტალინის** ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა გერმანიის დედაქალაქ ბერლინში, მილიონობით ადამიანმა გაწირა თავი სამშობლოს დასაცავად, ასიათასობით ადამიანი კი რუსეთიდან, ბელარუსიდან, უკრაინიდან, საქართველოდან, ყაზახეთიდან და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრესტისა და სევასტოპოლის ბრძოლებში, მოსკოვისა და სტალინგრადის დაცვაში, ვორონეჟისა და პროხოროვკის, კენიგსბერგისა თუ ბერლინის ბრძოლებში დღესაც უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

22 ივნისი — ეს არის ერთ-ერთი სამწუხარო თარიღი საბჭოთა კავშირის და, საერთოდ, კაცობრიობის ისტორიაში, თარიღი, როდესაც დაიწყო მილიონობით საბჭოთა მოქალაქის განადგურება, ფაშისტების საშინელი მხეცობები მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ, ჰიტლერის გეგმა „ბარბაროსის“ დასაწყისი, რომლის მიხედვითაც უნდა გაენადგურებინათ ან დაემონებინათ ხალხები.

ამ დღეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხები პატივს მიაგებენ მათ ხსოვნას, ვინც იარაღით ხელში იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ და სიცოცხლე გაწირა სამშობლოსა და თავისუფლებისთვის, ვინც ჭრილობებითა და შიმშილით დაიღუპა, ვინც აწამეს ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკებში, ვინც იბრძოდა მტრის ზურგში, ვინც ბლოკადაში მოქცეული ლენინგრადის მოსახლეობას ლუკმას უყოფდა. დიდი სამამულო ომი — ეს არის ისტორიის გამოცდა, რომელიც საბჭოთა ხალხმა უზარმაზარი დანაკარგის ფასად ჩააბარა, ამიტომ ამის დავიწყების უფლება არავის აქვს.

**მეორე მსოფლიო ომის პოლიტიკური და სოციალური შედეგები, მნიშვნელობის მხრივ, უზარმაზარია. პირველ რიგში, შესამჩნევად შემცირდა ევროპის როლი მსოფლიოს პოლიტიკაში. ზესახელმწიფოებად იქცნენ სსრკ და აშშ, ომმა წარმოაჩინა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის უუნარობა, — შეენარჩუნებინათ უზარმაზარი კოლონიები, შეიქმნა სოციალისტური ბანაკი. მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი შედეგი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნა.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**





გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მფრინავ ჟიდოვს, როდესაც გერმანელთა ერთი თვითმფრინავი მიწას დაანარცხა, ტყვია-წამალი გაუთავდა, მაგრამ ბრძოლის მიტოვება არც უფიქრია. მან სამამულო ომის ისტორიაში პირველად განახორციელა ტარანი — თავისი თვითმფრინავი ფაშისტების თვითმფრინავს დააჯახა და მიწაზე დაანარცხა, თვითონ ჟიდოვი კი უვნებელი დაეშვა. რიაბცევმა ფაშისტების 2 თვითმფრინავი ჟიდოვის ნანადირევის კვალს გაუყენა, მესამე თვითმფრინავს თავისი „ჩაიკის“ ფრთა გაჰკრა და ბოლში გახვია. თვითონ კი, რისკის ფასად, მაგრამ მიწაზე მშვიდობით დაეშვა. ოთხი საბჭოთა მფრინავიდან არც ერთი არ დაშავებულა. გერმანელთა რვა თვითმფრინავი კი ბრესტის ციხესიმაგრის მიმდებარე ტერიტორიაზე ხრჩოლავდა.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №19-21, 2019 წ.

# სტალინი დიდი სამამულო ომის პირველ დღეებში

## სტალინმა ჯერ მოიგერია, შემდეგ კი თავისივე ბუნაგში მიახრჩო გამძვინვარებული მხეცი, რომელიც დამონებას უქადდა მსოფლიოს

**ხრუშჩოვის და გორბაჩოვის, სოლჟენიცინისა და ვოლკოგონოვის ზღაპრების დრო დასრულდა, ფარდა აეხადა იმ უნიჭოდ დადგმულ სპექტაკლს, რომელსაც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები დგამდნენ საბჭოთა კავშირის ხალხებისა და მსოფლიოს პროლეტარიატის თვალის ასახვევად... საჭადრაკო დაფაზე პირველი სვლის გაკეთების უფლებას მოჭადრაკეები განგებას მიაწერენ. და, თუ ჭადრაკის თამაშს დიპლომატიას და სამხედრო სტრატეგიას მივუსადაგებთ, ალბათ, გასაგები იქნება, რას ნიშნავს პირველი სვლა და ისიც მოულოდნელი.**

**ჰიტლერის** მიერ შემუშავებული გეგმა „ბარბაროსა“ გაცილებით აღემატება ომის წარმოების მანამდე არსებულ ყველა ფანტასტიკურ თუ რეალურ გეგმას. თვალუწვდენელი ტერიტორიის დაპყრობა. თუნდაც იგი დაუსახლებელი იყოს, დედამიწის 1/6-ის გავლა მარშით დროის იმ მცირე მონაკვეთში, რომელშიც ჰიტლერი აპირებდა, სულელი კაცის ნაბოდვარს უფრო ჰგავდა. **„ბარბაროსას“ ზოგადი მონახაზი ასეთი იყო: 25 აგვისტომდე ლენინგრადისა და მოსკოვის აღება; ოქტომბრის დასაწყისში — გასვლა ვოლგაზე; ნოემბრის დასაწყისში — ბაქო და ბათუმი; 7 ნოემბერი — ხაბაროვსკი.** მაგრამ ჰიტლერის ნაბოდვარი 1941 წლის ივნის-აგვისტოს პერიოდში ნაცარტუტად იქცა.

ახლა ნაწილობრივ მაინც შეიძლება მივუახლოვდეთ ამსახველ მასალებს იმ გმირული ბრძოლებისა, რომლებიც აოცებდა არა მხოლოდ მოყვარეს, არამედ მტრისთვისაც ნათელი ხდებოდა, რა ძალა და ენერგია გამოიჩინა საბჭოთა ხალხმა გენიალური მხედართმთავრის, სტალინის მეთაურობით. სტალინმა ჯერ მოიგერია, შემდეგ კი თავისივე ბუნაგში მიახრჩო გამძვინვარებული მხეცი, რომელიც დამონებას უქადდა მსოფლიოს.

**ომის პირველ დღეს, 22 ივნისს, ბრესტის ციხესიმაგრეს გერმანელთა რჩეული ქვეითების 45-ე დივიზია მიადგა. ციხესიმაგრეში გამაგრებული საბჭოთა ჯარისკაცები მძიმე შეიარაღების გარეშე, შაშხანებით იცავდნენ საზღვარს და თვითონ ციხესიმაგრეს. არნახული თავგანწირვის ფასად ინარჩუნებდნენ ყოველ მტკაველ მიწას თუ შენობის ნაწილს. ბრესტის ციხესიმაგრის კედლებზე დღესაც შემორჩენილია ხიშტის წვერით ამოკაწრული სიტყვები, „ვკვდები, მაგრამ არ ვნებდები“ . დილის 10 საათზე ბრესტის თავზე 4 სტალინური ასი გამოჩნდა. ახალგაზრდა ოფიცრები მოჟაევი, ჟიდოვი, რიაბცევი და ნაზაროვი დაუყოვნებლივ ჩაებნენ გერმანელთა რვა თვითმფრინავის წინააღმდეგ ბრძოლაში.**

საჰაერო ბრძოლების ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი მაგალითი, რომელიც სტალინის შევარდნების გმირულ შემართებას ოდნავ მაინც გააფერმკთალებს.

**მფრინავ ჟიდოვს, როდესაც გერმანელთა ერთი თვითმფრინავი მიწას დაანარცხა, ტყვია-წამალი გაუთავდა, მაგრამ ბრძოლის მიტოვება არც უფიქრია. მან სამამულო ომის ისტორიაში პირველად განახორციელა ტარანი — თავისი თვითმფრინავი ფაშისტების თვითმფრინავს დააჯახა და მიწაზე დაანარცხა, თვითონ ჟიდოვი კი უვნებელი დაეშვა. რიაბცევმა ფაშისტების 2 თვითმფრინავი ჟიდოვის ნანადირევის კვალს გაუყენა, მესამე თვითმფრინავს თავისი „ჩაიკის“ ფრთა გაჰკრა და ბოლში გახვია. თვითონ კი, რისკის ფასად, მაგრამ მიწაზე მშვიდობით დაეშვა. ოთხი საბჭოთა მფრინავიდან არც ერთი არ დაშავებულა. გერმანელთა რვა თვითმფრინავი კი ბრესტის ციხესიმაგრის მიმდებარე ტერიტორიაზე ხრჩოლავდა.**

გაოცებულმა გენერალმა **მანშტეინმა** თავის დღიურში ჩაწერა:

**„მიზანი — ლენინგრადი შორეული მომავლისთვის გადაგვეწია“.**

ბრესტის ციხესიმაგრესთან განცდილითა და ტექნიკის დანაკარგებით შეძრწუნებულმა სარდალმა **ფონ ბოკმა** განკარგულება გასცა, გამოეყვანათ მებრძოლები ციხესიმაგრის ტერიტორიიდან და ბლოკადა გაეძლიერებინათ.

**22 ივნისს ბრესტის ციხესიმაგრესთან გამართულ ბრძოლას შეეწირა 483 გერმანელი ოფიცერი, უნტერ-ოფიცერი და ჯარისკაცი. ეს რაოდენობა სამჯერ აღემატება პოლონეთის, ხოლო 6-ჯერ საფრანგეთის სამხედრო კამპანიაში დაღუპული გერმანელი ჯარისკაცების რაოდენობას.**

პირველი სერიოზული მარცხი გერმანელებმა ქალაქ გროდნოსთან იწვნიეს. როდესაც წითელარმიელებმა გერმანელთა 6 დივიზიის მიერ შექმნილი ალყა გაარღვიეს.

11 აგვისტოს გერმანელთა სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსმა **ფრანც გალდერმა** თავის დღიურში ჩაწერა:

**„შეუპოვარი წინააღმდეგობა გვაიძულებს, მტკიცედ ვიხელმძღვანელოთ ომის კანონებით, უბრალო შეცდომაც კი რუსეთთან ბრძოლის დროს გამოუსწორებელი შეცდომაა“.**

შესანიშნავად იბრძოლეს დასავლეთ ბელორუსიის ქალაქ ლიდას არტილერისტებმა, რომლებმაც ომის პირველივე დღეს გაანადგურეს მოწინააღმდეგის 60 ტანკი გაანადგურეს

1941 წლის 8 ივლისს დაიწერა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პირველი დადგენილება ლენინგრადის ცაზე საოცარი გმირობის გამოჩენისათვის 3 მფრინავის — **მ. ჟუკოვისთვის, ს. დორუცევისა** და **პ.ხარიტონოვისთვის** საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების თაობაზე.



სტალინის გამოსვლა 1941 წლის 3 ივლისს

**22 ივნისს ბრესტის ციხესიმაგრესთან გამართულ ბრძოლას შეეწირა 483 გერმანელი ოფიცერი, უნტერ-ოფიცერი და ჯარისკაცი. ეს რაოდენობა სამჯერ აღემატება პოლონეთის, ხოლო 6-ჯერ საფრანგეთის სამხედრო კამპანიაში დაღუპული გერმანელი ჯარისკაცების რაოდენობას**

**დორუცევმა, რომელსაც ტყვია-წამალი გაუთავდა, მოწინააღმდეგე გატარნა და გერმანელი პილოტი ალმოდებულ თვითმფრინავთან ერთად მიწას დაანარცხა. უტყვიაწამლოდ დარჩენილმა ხარიტონოვმა მოწინააღმდეგის თვითმფრინავს ახლო მანძილზე ჩაუქროლა შტოპორით, რითაც მართვა დააკარგვინა გერმანელი ფაშისტის თვითმფრინავს და მიწაზე დასცა. უმაღლესი პილოტაჟი შეასრულა ჟუკოვმაც, რომელიც თავისი თვითმფრინავით დააჯდა მტრის მოიერიშე საჰაერო მანქანას და გასაოცარი მანევრით ფსკოვის ტბაში აპოვნინა ბინა.**

სმოლენსკი ყოველთვის იყო მოსკოვის კარიბჭე, ამიტომ ყველა მომხვდური ცდილობადა მოსკოვში სმოლენსკის მხრიდან შეჭრას. ჰიტლერმაც სმოლენსკი ამიღო მიზანში და განსაზღვრა დრომისი დაპყრობისა — 12 დღე, რის შემდეგაც მესამე რაიხის ჯარებს მოსკოვის ქუჩებში მარშით უნდა გაევლოთ.

1941 წლის 14 ივლისს სმოლენსკში გამოჩნდა პირველი რეაქტიული არტილერია, რომელსაც ჯარისკაცებმა „კატიუშა“ შეარქვეს.

14 ივნისს 15 საათზე და 15 წუთზე კაპიტან **ივანე ფლეროვის** მეთაურობით განხორციელდა საარტილერიო შტურმი ქალაქ ორშის რკინიგზის სადგურზე, სადაც თავმოყრილი იყო გერმანიის სამხედრო ტექნიკა და საწვავითა და საბრძოლო მასალებით დატვირთული უამრავი სარკინიგზო ვაგონი. მძიმე არტილერიისა და „კატუშების“ განუწყვეტელმა ზალპებმა, რომელსაც გერმანელებმა „სტალინური ორღანი“ უწოდეს, გააერთიანა ცა და დედამიწა. საბრძოლო მასალებისა და საწვავის აფეთქება ჯოჯოხეთურ სანახაობას ქმნიდა ორშის მიმდებარე ტერიტორიაზე.

1941 წლის 11 აგვისტოს გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსმა ფრანც გალდერმა თავის დღიურში ჩაწერა:

**„საერთო მდგომარეობა, რაც თვალში საცემია, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენ რუსული კოლოსი შესაბამისად ვერ შევაფასეთ“.**

6 სექტემბერს, 4 დღის გამანადგურებელი დარტყმის შედეგად, გაათავისუფლდეს ქალაქი ელნია. მას ბომბავდა 800 ერთეული მძიმე და რეაქტიური საარტილერიო დანადგარი. ფრონტის ამ ერთ უბანზე 4 დღის განმავლობაში ფაშისტებმა დაკარგეს 45 000 ოფიცერი და ჯარისკაცი.

**საფრანგეთისათვის ბრძოლაში, ინგლისის საექსპედიციო ჯარებთან ბრძოლაში, ბელგიის დაპყრობაში, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის აღებაში გერმანულმა არმიამ დაკარგა სულ 45 774 ოფიცერი და ჯარისკაცი.** ელნიაში გერმანელებმა დაკარგეს იმდენივე ჯარისჯაცი, რამდენიც სრულიად ევროპის დაპყრობაში.

მინსკისთვის ბრძოლებში საბჭოთა კავშირმა დაკარგა 273 803 ადამიანი, მაშინ, როდესაც გერმანულმა არმიამ — ნახევარ მილიონზე მეტი ოფიცერი და ჯარისკაცი და უფრო მეტი საბძოლო იარაღი და მასალები. ყოველივე ამის მომსწრე და მონაწილე გენერალ-პოლკოვნიკი **გუდერიანი** წერდა: „ეს ადამინები იმსახურებენ უდიდეს პატივისცემას, ეს ყველაფერი ბრესტის გამოხმაურებაა“.

ბრესტი იყო კამერტონი, რომლის ხმა და ექო გაისმოდა მსოფლიოში ომის დაწყებიდან დამთავრებამდე.

მკითხველს ერთი ცნობა უნდა მივაწოდო ბრესტის ციხესიმაგრეზე :

* ბრესტის ფორფოსტის გამაგრების სამუშაოებს 1941 წელს გენერალი **დიმიტრი მიხეილის-ძე კარბიშევი** აწარმოებდა — საამშენებლო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი. სწორედ ბრესტის დაცვისას მძიმედ დაჭრილი კარბიშევი გონებამიხდილი ტყვეობაში აღმოჩნდა. გენერლის გამოჯანმრთელებაზე ზრუნავდნენ გერმანელები იმ იმედით, რომ მათ სამსახურში ჩადგებოდა. ფეხზე დამდგარი კარბიშევი თვითონ ჰიტლერმა მიიღო. შესთავაზა გენერალ-ლეიტენანტობა ვერმახტის ჯარებში. კარბიშევის პასუხი იყო:

**„მე ფიცით მეკრძალება იმ ქვეყნის ჯარებში სამსახური, რომელიც საომარ მოქმედებაში იმყოფება ჩემს ქვეყანასთან“.**

კარბიშევს სამეცნიერო სამსახური შესთავაზეს ბერლინის დამოუკიდებელ ლაბორატორიაში და კეთილმოწყობილი ბინით უზრუნველყოფა.

**„მე ვიყავი ნიკოლოზის ოფიცერი და ვარ სტალინის გენერალი, მე სხვა თანამდებობა და სხვასთან სამსახური არ შემიძლია“.**

ბოლოს კარბიშევი თავისი უტეხი ნების გამო მადჰაუზენის სიკვდილის ბანაკში გაამწესეს. მინუს 40 გრადუს ყინვაში კარბიშევი კვარცხლბეკზე შეაყენეს და ცივი წყლის ჭავლი მიუშვეს. ცივი წყალი იქამდე ესხმებოდა კარბიშევს, სანამ ყინულის ლოდად არ იქცა. დღეს საქვეყნოდ არის ცნობილი კარბიშევის სიტყვები:

**„არ არსებობს უფრო დიდი გამარჯვება, ვიდრე გაიმარჯვო საკუთარ თავზე!“**

კიდევ ერთი ისტორია ბრესტის ციხესიმაგრეზე:

ბრესტის დაცვის უფროსი გახლდათ პოლკოვნიკი **პეტრე მიხეილის ძე გავრილოვი.** იმ მძიმე დღეებში, როდესაც ბრესტს, სანამ მაშველი ძალა მოვიდოდა, მხოლოდ 4 ჯარისკაცი და ერთი პოლიტხელი იცავდა. მძიმედ დაჭრილი გავრილოვი ტყვეობაში აღმოჩნდა. ომის დამთავრების შემდეგ ტყვე- ▶

გრიგოლ ოთიაშვილის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პირველი სერიოზული მარცხი გერმანელებმა ქალაქ გროდნოსთან იწვნიეს. როდესაც წითელარმიელებმა გერმანელთა 6 დივიზიის მიერ შექმნილი ალყა გაარღვიეს. 11 აგვისტოს გერმანელთა სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსმა ფრანც გალდერმა თავის დღიურში ჩაწერა: „შეუპოვარი წინააღმდეგობა გვაიძულებს, მტკიცედ ვიხელმძღვანელოთ ომის კანონებით, უბრალო შეცდომაც კი რუსეთთან ბრძოლის დროს გამოუსწორებელი შეცდომაა.

◀ობიდან შინ დაბრუნებული გავრილოვი მეუღლეს და შვილს დაეძებდა, შეხვდა კიდევაც და დანგრეული ოჯახი აღადგინეს.

1955 წელს გამოვიდა წიგნი „ბრესტის ციხესიმაგრის დამცველები“, რომელშიც აღწერილი იყო პეტრე გავრილოვის გმირობის ამბავი, ამას სასწრაფოდ მოჰყვა გავრილოვისთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭება და სამხედრო წოდების დაბრუნება. ასე ჩაიწერა ბრესტის ციხესიმაგრე მსოფლიო გმირი ქალაქების სიაში, ხოლო მისი დამცველები — ოქროს ასოებით ქვეყნის ისტორიაში. საინტერესოა, თვალი გადავავლოთ გერმანელი სამხედროების წერილებს, რომლებიც გაგზავნილია ფრონტიდან ომის დაწყების პირველ დღეებში ოჯახებში. ერთ-ერთმა გერმანულმა გაზეთმა კი ათასობით წერილიდან რამდენიმე შეარჩია და გამოაქვეყნა.

**„1941 წელი. 22 ივნისი. (გამთენიისას) ბრძოლის ველზე**

*„ ჩემს თვალებს არასოდეს უნახავს და არ წაუკითხავს, რასაც მე აქ ბრძოლის პირველ დღეს ვუყურებ. Eეს საფრანგეთი არაა, ჩვენ სულ სხვა ძალას ვებრძვით.“ — წერდა ქმარი მეუღლეს ბერლინში.

*„ჩვენ ვუპირისპირდებით ადამიანებს, რომლებიც იბრძვიან არა სიცოცხლისათვის, არამედ სიკვდილისთვის. მე ვნახე, როგორ წაართვა რუსმა მებრძოლმა გერმანელ ოფიცერს იარაღი და მოკლა იგი თავისივე იარაღით. ეს იყო პირველი გერმანელი ოფიცერი, რომელიც მკვდარი ვნახე რუსულ მიწაზე, დიდი ბაჯაღლო ოქროს ბეჭდით ხელდამშვენებული.“ — ასეთი შინაარსის დეპეშა გაგზავნა გერმანელმა უნტეროფიცერმა ჰიტლერის სახელზე.

ადოლფ ჰიტლერმა კი 22 ივნისს მოაწყო მაშტაბურ შეხვედრა და გაცხადა:

„მივიღე პირველი ცნობა პირველი გერმანელი ოფიცრის დაღუპვის შესახებ, გაფრთილებთ! ჩვენ ვებრძვით არმიას, რომელიც წარმოადგენს ძალას, სადაც იბრძვიან მხეცები და ცხოველები“.

*„წარმოუდგენელია ასეთი თავგანწირავა. სატანკო ბატარეას მედგარ წინააღმდეგობას გვიწევდა ოთხი რუსი, რომლებიც სრულიად დაუცველ ტერიტორიაზე, პურის ყანაში იყვნენ ჩამალული,“ — წერდა შვილი მამას გერმანიაში.

*„როდესაც საბჭოთა ტანკი ალყაში მოვაქციეთ და ტყვიწამალი გაუთავდა, მისი ლუკიდან ტანკისტმა თავი ამოყო, ამოვიდა და რევოლვრიდან აგვიტეხასროლა. ეს თავგანწირვაა“. — წერს გერმანელი ოფიცერი თავის მეგობარს ბერლინში.

— „ხელჩართულ ბრძოლებში ტანსაცმელ დაფლეთილი უიარაღო ჯარისკაცი ჩვენკენ გამოიქცა, გვეგონა, ტყვედ გვბარდებოდა, ახლოს რომ მოვიდა მესანგრის ნიჩაბი სწრაფად შემოიხსნა და ძლიერად გვტყორცნა შეძახილით „ზა სტალინა, ზა როდინუ“. ეს არ იყო ვინმეს შიშითა და აგიტაციით ჩადენილი ქმედება, მას სხვა საფუძველი ჰქონდა.“ — ჩაწერა თავის დღიურში გერმანელმა ოფიცერმა“.

1941 წლის 3 ივლისს „შეშინებულმა და დამალულმა “ (ზოგიერთი ვაიისტორიკოსის აზრით) სტალინმა რადიოთი მიმართა საბჭოთა ხალხს:

**„ამხანაგებო! მოქალაქენო! ძმებო და დებო! ჩვენი არმიისა**
**და ფლოტის მეომრებო! თქვენ მოგმართავთ, ჩემო მეგობრებო!**

ჰიტლერული გერმანიის მუხანათური სამხედრო თავდასხმა ჩვენს სამშობლოზე, რომელიც 22 ივნისს დაიწყო, გრძელდება. მიუხედავად წითელი არმიის გმირული წინააღმდეგობისა, მიუხედავად იმისა, რომ მტრის საუკეთესო დივიზიები და მისი ავიაციის საუკეთესო ნაწილები უკვე დამარცხდნენ და სამარე ჰპოვეს ბრძოლის ველზე, მტერი კვლავ წინ მოძვრება და ახალ-ახალი ძალები მოჰყავს ფრონტზე. ჰიტლერულმა ძალებმა მოახერხეს ხელში ჩაეგდოთ ლიტვა, ლატვიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბელორუსიის დასავლეთი ნაწილი, დასავლეთ უკრაინის ნაწილი. ფაშისტური ავიაცია აფართოებს თავის ბომბდამშენთა მოქმედების რაიონებს, ბომბავს მურმანსკს, ორშას, მოგილიოვს, სმოლენსკს, კიევს, ოდესას, სევასტოპოლს. ჩვენი სამშობლო სერიოზული საფრთხის წინაშეა... **მტერი სასტიკი და ულმობელია, იგი მიზნად ისახავს, ხელთ იგდოს ჩვენი ოფლით მორწყული ჩვენი მიწა-წყალი, ხელთ იგდოს ჩვენი ხელით მოპოვებული ჩვენი პური და ჩვენი ნავთი. იგი მიზნად ისახავს, აღადგინოს მემამულეთა ძალაუფლება, აღადგინოს ცარიზმი, დაანგრიოს რუსთა, უკრაინელთა, ბელორუსთა, ლიტველთა, ლატვიელთა, ესტონელთა, უზბეკთა, თათართა, მოლდაველთა, ქართველთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა და საბჭოთა კავშირის სხვა თავისუფალი ხალხების ნაციონალური კულტურა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობა. გაამგერმანელოს ისინი, გერმანელი თავადებისა და ბარონების მონებად აქციოს ისინი. ამრიგად, საქმე ეხება საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლეს; საქმე ეხება იმას — თავისუფალი უნდა იყვენენ საბჭოთა კავშირის ხალხები თუ მონობაში ჩავარდნენ. საჭიროა. საბჭოთა ადამიანებმა შეიგნონ ეს და უკუაგდონ უდარდელობა, რათა მოახდინონ მობილიზაცია და გარდაქმნან თავიანთი მუშაობა საომარ ყაიდაზე, რომლისთვისაც უცხოა მტრის დანდობა...**

... წითელმა არმიამ, წითელმა ფლოტმა და საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქემ უნდა დაიცვას ყოველი მტკაველი საბჭოთა მიწა-წყლისა. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა იბრძოლონ ჩვენი ქალაქებისა და სოფლებისათვის, უნდა გამოიჩინონ ჩვენი ხალხისთვის დამახასიათებნელი გამბედაობა, ინიციატივა და გამჭრიახობა...

... ჩვენ უნდა დავიწყოთ ულმობელი ბრძოლა ზურგის ყოველგვარ დეზორგანიზატორებთან, დეზერტირებთან, პანიკიორებთან, ხმების გამავრცელებლებთან, უნდა მოვსპოთ ჯაშუშები, დივერსანტები, მტრის პარაშუტისტები და ყოველივე ამაში სწრაფად დავეხმაროთ ჩვენ მიერ შექმნილ გამანადგურებელ ბატალიონებს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მტერი ვერაგი და ცბიერია, გამოცდილია მოტყუებასა და ცრუ ხმების გავრცელებაში. უნდა გავითვალისწინოთ ყოველივე ეს და არ ავყვეთ პროვოკაციას. საჭიროა დაუყოვნებლივ მივცეთ სამხედრო ტრიბუნალს განურჩევლად პიროვნებისა ყველა ის, ვინც პანიკიორობითა და ლაჩრობით ხელს უშლის თავდაცვის საქმეს...

**ფაშისტურ გერმანიასთან ომი ჩვეულებრივ ომად არ შეიძლება ჩაითვალოს. ის არა მხოლოდ ორი არმიის ომია, ამასთანავე, არის საბჭოთა ხალხის დიდი ომი გერმანელთა ფაშისტური ჯარების წინააღმდეგ, ფაშისტი მჩაგვრელების წინააღმდეგ. ამ საყოველთაო სახალხო-სამამულო ომის მიზანია, არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაცია, არამედ ისიც, რომ დაეხმაროს ევროპის ყველა ხალხს, რომლებიც გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ გმინავენ...**

... იმ მიზნით, რომ სწრაფად მობილიზირებულ იქნას საბჭოთა კავშირის ხალხთა ძალები მტრის უკუსაგდებად, რომელიც მუხანათურად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს, შექმნილია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომლის ხელშიც ახლა თავმოყრილია მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი შეუდგა მუშაობას და მოუწოდებს ხალხს, დაირაზმოს ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო, იმისათვის, რომ თავდადებით დაეხმაროს წითელ არმიასა და ფლოტს, გაანადგუროს მტერი, მოიპოვოს გამარჯვება“.



**«ფაშისტურ გერმანიასთან ომი ჩვეულებრივ ომად არ შეიძლება ჩაითვალოს. ის არა მხოლოდ ორი არმიის ომია, ამასთანავე, არის საბჭოთა ხალხის დიდი ომი გერმანელთა ფაშისტური ჯარების წინააღმდეგ, ფაშისტი მჩაგვრელების წინააღმდეგ. ამ საყოველთაო სახალხო-სამამულო ომის მიზანია, არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაცია, არამედ ისიც, რომ დაეხმაროს ევროპის ყველა ხალხს, რომლებიც გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ გმინავენ»**



### გმირები საქართველოდან

**1939 წლის 22 თებერვლის ბრძანებულებით, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება საქართველოდან პირველს მიენიჭა თბილისელ სიდორ ვასილის ძე სლიუსარევს, რომლის გმირობის ოქროს ვარსკვლავის ნომერი იყო 125. ქართველთაგან ეს საპატიო წოდება 1941 წლის 21 მარტს პირველებს მიენიჭათ პოლკოვნიკ (შემდგომში ავიაციის გენერალ-ლეიტენატს) ვლადიმერ ვარდენის ძე ნანეიშვილს, ტანკისტ ალექსანდრე სერგოს ძე სულაბერიძეს და უცროს პოლიტხელ ილია გიორგის ძე ხმალაძეს. ფინეთის ომში გამოჩენილი სიმამაცისთვის — ჯაველ მფრინავ ალექსი იაგორის ძე ოსტაკაევსა და თბილისელ ივანე ვასილის ძე ხარპოვს. 164 საბჭოთა კავშირის გმირი გამოზარდა საქართველომ, მათგან 41 ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა. დანარჩენმა ოქროს ვარსკვლავიანებმა თავიანთი გმირული გზა ომის შემდგომ ქვეყნის აღმშენებლობაში განაგრძეს.**






www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თურქულმა ტელეარხმა HABERTURK-მა თავის ახალ ამბებს უჩვეულო ცნობა დაურთო. პოლიციამ დააკავა 3 მამაკაცი. მათ თითების უამრავი ანაბეჭდი დატოვეს მანეკენზე, რომელსაც „ეცვა“ ძვირად ღირებული ქურქი. როგორც ტელეარხი HABERTURK-ი იუწყებოდა, მაღაზიის გაქურდვის მომენტში ბოროტმოქმედები არა მხოლოდ კოცნიდნენ ამ მანეკენს, არამედ მასზე იძალადეს კიდეც. ანალოგიური რამ მოხდა ევროპაში, სადაც მიგრანტები აუპატიურებენ ყველაფერს, „რაც, ერთ-ერთი მწერლის თქმით, ინძრევა და რაც არ ინძრევა“.**

# მიგრანტები ევროპაში მანეკენებსაც აუპატიურებენ

**ევროკავშირის ქვეყნებიდან კვლავ ვრცელდება ინფორმაცია ლტოლვილთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე. გერმანიის ქალაქ ვისბადენში ამჟამად მიმდინარეობს სასამართლო პროცესი 22 წლის ერაყელი ლტოლვილის — ალი ბ.-ს მიმართ, რომელსაც ბრალი ედება 11 წლის მოსწავლე გოგონას გაუპატიურებასა და 14 წლის გერმანელ სუზანა ფელდმანის მკვლელობაში. რამდენიმე დღის წინათ ამ ბრალდებებს დაემატა კიდევ რამდენიმე, მათ შორის — თავდასხმა, ძარცვა და ძალადობა.**

როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, სასამართლო სხდომაზე წარდგა ახალგაზრდა მამაკაცი **იუნეს ა.**, რომელმაც განსასჯელს კიდევ რამდენიმე ბრალდება წაუყენა. მან განაცხადა, რომ შარშან ერთ ღამეს შინ მარტო მიდიოდა, როდესაც პარკის გავლა დააპირა, წინ გადაუდგა ორი პიროვნება, მათგან ერთ-ერთი იყო **ალი,** რომელიც მის გაუპატიურებას შეეცადა (მეორე, სამართალდამცველთა ვარაუდით, იყო ალის თანამზრახველი **მანსურ კ.**).

დაზარალებულის თქმით, ბოროტმოქმედებმა თავდაპირველად სიგარეტი სთხოვეს. როდესაც სიგარეტისთვის ჯიბეში ხელი ჩაიყო, იგრძნო, რომ ყელზე ბასრი დანა მიაბჯინეს. ამის შემდეგ მიგრანტმა აიძულა ის, ბუჩქებისკენ წასულიყო, შემდეგ კი — შარვალი გაეხადა. იუნესი ირწმუნება, რომ ცდილობდა, კორექტულად მოქცეულიყო და მიგრანტს ფული შესთავაზა, მაგრამ მან უარი განაცხადა: „ალბათ, სხვა რაღაც უნდოდა“, — გაახსენდა გერმანელს უკვე სასამართლოში. ასე იყო თუ ისე, გერმანელი მიხვდა, რასაც უპირებდნენ და, თავის პატივისა და ღირსების დაცვის მიზნით, ხელი ჰკრა პოტენციურ მოძალადეს და გაიქცა პარკიდან. **სასამართლო პროცესზე იუნესმა თქვა, რომ, მოგვიანებით, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია სუზანას მკვლელობის შესახებ და გამოცხადდა ძებნა 2 ბოროტმოქმედზე, ტელეეკრანზე ნაჩვენები ფოტოთი ამოიცნო ალი, რომელიც გაუპატიურებას უპირებდა. მისი ჩვენების შემდეგ კი განსასჯელს კიდევ ერთი ადამიანის, ამჯერად მამაკაცის, გაუპატიურების მცდელობის ბრალდებასაც წაუყენებენ.**

არ შეიძლება მტკიცება იმის, რომ მამაკაცსა და მამაკაცს შორის „არატრადიციული ურთიერთობები“ ქცევის რაღაც განსაკუთრებული ხაზია ახლო აღმოსავლელი მამაკაცებისა, მაგრამ ზოგჯერ ისეთი რამ ხდება, რაც ახსნას არ ექვემდებარება. მაგალითად, ორიოდე თვის წინათ თურქეთში მოხდა ისეთი რამ, რაც ნორმალური ადამიანის საქციელს არ შეეფერება.

თავდაპირველად გავრცელებულ ინფორმაციას ქალაქ ანტალიაში ბეწვეულის მაღაზიიდან ძვირფასი ქურქის მოპარვის შესახებ საზოგადოების განსაკუთრებული რეაქცია არ გამოუწვევია, მაგრამ მოგვიანებით, როცა ვიდეოდაკვირვების კამერების ჩანაწერები შეისწავლეს, საზოგადოებრიობამ მომხდარის დეტალების შესახებ შეიტყო.

ახალი ამბების თურქულმა ტელეარხმა Haberturk-მა თავის ახალ ამბებს უჩვეულო ცნობა დაურთო. პოლიციამ დააკავა 3 მამაკაცი. მათ თითების უამრავი ანაბეჭდი დატოვეს მანეკენზე, რომელსაც „ეცვა“ ძვირად ღირებული ქურქი. როგორც ტელეარხი Haberturk-ი იუწყებოდა, მაღაზიის გაქურდვის მომენტში ბოროტმოქმედები არა მხოლოდ კოცნიდნენ ამ მანეკენს, არამედ მასზე იძალადეს კიდეც.

ანალოგიური რამ მოხდა ევროპაში, სადაც მიგრანტები აუპატიურებენ ყველაფერს, „რაც, ერთ-ერთი მწერლის თქმით, ინძრევა და რაც არ ინძრევა“.

ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში ადამიანები საზარელ სურათს გადააწყდნენ. ლტოლვილმა სექსუალური კავშირი დაამყარა მაღაზიის მანეკენთან. მათ, ვინც ეს ამაზრზენი სანახაობა სმარტფონით გადაიღო, ვიდეო სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნეს. ევროპელების სწორედ ეს რეაქციაა განსაცვიფრებელი: ისინი არ რეაგირებენ მიგრანტების აშკარა პროვოკაციულ, ზოგჯერ კი ხულიგნურ ქმედებებზე — უბრალოდ, მომხდარს სმარტფონებით იღებენ ან უსიტყვოდ უყურებენ ინციდენტს. ისინი თავს არ იწუხებენ მაშინაც,



**რა არის საჭირო იმისთვის, რომ გერმანელები იქცნენ შერაცხად ადამიანებად, რომლებსაც საკუთარი თავის დაცვა შეეძლებათ? და როგორ, რით უნდა შეჩერდეს გერმანელი ერის გადაგვარება? ამ პრობლემების მოგვარებაზე ჯერჯერობით არავინ ფიქრობს. და აქედან გამომდინარე, ხულიგნები და ავაზაკები, რომლებიც ხედავენ, რომ მათ მიმართ მართლმსაჯულება ლმობიერია, კიდევ დიდხანს იბოგინებენ პოლიტკორექტულ გერმანიასა და მულტიკულტურულ ევროპაში**



როცა სერიოზული რამ ხდება. მაგალითად, ხმა არავის ამოუღია და არავინ აღშფოთებულა, როცა მაგდებურგში (საქსონია-ანხალტის მიწა) ტრამვაიში ვინმე **ბაქარ მ.**-მ არაფრის გამო გალახა 2 სტუდენტი — გოგო და ბიჭი.

ყველაზე მეტად გაუგებარია ის, რომ მიგრანტის ამ არამოტივირებულმა აგრესიამ არავინ შეაშფოთა: ტრამვაის არც ერთი მგზავრი არ გამოესარჩლა ახალგაზრდებს და არ ჩაერია ინციდენტში, როცა ახლო აღმოსავლელმა ლტოლვილმა სახეში მუშტი ჩაარტყა 18 წლის ქალს, მეტიც, როცა მისმა სისხლმა დასვარა ერთ-ერთი მგზავრის ტანსაცმელი, ის გოგონას სასამართლოში სარჩელის შეტანით დაემუქრა შარვლის სისხლით დასვრის გამო ზიანის ასანაზღაურებლად. დებოშირმა კი გოგონას კიდევ ერთხელ დაარტყა და ხელი მოსტეხა. შემდეგ მიგრანტის აგრესია გადავიდა გოგონას მეზობელ მგზავრზე — სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტ **რამინაზე.** ყველაზე საკვირველი კი არის ის, რომ, როდესაც არამზადა დააპატიმრეს, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღუძრავთ, ისე, უბრალოდ, გაათავისუფლეს, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებმა დაზარალებულებს სიცოცხლისთვის საშიში ჭრილობები დაუდგინეს. საქმე ის არის, რომ პოლიციაში ამ მიგრანტს, უკვე კარგა ხანია, იცნობენ, როგორც ხულიგანსა და სამართალდამრღვევს. მას ხომ არავინ მოუკლავს. დიდი ამბავი, თუ ვიღაცას ცხვირი გაუტეხა და ხელი მოსტეხა — ეს მკვლელობა არ არის. მხოლოდ ორი კვირის შემდეგ, როდესაც ინციდენტის შესახებ შეიტყო საზოგადოებამ, არამზადა, როგორც იქნა, დააპატიმრეს.

**რა არის საჭირო იმისთვის, რომ გერმანელები იქცნენ შერაცხად ადამიანებად, რომლებსაც საკუთარი თავის დაცვა შეეძლებათ? როგორ, რით უნდა შეჩერდეს გერმანელი ერის გადაგვარება?** — ამ პრობლემების მოგვარებაზე ჯერჯერობით არავინ ფიქრობს. აქედან გამომდინარე, ხულიგნები და ავაზაკები, რომლებიც ხედავენ, რომ მათ მიმართ მართლმსაჯულება ლმობიერია, კიდევ დიდხანს იბოგინებენ პოლიტკორექტულ გერმანიასა და მულტიკულტურულ ევროპაში.

რით დასრულდება ეს, ზუსტად არავინ იცის, თუმცა...

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**






**აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.**

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნეოლიბერალური ზნეობა



## უცნობმა ავსტრალიის ერთ-ერთ სასტუმროში ოთხი ადამიანი მოკლა

**ამ ტრაგიკულ ამბავს ავრცელებს გაზეთი NT News.** ეს მოხდა ავსტრალიის ქალაქ დარვინის სასტუმრო Pulms-ში. შემთხვევას ოთხი ადამიანი ესხვერპლა. ბოროტმოქმედმა კიდევ ორი კაცი დაჭრა და მიიმალა. ერთი საათის შემდეგ მან ქალაქის შემოგარენში კვლავ დამიზნებით ესროლა ადამიანებს. იქ იგი დააკავეს. თვითმხილველები ამბობენ, რომ მსროლელი სასტუმროში თავდასხმის დროს მშვიდად მოქმედებდა, თითქოს „ვიღაცას ეძებდა“.



## სოდომელთა აღლუმი ხარკოვში

ხარკოვის ქუჩებში პედერასტები გამოჩნდნენ. ისინი გეიაღლუმის გამართვას აპირებენ 22 სექტემბერს. „ხარკოვ-პრაიდი“, როგორც მამათმავლები აცხადებენ, იქნება თემატური და ჩატარდება ლოზუნგით „ხარკოვი — ყველასთვის. უსაფრთხოება — ყველასთვის“.

„ჩვენ ვაპირებთ ინკლუზიური და მყუდრო ხარკოვის აშენებას, უსაფრთხო ქალაქის, რომელიც ყველა ადამიანის მიმართ მეგობრულად იქნება განწყობილი“, — ამბობენ ყველას გასაგონად, სინამდვილეში კი თავიანთი უსაფრთხოებისთვის ზრუნავენ, რადგან გული და გამოცდილება ცუდს უქადის.

2017 წლის 17 მაისს, როცა ლგბტ-თემის წარმომადგენლებმა აქცია ჩაატარეს სუმის ქუჩაზე მდებარე ქორწინების სასახლესთან, მათ თავს დაესხნენ კონტრაქციის მონაწილენი, ესროლეს კვერცხები, ე.წ. ზელიონკით ამოთხვარეს და კუდით ქვა ასროლინეს.

## ევროპაში «უნისქესის» ხმა შეიმუშავეს

**დანიელი ტრანსგენდერები მიიღებენ ხმის უფლებას, უფრო ზუსტად, მიიღებენ უფლებას, თავიანთ „გაჯეტებში“ გაიგონონ ისეთი ხმა, რომელიც არ შეურაცხყოფს მათ გრძნობებს, რადგან ამგვარი ხმის პატრონის სქესის განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია.**



კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ლინგვისტმა **ანა იორგენსენმა** დანიის სამხარეო სააგენტო Vitue Nordic-ის თანამშრომლებთან ერთად შექმნა გენდერულ-ნეიტრალური ხმა.

უნიკალური ხმის შესაქმნელად, რომელსაც უწოდეს Q, ავტორებმა იმუშავეს ფოკუს-ჯგუფთან 4,5 ათასი რესპონდენტის შემადგენლობით. მათ სთხოვეს, მოესმინათ ჩაწერილი ხმების რამდენიმე ვარიანტი და შემდეგ პასუხი გაეცათ შეკითხვაზე — ქალის ხმა ესმოდათ, თუ კაცის.

მიღებული მონაცემების საფუძველზე შეარჩიეს ლინგვისტის აზრით შესაფერისი ხმა.

მაგრამ სარეკლამო რგოლზე, რომელიც დამმუშავებელთა საიტზე არის გამოქვეყნებული, ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოისმინოს ის ხმა, რომლითაც, შემქმნელის აზრით, უნდა ილაპარაკოს „საშუალო სქესის“ მავანმა.

## იტალიაში პირველად მერად ტრანსგენდერი აირჩიეს



**იტალიის პროვინცია ლომბარდიის პატარა ქალაქ ტრომელოში მერად ტრანსგენდერი ჯანმარკო ნეგრი აირჩიეს. ამის თაობაზე წერს საღამოს გაზეთი Corriere Della sera. 40 წლის მამაკაცმა, არასახარბიელო პროგნოზების მიუხედავად, საარჩევნო მარათონში აჯობა სამ კონკურენტს.**

აღნიშნავენ, რომ უწინ იგი პოლიტიკით არასოდეს დაინტერესებულა, მაგრამ პოპულარობა მოიხვეჭა სისხლის სამართლის საქმეებში საადვოკატო მოღვაწეობისა და სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დასაცავ აქციებში აქტიური მონაწილეობით.

2015 წლამდე ნეგრი იყო ქალი და ერქვა მარია, მაგრამ ბავშვობიდანვე მიაჩნდა, რომ მამაკაცი იყო. გაიკეთა სქესის შეცვლის რამდენიმე ოპერაცია. ნეგრის განცხადებით, რაც მამაკაცი გახდა, თავისი თავი, ბოლოს და ბოლოს, „ერთხელ და საბოლოოდ შეიცნო“.

ტრომელოში 4 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ახალმა მერმა ამომრჩევლების 786 ხმა, ანუ ამომრჩეველთა ხმების 37,54 პროცენტი მიიღო.

## ვარსკვლავები, რომლებიც გახდნენ მოძალადეების მსხვერპლი



**მადონა.** მომავალი მსახიობი 19 წლისა იყო, ნიუ-იორკში რომ გადასახლდა. ერთხელ ტელეფონ-ავტომატიდან დასარეკი ფული რომ არ ეყო, უცნობმა მამაკაცმა ხელი გაუმართა. გოგო ისე მიენდო, რომ ამ „გულკეთილ“ ძიას შინ გაჰყვა. იქ კი ეს კაცი დანით დაემუქრა, შეაშინა და გააუპატიურა.



**პამელა ანდერსონი.** მსახიობი და მოდელი არაერთხელ გახდა მოძალადეთა მსხვერპლი, ბავშვობაშიც კი! 12 წლისა უფროსი ძმის მეგობარმა გააუპატიურა, სამი წლის შემდეგ — პირველმა ბოიფრენდმა თავის 6 მეგობართან ერთად.



**ოპრა უინფრი.** ეკრანის ვარსკვლავის ცხოვრება მისმა ბიძაშვილმა წაბილწა: 9 წლის ოპრა გააპატიურა და გოგონას რომ არ გაეთქვა, ტკბილეული უყიდა. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ბიძა და მისი მეგობრები „ვაჟკაცობდნენ“. 14 წლისა დაორსულდა, იმშობიარა, ბავშვმა მხოლოდ ორ კვირას იცოცხლა.



**ლედი გაგა.** 19 წლის მომღერალზე იძალადა მასზე 20 წლით უფროსმა მამაკაცმა. ვარსკვლავმა მხოლოდ ახლახან განაცხადა ამ შემთხვევის შესახებ: „მეგონა, რომ მსოფლიოს ვატყუებდი, არადა, გული მტკიოდა და განვიცდიდი, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. აი, რატომაც მოვყევი. დამალვის სურვილი გამიქრა“.



**თორი ეიმოსი.** როკმუსიკის შემსრულებლის სხეულით „ისარგებლა“ მისმა თაყვანისმცემელმა. თორიმ ამ უბედურების შესახებ მსმენელებს მოუთხრო თავის ავტობიოგრაფიულ სიმღერაში Me and a gun: „მე და პისტოლეტი და მამაკაცი — ჩემს ზურგზე...“ მხოლოდ გათხოვებამ და შვილის დაბადებამ დაავიწყა ამ საშინელების დეტალები.

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლა ბავშვებისთვის აქლემის ფაშვის თავზე წამოცმა აღარ სჭირდებათ თანამედროვე მანქურთების აღმზრდელებს. დღეს პროპაგანდის საშუალებებით ტვინის გამორეცხვის საქმე უმაღლეს დონეზე აქვთ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“. რომელი აქლემის ფაშვი შეედრება „რუსთავი 2“-ს ან მის მსგავს ტელეარხებს, რომლებსაც, განუვითარებელი თავებისა და ტვინების კი არა, უმაღლესდამთავრებული ჯეელების თავების გამობერტყვა შეუძლიათ ისე, რომ გონების ნატამალს არ დატოვებენ შიგ.**

# წარღვნა

**სიცოცხლეში პირველად ვნატრობ, რასაც ახლა ვიტყვი, მცდარი იყოს და სწორედ ამის საპირისპიროდ მიდიოდეს ჩვენი საქმე. ღმერთო, ამიხდინე ეს ნატვრა, — შევთხოვ უზენაესს, მაგრამ ეჭვი არ მასვენებს: რატომ უნდა შეისმინოს არსთა განმრიგემ ჩემი და ჩემისთანების თხოვნა, ნეტავ? დავიმსახურეთ, განა, ასეთი წყალობა უფლისა? ჩვენს პათეტიკურ სადღეგრძელოებს რომ ვუსმენ ხოლმე სუფრასთან, მუხრან მაჭავარიანის სტრიქონები მახსენდება: „ამას-იმას, რომ ხელში ხმალი უნდა გვეჭიროს, ჩვენ კი ხმლისა წილ ჯიხვისანი გვიჭირავს რქანი, ვინ-ვინ შეგვინდობს, ანდა რატომ უნდა შეგვინდოს, ერთი მითხარი!“**



გუსტავ დორე — „წარღვნა“

წარღვნა გვიახლოვდება, თანამემამულენო, წარღვნა!

ამის გაგონებაზე ცისკენ ნუ აიხედავთ მაინცდამაინც, ნურც ამინდის გრძელვადიან პროგნოზს დაუწყებთ ძებნას, რადგან წარღვა მხოლოდ განუწყვეტელი წვიმის შედეგი როდია. წვეთიც რომ არ ჩამოვარდეს ციდან, ისე შეიძლება გადაგვიაროს წარღვნამ. მეტიც: ისეთი წარღვნა გვიახლოვდება ახლა, საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ მხოლოდ ქართველობა წალეკოს იქნებ! „იქნება, ყველაფერი იქნება, მაგრამ ამ ქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით“, — ამბობდა გალაკტიონი. რა სასწაულებრივი ხილვები ჰქონდა იმ სულგანათლებულს ასეთი.

ვაი, რომ წარღვნის მიახლოების ყველა ნიშანი აშკარაა დღეს. თითო-ოროლა კაცის გარდა, ამაზე გულწრფელად არავინ წუხს და არც არავინ ირჯება უბედურების თავიდან ასაცილებლად. ტაშ-ფანდურსა და შოუებს არის გადაყოლილი დიდი და პატარა. ხელისუფლებითა თუ სიმდიდრით, ნარკოტიკებითა თუ სიღარიბით, სიცრუის პროპაგანდის ძლევამოსილი საშუალებებით გაბრუებულ ქართველობას სჯერა, რომ „იძირება გემი, მაგრამ ყველაფერი რიგზეა“. იქნებ, მართლა ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ვისთვის? ქართველობა თუ გადაშენდება საქართველოში, ზოგიერთი ჩვენი ახლო თუ შორეული „სტრატეგიული მოკავშირის“ სურვილიც ეგ არის და მათთვის დღევანდელ საქართველოში მართლა ყველაფერი რიგზეა, ჩვენთვის კი...

ქვეყნის პირქვე დამხობა და გათახსირება მაშინ იწყება, როდესაც ერი თავის წარსულს ივიწყებსო, — გვითხრა ილია მართალმა და ცამდე მართალი იყო, როგორც ყოველთვის. ერი თავისი ნებით როდი ივიწყებს თავისი ჯიშისა და ჯილაგის, თავისი გვარისა და ტომის წარსულს. მტერი ცდილობს ამას, რადგან **ისტორიული მეხსიერების არმქონე ხალხი ერი აღარ არის, ბრბოა, რომელიც ძალიან ახლოსაა ცხოველების ჯოგთან თუ ხროვასთან.** ამგვარი ხროვის სასურველი მიმართულებით ან, თუნდაც, უმისამართოდ გარეკვას ან სასურველ საგანზე მიქსევას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება და სწორედ ეს უნდა ბოროტ ძალას. მაგალითად, გაწვრთნის ტალიკ-ტალიკა ქართველ ბიჭებს, „ის“ კაცი, იარაღის გამოყენებასაც ასწავლის და ეტყვის: თქვენი სამშობლოს, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვა ახლა ავღანეთსა და სომალიშია შესაძლებელი და, აბა, თქვენ იცით. გაჰყვებიან „იმ“ კაცს გაწვრთნილი ქართველი ბიჭები, აბა, რას იზამენ, თუ იმის მეათედს მაინც გადაუხდის, თავის ჯარისკაცებს რომ უხდის იმავე ავღანეთსა თუ სომალიში. **თავისი ერის ისტორია და სადაურობა რომ იცოდნენ იმ ტალიკ-ტალიკა ბიჭებმა, არ მოტყუვდებოდნენ და არ გაჰყვებოდნენ იმ „კეთილ დამრიგებლებს“, მაგრამ მანქურთებად არიან გაზრდილები ეს უბედურები და სხვაგვარი ფიქრი არ იციან მანქურთებმა. მაგრამ, თუ ყველაფერი იციან და მაინც მიჰყვებიან იმ კეთილ დამრიგებლებს“, მაშინ გავიხსენოთ, დათა თუთაშხია რომ ეუბნება გარეწარ ჯონჯოლიას: „შენ იმიტომ კი არა ხარ ჩემი ხელით მოსაკლავი, მე რომ მესროლე, არამედ ფულის გულისთვის კაცის მოკვლა რომ შეგიძლია, იმიტომ!“ ფულის გულისთვის ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით რომ წახვალ იმ კაცის მოსაკლავად, რომელსაც არ იცნობ და არც სურვილი გაქვს, იცნობდე, ადამიანობასთან რაიმე გაკავშირებს, ვითომ? ამნაირების მომრავლება ზნეობრივი წარღვნის ნიშანი არ არის, განა?**

ბოლო ათწლეულებში წიგნის მკითხველთა რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა, კარგი წიგნებისა — განსაკუთრებით, ამიტომ ბევრს, ალბათ, გაგონილიც არ აქვს XX საუკუნის მეორე ნახევრის დიდი მწერლის, **ჩინგიზ აიტმატოვის,** სახელი, რომელმაც თავის საქვეყნოდ გახმაურებულ რომანში „დღე იყო გრძელი, ვით საუკუნე“ აგვიხსნა ცნება **„მანქურთი“**.

შუა აზიაში „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ თითოეულ ბავშვს ახალდაკლული აქლემის ფაშვს ჩამოაცმევდნენ ხოლმე თავზე. ეს ფაშვი ხმებოდა და შეეზრდებოდა იმ უბედური ბავშვის თავის ქალას და ნორმალურად გაზრდის საშუალებას აღარ აძლევდა მას. ტან-ფეხი ეზრდებოდა და უვითარდებოდა თავზე აქლემის ფაშვწამოცმულ ბავშვს, ტვინი კი განუვითარებელი რჩებოდა. ასე გამოჰყავდათ პატრონის უსიტყვოდ მორჩილი მანქურთები, რომლებიც იმის ბრძანებებს ასრულებდნენ მხოლოდ, ვინც აჭმევდათ, ასმევდათ და ცოტაოდენ ჯიბის ფულსაც აძლევდათ.

**ახლა ბავშვებისთვის აქლემის ფაშვის თავზე წამოცმა აღარ სჭირდებათ თანამედროვე მანქურთების აღმზრდელებს. დღეს პროპაგანდის საშუალებებით ტვინის გამორეცხვის საქმე უმაღლეს დონეზე აქვთ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“. რომელი აქლემის ფაშვი შეედრება „რუსთავი 2“-ს ან მის მსგავს ტელეარხებს, რომლებსაც, განუვითარებელი თავებისა და ტვინების კი არა, უმაღლესდამთავრებული ჯეელების თავების გამობერტყვა შეუძლიათ ისე, რომ გონების ნატამალს არ დატოვებენ შიგ.**

ამის მაგალითების დანახვას დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება. აი, ახლახან მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების დღე საზეიმოდ აღინიშნა მსოფლიოში, ზოგან — 9 მაისს, ზოგან — 8-ში. 9 მაისს ვიზეიმებთ ამ დღეს თუ 8 მაისს, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ უფრო ლეგიტიმური 9 მაისია, რადგან ამ ომის მთავარი მონაწილე და გამარჯვებული საბჭოთა კავშირია და სწორედ 9 მაისი დაადგინეს დღესასწაულად ჩვენმა მამებმა და ბიძებმა, მათმა მთავარსარდალმა და ბელადმა. აბა, ვის უნდა დაედგინა? **ეიზენჰაუერსა** და **მონტგომერს** ხომ არა, რომლებმაც ძლივს გაბედეს ომის მიწურულს ევროპაში დესანტის გადასხმა. გერმანიის დედაქალაქი ბერლინი ხომ ჩვენებმა აიღეს და რაიხსტაგზეც დროშა ჩვენებმა აღმართეს?! კიდევ ვიმეორებ: ვისაც უნდა, 8 მაისს იზეიმოს, თუნდაც სულაც ნუ იზეიმებს, კაცია და გუნება, თანაც ახლა დემოკრატიაა და ვერავის აიძულებ, იმღეროს და იცეკვოს მაშინ, როცა არ ემღერება და ეცეკვება. **სავალალო და თავში საცემი ის ზღვარდაუდებელი უზნეობაა, რომელიც ქართველმა მანქურთებმა (პირობითად, თორემ მანქურთს ეროვნება არ აქვს!) ჩაიდინეს 9 მაისს. ზნეობრივი წარღვნის ნიშანი უფრო ის არის, რომ ამ მანქურთების უმრავლესობა ახალგაზრდები იყვნენ...**

ტვინის ნატამალი თუ აქვს ადამიანს თავში, როგორ უნდა გადაუდგეს წინ იმ ადამიანებს, რომლებსაც ომში დაღუპული მამების, ბიძების, ბაბუების პორტრეტები უჭირავთ ხელში და გამარჯვების პარკისკენ, უცნობი ჯარისკაცის მემორიალური საფლავისკენ მიემართებიან! აქ კი ისეთი აქაფებული ჰქონდათ ლაშები და დაწითლებული თვალები „ჩვენს“ მანქურთებს, როგორც აფთრების ხროვას ლეშის დანახვისას.

**ახლა ვიღაც მანქურთი ჩემზეც იტყვის: ეს საბჭოთა დეპოშია ჩარჩენილი და თავისი და სხვისი ომი ვერ გაურჩევიაო. ვაი, თქვენს პატრონს, უბედურს! გერმანელ ფაშისტთა ურდოები კავკასიონის ქედის გადმოლახვას რომ ცდილობდნენ და სვანეთისა და რაჭის მისადგომებთან რომ ჩააწვინეს ყინულის სარკოფაგებში, რა, მესტიის კოშკებისა და ნიკორწმინდის ტაძრის სანახავად მოდიოდნენ? ამ დიდი ომის მთავარსარდალი, რომელსაც იმედით შეჰყურებდა კაცობრიობა (უინსტონ ჩერჩილმა თავის მემუარებში აღიარა ეს), განა ქართველი სტალინი არ იყო? ხოლო ომის საიდუმლო მხარეს განა მარშალი ლავრენტი ბერია არ სარდლობდა? ბერლინში, რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა განა მელიტონ ქანთარიამ არ აღმართა ეგოროვთან ერთად? ამ ომში განა 700 ათასი ქართველი არ იბრძოდა, რომელთაგან 300 ათასი ფაშისტურ ურჩხულთან ბრძოლას შეეწირა? ჩვენი ომი იყო, თქვე უჯიშო მანქურთებო, აბა, ვისი?**

გორელმა მანქურთებ- ▶

**თავისი ერის ისტორია და სადაურობა რომ იცოდნენ იმ ტალიკ-ტალიკა ბიჭებმა, არ მოტყუვდებოდნენ და არ გაჰყვებოდნენ იმ „კეთილ დამრიგებლებს“, მაგრამ მანქურთებად არიან გაზრდილები ეს უბედურები და მანქურთებმა სხვაგვარი ფიქრი არ იციან. მაგრამ, თუ ყველაფერი იციან და მაინც მიჰყვებიან იმ კეთილ დამრიგებლებს“, მაშინ გავიხსენოთ, დათა თუთაშხია რომ ეუბნება გარეწარ ჯონჯოლიას: „შენ იმიტომ კი არა ხარ ჩემი ხელით მოსაკლავი, მე რომ მესროლე, არამედ ფულის გულისთვის კაცის მოკვლა რომ შეგიძლია, იმიტომ!“ ფულის გულისთვის ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით რომ წახვალ იმ კაცის მოსაკლავად, რომელსაც არ იცნობ და არც სურვილი გაქვს, იცნობდე, ადამიანობასთან რაიმე გაკავშირებს, ვითომ? ამნაირების მომრავლება ზნეობრივი წარღვნის ნიშანი არ არის, განა?**

**რომისა და ბიზანტიის იმპერიები არც ეკონომიკურ სიდუხჭირეს დაუნგრევია და არც სამხედრო რესურსების სიმცირეს, უზნეობამ დაანგრია და უკვალოდ გააქრო, ისტორიის ანალებში თავშეფარებულები დარჩნენ მხოლოდ. ჩვენ რა მოგვივა, პატარა, „ყოველგნით ხელაღუპყრობელ" ერს, რომლის ქვეყანაში უზნეობის პროპაგანდა დაუნდობლად უტევს ყოველგვარ ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს? რაც დაგვემართება და დაგვემართა უკვე, მისი დანახვა ძნელი არ არის.**

ფონტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀მა ხომ არა მხოლოდ უვიცობის, არამედ აგრესიული უზნეობის კლასიკური მაგალითი გვიჩვენეს: სტალინის ძეგლი ხომ ჩამოვაგდეთ (გორში, კაცოო!), ახლა სტალინის ქუჩასაც უნდა გადავარქვათ სახელიო, — გაჰკიოდნენ ეს უბედურ დღეზე გაჩენილები.

თუ იცით, თქვე საცოდავებო, რომ პარიზში არის სტალინგრადის მოედანი, ხოლო ვენაში მემორიალური დაფაა გაკრული იმ სახლზე, რომელშიც რამდენიმე თვის განმავლობაში ცხოვრობდა სტალინი. **არც სტალინის, არც დავით აღმაშენებლის, არც გიორგი სააკაძის სიყვარულს სთხოვს ვინმე ვინმეს, მაგრამ, ქართველი თუ ხარ, შენი დიდი წინაპარი არ უნდა გეამაყებოდეს? ინგლისელი ლორდი და დიდი სახელმწიფო მოღვაწე ჩერჩილი, ამერიკის დიდი პრეზიდენტი რუზველტი, საფრანგეთის ეროვნული გმირი, გენერალი და ლეგენდარული პრეზიდენტი დე გოლი თუ ამაყობდნენ სტალინთან ნაცნობობით, შე გლახა, შენ გეუხერხულება მისი თანამემამულეობა? მანქურთი ხარ და შენ არც წინაპარი გყავს, არც წარსული გაქვს და არც მომავალი, ერთი უბადრუკი აწმყო გაქვავია მხოლოდ და ისიც იმიტომ, რომ პირში უცქირო შენი ტვინის გამომრეცხავებს. სხვა რამ არც შეგიძლია და არც მოგეთხოვება.**

ასეთები თუ კიდევ უფრო გამრავლდნენ (არადა, ძალიან სწრაფად მრავლდებიან არასამთავრობოებად, „გირჩებად", „რკოებად" და ჯანდაბებად), ეროვნული წარღვნა იქნება ეს სწორედ.

სულ ვცდილობ, გონიერება დავინახო ჩვენი სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში, წარსულისა და აწმყოს ელემენტარული ცოდნა მაინც შევამჩნიო მათ ნაბიჯებში, მაგრამ, რაც არ არის, რას შეამჩნევ?! უგუნურება და სიბრიყვე კი — რამდენიც გინდა. **ის, რაც 9 მაისს ბათუმში მოხდა, პოლიტიკური დეგენერატობის, ზნეობრივი გამოთაყვანებისა და უვიცობის ზეიმი არ იყო, განა? გამარჯვების ზეიმზე ბავშვების (ალბათ, რუსი ბავშვების) ერთი ჯგუფი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დროშით მოვიდა... და კინაღამ ჩაქოლეს ლიბერასტმა ვაი-ქართველებმა, რომლებიც თავიანთ მანქურთულ თავს პატრიოტებს უწოდებენ. ხელისუფლებამ რა ქნა? გამოხატვის უფლება დაიცვა და ლიბერასტი აქტივისტები ალაგმა? არა, ბატონო, აჭარის განათლების მინისტრი მოხსნა: რუსი ბავშვები რატომ შემოუშვით ზეიმზე თავიანთი დროშითო. წარღვნის ნიშანი არ არის ეს? ამას ვინც ვერ ხედავს, მის ტვინში წარღვნა დაწყებულია უკვე.**

ჩვენს ხელისუფლებას ყველასი ეშინია — ბუკიკიოსი და ბრაიზასი, რასმუსენისა და მოგერინის, ვენეციის კომისიისა და სტრასბურგის სასამართლოსი, ნაცბანდისა და ძღვენიჭამია (ანუ გრანტიყლაპია) არასამთავრობოებისა და ა. შ. საკუთარი ხალხის გარდა. სიყვარულით კი არავინ უყვარს, საკუთარი უძირო ჯიბის იქით. მანქურთულმა ზნეობამ სხვა გრძნობა არ იცის!

ამას წინათ **ადა მარშანიას** უთქვამს: ყოველ ათ ქართველ პოლიტიკოსში, რვა შიზოფრენიკიაო. სწორად შეუნიშნავს ქალბატონ ადას ამ ე. წ. პოლიტიკოსთა არანორმალურობა, მაგრამ დიაგნოზი, არა მგონია, ზუსტი იყოს. **ისინი, შიზოფრენიკები კი არა, მამონას მონები არიან და მტრის დავალებებს ასრულებენ მდიდრული ძღვენის (გრანტის) სანაცვლოდ, გულგრილად ყიდიან სამშობლოს ინტერესებს, აწმყოსა და მომავალს.**

ერთმა ასეთმა „პოლიტიკოსმა", ცნობილი ორგანული ნივთიერების მსგავსად, სულ წყლის ზედაპირზე რომ ტივტივებს, ამას წინათ სატელევიზიო ეთერში განაცხადა: ჩვენი ხელისუფლება დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის შესახებ კი ნუ იმსჯელებს, საინგილოსა და ზაქათალის დაბრუნება მოსთხოვოს აზერბაიჯანსო.

ეე, ვეჟო! კარგი, ვთქვათ, ადა მარშანია მართალია და ეს „პოლიტიკოსი" მართლა შიზოფრენიკია, იმ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში როგორ აღიქვამენ ასეთ მოწოდებას: შეეშინდებათ თუ დაირცხვენენ? ამის მიხვედრას დიდი გონიერება სჭირდება? არ უნდა გამოსულიყო ვინმე ჩვენი მთავრობიდან, თუნდაც საგარეო უწყებიდან რიგითი მოხელე და არ უნდა გამიჯვნოდა ამ სიბრიყვეს? ან იქნებ ჩვენს ხალხს ასეთი გამოხდომა პოლიტიკური სიმამაცე ჰგონია? თუ ასეა, წარღვნა ჩვენში კარგა ხნის დამდგარი ყოფილა.

არაერთხელ მითქვამს და უნდა გავიმეორო ისევ: **რომისა და ბიზანტიის იმპერიები არც ეკონომიკურ სიდუხჭირეს დაუნგრევია და არც სამხედრო რესურსების სიმცირეს. უზნეობამ დაანგრია და უკვალოდ გააქრო. ისტორიის ანალებში თავშეფარებულები დარჩნენ მხოლოდ. ჩვენ რა მოგვივა, პატარა, „ყოველგნით ხელაღუპყრობელ" ერს, რომლის ქვეყანაში უზნეობის პროპაგანდა დაუნდობლად უტევს ყოველგვარ ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს. რაც დაგვემართება, და დაგვემართა უკვე, მისი დანახვა ძნელი არ არის.**



**ის, რაც 9 მაისს ბათუმში მოხდა, პოლიტიკური დეგენერატობის, გამოთაყვანებისა და უვიცობის ზეიმი არ იყო, განა? გამარჯვების ზეიმზე ბავშვების (ალბათ, რუსი ბავშვების) ერთი ჯგუფი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დროშით მოვიდა... და კინაღამ ჩაქოლეს ლიბერასტმა ვაიქართველებმა, რომლებიც თავიანთ მანქურთულ თავს პატრიოტებს უწოდებენ. ხელისუფლებამ რა ქნა — გამოხატვის უფლება დაიცვა და ლიბერასტი აქტივისტები ალაგმა? არა, ბატონო! აჭარის განათლების მინისტრი მოხსნა, — რუსი ბავშვები რატომ შემოუშვით ზეიმზე თავიანთი დროშითო. წარღვნის ნიშანი არ არის ეს? ამას ვინც ვერ ხედავს, მის ტვინში წარღვნა დაწყებულია უკვე**



აი, მაგალითი: 17 მაისი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ოჯახის სიწმინდის დღედ გამოაცხადა და ამ დღეს, დიდ სახალხო მსვლელობასთან ერთად, ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის წარმომადგენლებმა კონცერტი გამართეს სამების ტაძრის ტერიტორიაზე. როგორც ცნობილია, ამ დღეს ლგბტ თემის აქტივისტებს (ანუ ლესბოსელებს და მამათმავლებს) აღლუმის ჩატარება სურდათ რუსთაველის გამზირზე. რადგან წარღვნას ჯერ კიდევ არ წაულეკავს ქართველთა და ჩვენთან მცხოვრები სხვა ხალხების წარმომადგენელთა ადამიანური ცნობიერება, ასეთი აღლუმი არ დაუშვეს ამჯერად. ბუნებრივია, **ამან გააცეცხლა ნეოლიბერალები, ანუ უფრო გასაგებად თუ ვიტყვი, ლიბერასტები და, როგორც ჩანს, ამ ღვთისპირიდან გადავარდნილმა უმცირესობის უმცირესობამ აქაური და იქაური ძღვენიჭამიების მხარდაჭერით აგრესიულად შეუტიეს იმ მომღერლებსა და მუსიკოსებს, რომლებსაც სამების ეზოში გამართულ კონცერტში უნდა მიეღოთ მონაწილეობა და... ბევრმა მათგანმა პედერასტების დამცველთა მუქარის შიშით ჩაისვარა და ამყრალებულები კონცერტზე ხომ ველარ მივიდოდნენ?! ზოგი ნამუსის რაღაც ნატამალმა შეაწუხა და ბოდიში მოიხადა, ზოგი უკვალოდ გაქრა ამ „სამზეოდან" და ზნეობრივ წყვდიადს შეერია.**

**იმისთანა რა სიგლახე გაქვთ, „ხელოვნების ვარსკვლავებო", ჩადენილი, რომ მისი გასაჯაროებით გატერორებენ ეს უჯიშო ლგბტ თემის ბაირახტარნი?**

იქ, სადაც გაუკუღმართებული ცნობიერება, რომელიც კაცთან კაცის ქორწინებას „განსხვავებულ ორიენტაციად" მიიჩნევს, ადამიანურ ზნეობაზე მაღლა დგება და სადაცაა სრულ ბატონობასაც მიაღწევს, შორს არის წარღვნა? არა! **წარღვნა კარსაა მომდგარი, რადგან ადამიანის ზნეობრის ისეთი დამცველი, რომლის ხელშიც არის უფლებები და ძალაუფლება, არსად ჩანს.**

ცოტა ხნის წინათ შინაგან საქმეთა მინისტრის **გიორგი გახარიას** კაცურმა განცხადებამ, — მე მამათმავლების ინტერესების დამცველი ვერ ვიქნებიო, — იმედით ამავსო, მაგრამ ახლა იმისი მეშინია, არ გამოვიდეს ან პრეზიდენტი, ან პრემიერი, ან რომელიმე „დიდი კაცი" და არ თქვას: ეგ გახარიას პირადი მოსაზრებაა და არა ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელის პოზიციაო. აი, მაშინ კი წარღვნა აუცილებლად მოხდება და არ იფიქრონ იმ „დიდმა კაცებმა", რომ მშრალზე დარჩებიან.

**წარღვნა კარსაა მომდგარი, რადგან ადამიანის ზნეობის ისეთი დამცველი, ვის ხელშიც არის უფლებები და ძალაუფლება, არსად ჩანს. ცოტა ხნის წინათ შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას კაცურმა განცხადებამ, — მე მამათმავლების ინტერესების დამცველი ვერ ვიქნებიო, — იმედით ამავსო, მაგრამ ახლა იმისი მეშინია, არ გამოვიდეს ან პრეზიდენტი, ან პრემიერი, ან რომელიმე „დიდი კაცი" და არ თქვას: ეგ გახარიას პირადი მოსაზრებაა და არა ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელის პოზიციაო. აი, მაშინ კი წარღვნა აუცილებლად მოხდება და არ იფიქრონ იმ „დიდმა კაცებმა", რომ მშრალზე დარჩებიან**

**ზურაბ ცუცქირიძე**

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ლიბერალობა განა მალვაა, ანუ ხელის წაფარება ტყუილებისა, ოინბაზობისა, თაღლითობისა, თვალთმაქცობისა და ყოველგვარ ნამუს-ახდილობისა, და არა მხილება ყოველ ამისი?“**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# «თუ საძრახავსა არ ამხელ და სამარცხვინო ბოძზე არ გააკრავ, მაშ რის მაქნისიღაა ეგ თქვენი მოწონებული... დოყლაპია ლიბერალობა»



**კარგა ხანია, საუბარია, რომ 18-23 ივნისს თბილისში ლგბტ პრაიდის კვირეული ჩატარდება. როგორც ღონისძიების ორგანიზატორებმა განაცხადეს, ლგბტქ აქტივისტებს შსს-ს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე „ღირსების მარშის“ დახურულ სივრცეში გადატანა შესთავაზეს, რადგან მათ დაცვას ვერ შეძლებდნენ. მიუხედავად ამისა, ლგბტ პრაიდის ორგანიზატორები მარშის გამართვას მაინც აპირებენ.**

ახლახან საპატრიარქომ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა აღნიშნული პრაიდის მიმართ და მოუწოდა ხელისუფლებას, არ დაუშვან ღონისძიების ჩატარება. „ცხოვრების წესი, რომლსაც LGBT პირები ეწევიან, სოდომურ ცოდვას წარმოადგენს და ამდენად ეწინააღმდეგება როგორც ქრისტიანულ სარწმუნოებას და ტრადიციული რელიგიების მოძღვრებებს, ისე ზოგადად მორალურ ღირებულებებს. ხაზს ვუსვამთ, რომ ეკლესია ემიჯნება ცოდვას, მაგრამ არა მონანულ ცოდვილს, რომელსაც სიყვარულით იწყნარებს და ეხმარება ღმერთთან დაბრუნებაში.

სამწუხაროდ, LGBT გარკვეული ჯგუფები და მათი მხარდამჭერები უცხო ქვეყნებს ისე აწვდიან ინფორმაციას, თითქოს საქართველოში ისინი დიდად შევიწროებულნი და დევნილნი არიან და ამ მოტივით სერიოზულ დაფინანსებას იღებენ. მათ სურთ, თავისი აქტივობა ისე წარმოაჩინონ, როგორც დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა, სინამდვილეში კი ეწევიან თავისი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და პროპაგანდას და მისი ოფიციალურად დაკანონება აქვთ განზრახული.

როდესაც მცირე ჯგუფი ცდილობს, თავისი პოზიცია თავს მოახვიოს მთელ მოსახლეობას, ეს თავისთავად იწვევს მკვეთრ უკურეაქციას, ვინაიდან წარმოადგენს მიზანმიმართულ ქმედებას, უმრავლესობის ღირსების შეურაცხყოფას, მათ არჩევანზე ძალადობას და ამდენად არის მაპროვოცირებელი არეულობისა და დაპირისპირებისა.

ჩვენ ვემიჯნებით ყოველგვარ ძალადობას და ამავე დროს ვაცნობიერებთ რა, დიდ საშიშროებას, რომელიც შეიძლება ე. წ. გეი-პრაიდის ჩატარებას მოჰყვეს, მოვუწოდებთ ხელისუფლებას, არ დაუშვან აღნიშნული ღონისძიება, რომელიც წინასწარვე არის ცნობილი, რომ გამოიწვევს საზოგადოებრივ შფოთს.

ასევე მოვუწოდებთ და ვთხოვთ საქართველოში აკრედიტებულ სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, სახალხო დამცველს და სხვა ინსტიტუციებს, რათა გამოიჩინონ უფრო ფრთხილი დამოკიდებულება ქართველი ხალხისათვის ამ მეტად მგრძნობიარე საკითხისადმი და ნუ წაახალისებენ ჩვენს ქვეყანაში მსგავს აქტივობებს; ამით ისინი ხელს შეუწყობენ სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნებას და გამოხატავენ ჩვენი მოსახლეობისადმი პატივისცემასა და მხარდაჭერას“, — ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

**ილიას გზით მივდივართო და სადამდე მივედით...**

**„ეს სადაური სამართალია, სადაური ლიბერალობა? ეს ფარისევლობაა, ეს მელა-ტურობაა, ქვემძრომობაა, ეს სოროში თავის შეძვრენაა, კუდისა-კი გარეთ დარჩენა, და არა ლიბერალობა!“**

„ლიბერალობა, პატრიოტობა სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდიაო“, — აი, რას ამბობდა ერის მამა. ის იზიარებდა ლიბერალიზმის ფუნდამენტურ პრინციპებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ წავიდოდა თავისი ერის წინააღმდეგ. როდესაც ხედავდა, რომ რომელიმე ერი (მის ეპოქაში თუნდაც რუსი, სომეხი) სხვა ერს (მაგალითად — ქართველს) უსამართლოდ ავიწროებდა, ჩაგრავდა, უზღუდავდა ძალაუფლების არეალს, უყალბებდა ისტორიას ან ართმევდა კანონიერ უფლებებს, მაშინ ნამდვილი ნაციონალისტივით იქცეოდა. კონსერვატიზმი და ლიბერალიზმი სრულიად შეთავსებადია და ასეც უნდა იყოს, თუ ნორმალურად აზროვნებ და ნორმალური საზოგადოების ჩამოყალიბება გინდა. სწორედ ამას ამბობს ილია ჭავჭავაძეც, რომ ყველაფერი ძველი ვერ და არ იქნება კარგი, ისევე, როგორც ყველაფერი ახალი. კონსერვატიზმი ძველის შენარჩუნებაზე ზრუნვაა და ყოველივე ახლის მიუღებლობა ან ძალიან ფრთხილად მიღება; ლიბერალიზმი კი ახლისა და გამოსადეგის დამკვიდრებისკენ სწრაფვაა და ნაკლებად დაგიდევს ძველს.

ჰოდა საქმე ისაა, რომ არც კონიაკი დაიწუნება იმისთვის, რომ ძველია (პირიქით — უკეთესია) და არც უმწიფარი ხურმა, ახალდაკრეფილი. ლიბერალიზმიც და კონსერვატიზმიც საჭიროა და კიდევ საკმარისი ტვინი და ჰუმანიზმი, რათა გაარჩიო, რომელი ძველი ფასეულობაა გამოსადეგი და შესანარჩუნებელი და რომელია ისეთი, რომელიც აუცილებლად სანაგვეში უნდა მოისროლო; ახალი ღირებულებიდან კი რომელია კარგი და გამოსადეგი და რომელი — დასაგმობი და უარსაყოფი.

**„სადამდის შეუძლიან, ჩვენის ფიქრით, გაიწვდინოს ხელი ან ძველის მცველმა და ახლის უარმყოფელმა, ან ძველის უარმყოფელმა და ახლის მდომელმა, რომ ჭეშმარიტს კონსერვატორობას ან ლიბერალობას არ გადაჰსცდეს“ — ამ საკითხზე წერს ილია „შინაური მიმოხილვაში“ სათაურით „ევროპის კონსერვატორობა და ლიბერალობა“:**

# «ეს სადაური სამართალია, სადაური ლიბერალობა? ეს ფარისევლობაა, ეს მელა-ტურობაა, ქვემძრომობაა, ეს სოროში თავის შეძვრენაა, კუდისა-კი გარეთ დარჩენა, და არა ლიბერალობა!»

„ყოველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა ჰსცხოვრობს, ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობასა. ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, მეორე ის – რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და ჰსაჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარია და მუდამი. როცა ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს, ყველას თუ არა, ბევრს მაინც ძვალსა და რბილში დაუვლის, შესმენილი და გაგებული ექნება, – მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს და ყოველ საქმეთა სათავეში მოექცევა ხოლმე. ეხლა ეგ წყობა დაიჭერს პირველს ადგილს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახალს საჭიროებას აჩენს. ამიტომაც ახლად გამარჯვებულს წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე მოპირდაპირედ. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სვლას დასასრული არ აქვს. თვითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არ არის რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა.

პირველის წყობის მომხრეებს ევროპაში კონსერვატორებს ეძახიან, მეორისას – ლიბერალებს. პირველები არიან უკვე დადგენილის მცველნი, მეორენი – ახლის მესვეურნი და მდომელნი. თუმცა ერთნი ძველის მცველები არიან და მეორენი ახლის მდომელნი, მაგრამ პირველებს ყველაფერი ძველი არ მოსწონთ და მეორეებს ყველა ახალი არ ენატრებათ. ბევრი იმისთანა ახალია, რომლის მოსაპოებლად ჭეშმარიტი კონსერვატორი სიცოცხლესაც არ დაზოგავს, და ბევრი იმისთანა ძველია, რომლის დღეგრძელობისათვის ჭეშმარიტი ლიბერალი თავის საკუთარს დღეს შეიმოკლებს. ირლანდიისათვის ინგლისის ხელიდამ განთავისუფლება ახალი საქმე იქნება, მაგრამ ჭეშმარიტი კონსერვატორი ირლანდიისა თავს დაჰსდებს, ოღონდ ეგ მოიპოვოს. ინგლისის ეგრეთ წოდებული „დიდი ხარტია“ ძველი რამ არის, მაგრამ ინგლისის ლიბერალი უსიკვდილოდ არ დასთმობს არც ერთს ასოს იმ ხარტიისას.

ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მარტო იმისთანა ძველს, რომელიც, მისის გულწრფელის აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისათვის, და თუ ხანდისხან ჰსცოდავს რაშიმე ქვეყანას, მარტო იმაში, რომ ზოგჯერ იმისთანა ძველსაც გადეფარება, რომელიც, თუმცა გამოსადეგი აღარ არის, მაგრამ უვნებელია და ძველის ადგილს არ უთმობს ახალსა – მინამ კარგად გულს არ დააჯერებს, რომ ახალი კეთილს მოიტანს. ჭეშმარიტი ლიბერალობაც უარჰყოფს მარტო იმისთანა ძველს, რომელსაც თავისი დრო და ჟამი მოუჭამია, რომელიც დღეს ხარიხად გაჰსდებია ცხოვრებას და წინსვლას უშლის. იგი ნდომობს იმ ძველის მაგიერ იმისთანა ახალს, რომელიც ძველზედ უკეთ ხელს მოუმართავს ცხოვრების განკარგებასა და წარმატებას. საცა ბრალმდებელია, იქ მფარველიც უნდა იყოს. მარტო ამ ორკეცად გასინჯულ საქმეს მოსდევს მართალი და ჭეშმარიტი. კაცობრიობას დღესაქამომდე სხვა გზა არ აღმოუჩენია ჭეშმარიტის და მართლის მოსაპოებლად.

ჩვენ ესა ვსთქვით იმიტომ, რომ ვაჩვენოთ, სადამდის შეუძლიან, ჩვენის ფიქრით, გაიწვდინოს ხელი ან ძველის მცველმა და ახლის უარმყოფელმა, ან ძველის უარმყოფელმა და ახლის მდომელმა, რომ ჭეშმარიტს კონსერვატორობას ან ლიბერალობას არ გადაჰსცდეს.

კონსერვატორების უკან და ლიბერალების წინ, მარცხნივ და მარჯვნივ ბევრნაირი სხვადასხვა აზრის ნაკადულებია კიდევ, და თუ ჩვენ მარტო ორი წყობა აზრისა მოვიხსენიეთ, ეგ იმიტომ, რომ ცხოვრების მდინარეობის შუა წელი მაგ ორ მხარდამხარ მოარულს წყობას აზრისას უჭირავს“.

ახლანდელ ლიბერალებს ერთი მთავარი რამ ავიწყდებათ: სრულიად სხვა იყო ლიბერალიზმი ილიას ეპოქაში და სრულიად სხვა არის ის დღეს. აბა ილიას მოვუსმინოთ:

**„ლიბერალობა განა მალვაა, ანუ ხელის წაფარება ტყუილებისა, ოინბაზობისა, თაღლითობისა, თვალთმაქცობისა და ყოველგვარ ნამუს-ახდილობისა, და არა მხილება ყოველ ამისი? თუ საძრახავსა არ ამხელ და სამარცხვინო ბოძზე არ გააკრავ, მაშ რის მაქნისიღაა ეგ თქვენი მოწონებული, თქვენი ქადებული დოყლაპია ლიბერალობა.** მაშ ეს გამოჯარება ყოველ საქმისა, ეს მზეზე გამოტანა ყოველის ფარულის და არა ფარულის ბოროტისა, — იმისდა მიუხედავად, შფოთს ასტეხს, თუ არ ასტეხს, — განა უწმინდესი და უპირველესი ღირსება არ არის ჭეშმარიტის ლიბერალობისა, რომელიც-კი მას შეუძენია და დიდი ღვაწლითა და ზოგჯერ სისხლის ნთხევითაცა...“

**„ვის მოუვა ფიქრად, რომ ბოროტის მხილებას კრიჭა შეუკრას ვისამე წყენის შიშითა, თუ არ დოყლაპია ლიბერალსა. საბუთიანს, მართალს მხილებას, თუნდა მთელის ერისას, გონიერი ერი მადლობით ეპყრობა და არა რისხვითა და შფოთითა. ჭეშმარიტი ლიბერალობა ის არის, რომ ჭეშმარიტება არავის წააწყმედინო, არავის გააქელვინო, ბოროტი ამხილო, მსჯავრდაუდებლად არ შეარჩინო და, თუ საიმისოა, ცხვირიდამაც ძმარი ადინო“.**

„თუ აქაო-და შფოთი ასტყდება და ლიბერალობის ღალადებით ჩვენ, ქართველებს, ხმას გვაკმედინებენ, და თუ მარტო ბალღების საცდენად და საფრთხობლად არ მოაქვთ აქ უადგილოდ ლიბერალობა“.

„გამოდის, რომ ჩვენ-კი მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, როცა ჩვენს მთელს ერს დედაბუდიანად სთხრიან და ისინი-კი უნდა აგვიშფოთდნენ, როცა ჩვენს მთხრელსა და მაგინებელს — ისიც გუნდს და არა მთელს ერს — ვიგერიებთ და იმის თვალთმაქცობას ვამხელთ. გამოდის, რომ ჩვენზედ, თუნდ ერთს ცალკე გუნდზე, მართალი ძვრიც არა სთქვათო ჩვენის შფოთისა და წყენის შიშითა და ჩვენ-კი თქვენი აშფოთება, თქვენი წყენა აინუნშიაც არ მოგვდის, თუნდ მთელი ერი გამოგილანძღოთ და მთელი გუდა ტყულიებისა ზედ თავზე დაგაბერტყოთ თქვენის სახელის გატეხვისათვისო. ეს სადაური სამართალია, სადური ლიბერალობა? ეს ფარისევლობაა, ეს მელა-ტურობაა, ქვემძრომობაა, ეს სოროში თავის შეძვრენაა, კუდისა-კი გარეთ დარჩენა, და არა ლიბერალობა. პატიოსან კაცთა შორის ნამუსია მოციქულიო, ნათქვამია“.

ესაა ამონარიდები ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადიდან“. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძე იმ დროს არსებულ ლიბერალიზმში, ბევრ ნაკლოვანებას ხედავდა და ყოველგვარი სიახლის გადმოღებასა ▶

# „კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, ილვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს“.

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ და დამკვიდრებას არ მიესალმებოდა.

ილია ჭავჭავაძე აკრიტიკებს ცრუ ლიბერალობას, რომელიც უკვე იმდენად გადავარდნილია იდეოლოგიაში, რომ სიმართლესა და ტყუილს ერთმანეთისგან ვეღარ არჩევს. ილია ლიბერალიზმის უსამართლოდ მაკრიტიკებელ ხალხს დიდი შემართებით ებრძოდა და ამ აზრთა პაექრობას, რომელიც რამდენიმე წელიწადი გრძელდებოდა „მამათა და შვილთა ბრძოლა“ ეწოდა, ანუ ბრძოლა თაობებს შორის. ილია ახალ თაობას ეკუთვნოდა და ახალი იდეებით, ლიბერალური, გახსნილი აზროვნებით უპირისპირდებოდა დრომოჭმულ იდეებსა და ტრადიციებს. სამაგიეროდ ხალხს სთავაზობდა ახალ, მართალ, ფაქტებით გამყარებულ, ლოგიკურ და ამავე დროს ეროვნული ინტერესების დამცველ იდეოლოგიას. ლიბერალიზმის კრიტიკა იმ დროში ნამდვილად არ წარმოადგენდა იშვიათობას უფროსი თაობის წარმომადგენელთა მხრიდან.

დღევანდელი ლიბერალიზმი ილიასდროინდელი ლიბერალიზმისგან ისე განსხვავდება, როგორც დღე და ღამე. დღეს ლიბერალიზმი აგრესიული იდეოლოგიაა, გვევლინება ყველანაირი უმცირესობის დამცველად, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ეს უფრო უმცირესობის ბატონობას წარმოადგენს უმრავლესობაზე. ეს არის მსოფლიოში გაბატონებული იდეოლოგია სხვადასხვა საცეცებით, როგორიცაა: ჰომოსექსუალთა უფლებები და ფემინიზმი, რომელიც ღიად უპირისპირდება ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტს. ამ ყველაფერს კი კეთილშობილური მიზნებით: შემწყნარებლობითა და თანასწორობით ნიღბავს. ლიბერალიზმის პრინციპების საქადაგებლად აუცილებელი ინსტრუმენტია არასამთავრობო სექტორი, რომელიც ფინანსდება ქვეყნის გარედან, გამოხატავს დამფინანსებელთა ინტერესებს და ხშირ შემთხვევაში საკუთარი სახელმწიფოსა და ერის წინააღმდეგ ილაშქრებს.

რატომღაც ნებისმიერი იდეოლოგია, ყველაზე კეთილშობილიც კი, როგორიც არის „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ ან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება“ თითქმის ყოველთვის ძვირი უჯდება კაცობრიობას. რადგან ეს კეთილშობილური და ზოგადსაკაცობრიო იდეები ძალიან უცნაურ ადამიანებს ან მედროვეებს უვარდებათ ხელში.

რას ნიშნავს დღეს „სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება“? რაც ენაზე მოგადგება ან შენს ავადმყოფურ წარმოსახვაში დაიბადება — ყველაფერი უნდა ილაპარაკო?! არა, სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება დღეს მწყრალადაა თავშეკავებასთან, სინდისთან და ნამუსთან?!

ახლა ილია ჭავჭავაძე რომ წამოაყენა და თანამედროვე ლიბერალები დაანახვა, ალბათ, დაფრთხებოდა. ვაილიბერალებო, განა მაგას გასწავლიდათ ლიბერალი ილია ჭავჭავაძე, — ბიჭებს გოგოები არ მოეწონოთ, გოგოებს ბიჭებიო?! აა, თქვენ გლობალურად აზროვნებთ, სოფლელი ილია ჭავჭავაზე კი ამ მხრივ ჩამორჩენილი იყო, ხომ?!

თქვენი აზრით, რას ნიშნავს გლობალური აზროვნება? თუ აზროვნებ, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ გლობალურადაც აზროვნებ, კოსმიურადაც და აზრის ძალაც სწორედ ეგ არის. მაგრამ, თუ საერთოდ ვერ აზროვნებ, მაგას გეოგრაფიული მდებარეობა, სიტყვების თამაში არ შველის, როგორც იმის განცხადება, რომ მსოფლიო მოქალაქე ხარ...

მაგრამ მსოფლიო გთვლის კი თავის მოქალაქედ? თუ ამას არ აქვს მნიშვნელობა?! ეს უკვე გლობალური პროვინციალიზმის კიდევ ერთი უტყუარი ნიშანია, რომელსაც ჩვენი გამოჩენილი ლიბერალები ქვეყნიერების სასაცილოდ’ ლიბერალიზმს ეძახიან, თუმცა ამ ბოლო დროს ლიბერალები ხშირად ილია ჭავჭავაძის ლიბერალობით ამაყობენ.

ამჯერად, სოფლელ ვაჟაფშაველას აზრს „მოგახვევთ“ თავს: რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, მეგობრებს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, მის კეთილდღეობასო.

ნუთუ დღეს ვინმეს მართლა ჰგონია, რომ ლგბტ პრაიდები შეუწყობს ხელს მთელი კაცობრიობის განვითარებასა და მის კეთილდღეობას?

კაცობრიობის ისტორიას უამრავი სექსუალურად განსხვავებული ადამიანის სახელი შემორჩა, რომლებმაც კაცობრიობის განვითარებაში მართლაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, მაგრამ მათი ღვაწლი არავის მიუჩქმალავს განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის გამო.

1905 წელს ვაჟა-ფშაველა თავის წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ წერს:

„ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, — რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრედვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...




«ჭეშმარიტი ლიბერალობა ის არის, რომ ჭეშმარიტება არავის წაანწყმედინო, არავის გააქელვინო, ბოროტი ამხილო, მსჯავრდაუდებლად არ შეარჩინო და, თუ საიმისოა, ცხვირიდამაც ძმარი ადინო»

**ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოგდება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის**. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის ილვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო — მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით“, „მეფე ლირით“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკბება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს სად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნცა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? — არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკულმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

პატრიტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავ წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე — საზრდოდ, ნანა — მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან ჰგრძნობდა, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, — ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი შვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდაც უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? — იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, — სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალეო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ...

პატრიოტიზმი **უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპილიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი სალსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.**

ამიტომ **კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, ილვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს.** ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. **ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“.**

ეს ის ვაჟა ფშაველაა, რომელმაც 25 წლისამ „ალუდა ქეთელაური“ დაწერა. პოემა, რომელიც საუკეთესო ლიბელარული ტექსტია ქართულ ლიტერატურაში, ოღონდ ნამდვილი ლიბერალური, ნამდვილი ილია ჭავჭავაძისეული, ანუ „გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, ილვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს“, **მაგრამ, მოწინავე ქვეყნებს რომ გაუთანაბრდეს, ამისთვის მათგან ყოველგვარი სისაძაგლის გადმოღება და პროპაგანდა ვერაფერი საწინდარია.**

„პრაიდზე შეკრებილებო! რას ითხოვთ, რა გინდათ? იცხოვრეთ თქვენი ცხოვრებით. როგორიც ხართ, რად უნდა ამას აფიშირება და დემონსტრაციები? რა მიზანს ემსახურებით? დაგავიწყდათ, რომ საქართველო ტრადიციების ქვეყანაა და არ დაუშვებს თქვენს ასეთ ქმედებებს? **(ამონარიდი ერთ-ერთი ფეიბუკმომხმარებლის გვერდიდან).**

«გამოდის, რომ ჩვენ-კი მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, როცა ჩვენს მთელს ერს დედაბუდიანად სთხრიან და ისინი-კი უნდა აგვიშფოთდნენ, როცა ჩვენს მთხრელსა და მაგინებელს — ისიც გუნდს და არა მთელს ერს — ვიგერიებთ და იმის თვალთმაქცობას ვამხელთ... თქვენი წყენა აინუნშიაც არ მოგვდის, თუნდ მთელი ერი გამოგილანძღოთ და მთელი გუდა ტყულიებისა ზედ თავზე დაგაბერტყოთ თქვენის სახელის გატეხვისათვისო. ეს სადაური სამართალია, სადაური ლიბერალობა?»

თბილისელები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მე წავედი კიევში, ექიმების დახელოვნების ინსტიტუტში უროლოგიის სპეციალობით. ხუთი თვე ვიყავი უკრაინის დედაქალაქში. შემდეგ მოვხვდი მოსკოვის სეჩენოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკურ ორდინატურაში უროლოგიის კათედრაზე: მოსკოვში დავამთავრე ასპირანტურა და მოსკოვშივე გავაგრძელე მუშაობა ჩემი სპეციალობით: ვიყავი ჯერ კლინიკური ორდინატორი, შემდეგ — კლინიკის ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, 1980-1990 წლებში მოსკოვის კრასნოპრესენსკი რაიონის მთავარ უროლოგად ვმუშაობდი“.**

# «ზღვა, რომელიც შორია»

**აკაკი ნადარეიშვილს იცნობენ თბილისში, მოსკოვში, კიევში, სოხუმში, გუდაუთაში... „სტაიანშჩიკებიდან“ დაწყებული მაღალი სამედიცინო წრეებით დამთავრებული. აბაშელმა „სტაიანშჩიკმა“ ლაშა ცომაიამ მითხრა:**
**— რომ იცოდეთ, რამხელა ტრაგედია აქვს გადატანილი! სხვა ხელებს ჩამოყრიდა, ბატონი კოკა არაფერს გაგრძნობინებს. თავის გაჭირვებას არავის თავს არ ახვევს. ორი ვაჟი დაელუპა.**



აკაკი ნადარეიშვილი

**აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელობის კლინიკის უმაღლესი კატეგორიის პროფესიონალთა ამქრის გამორჩეული წევრია ბატონი აკაკი ნადარეიშვილი, სახელგანთქმული უროლოგი. ამას წინათ ყაზახეთიდან ჩამოაკითხა კაცმა. «ვინ გამიწია რეკომენდაცია, იმ სიშორიდან რომ ჩამოხვედითო?» — ჰკითხა ბატონმა აკაკიმ. «ინტერნეტში ამოვიკითხეო», — უპასუხია მომავალ პაციენტს. რუსეთიდანაც ჩამოდიან, სხვა ქვეყნებიდან. თორემ სომხეთისა და აზერბაიჯანის მკვიდრთა ყოველდღიურ რიგებს ბოლო არ უჩანს**

იმ კაცის ნათქვამი გადავეცი ადრესატს.

დაფიქრდა.

**— რომ ვილაპარაკო, რამე შველა იქნება? რას მოვიგებ? ყველას თავისი გასჭირვებია...**

— შველა არა, მაგრამ გაზიარება, თანადგომა ხომ შეგიმსუბუქებთ ტკივილს...

— ეეჰ... — ამოიოხრა, და ეს თემა ამით ამოიწურა...

**— ბატონო კოკა, პაციენტს, ახლა რომ გავიდა თქვენი კაბინეტიდან, მგონი, აფხაზურად ელაპარაკებოდით.**

— კი. აფხაზეთში დავიბადე და გავიზარდე, გუდაუთაში — „აფხაზების ცენტრში“.

მამაჩემი ოჯახში მეექვსე შვილი იყო, ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. ვერ დაამთავრა, რადგან მამა გარდაეცვალა და 15 წლის ბიჭს ოჯახის პატრონობა დაეკისრა. მუშაობა დაიწყო ორგანიზაციაში სახელწოდებით — „ტორგმორტრანსი“.

**— საზღვაო ვაჭრობის ტრანსპორტი?**

— რაღაც ამგვარი. შემდეგ „ჩერნომორეცად“ გადაკეთდა, „ალბატროსად“, რომელსაც **ვასილ კონჯარია** ედგა სათავეში. **სერგო ორჯონიკიძის** მეგობარი იყო რევოლუციის პერიოდში. მამამ სენაკელი ქალი მოიყვანა ცოლად. გუდაუთაში დასახლდნენ.

ნადარეიშვილები მშრომელი ხალხია. მამა ძალიან ნიჭიერი კაცი იყო. არც ჩვენ გამოვედით უნიჭოები *(იცინის)*.

მაშინ გუდაუთაში აფხაზური სკოლა არ არსებობდა. მხოლოდ სოხუმში იყო. იქაც მხოლოდ ოთხ კლასში ასწავლიდნენ აფხაზურს. აფხაზებს დამწერლობად ქართული ანბანი ჰქონდათ, შემდეგ რუსულზე გადავიდნენ. ბავშვები ან რუსულ, ან ქართულ სკოლებში დადიოდნენ.

გუდაუთაში დავამთავრე ილია ჭავჭავაძის სახელობის №1 საშუალო სკოლა.

**7 ივლისს ასი წელი უსრულდება ჩვენს სკოლას. კურსდამთავრებულები ვაპირებთ ამ საიუბილეო თარიღის საზეიმოდ აღნიშვნას. პირველი დირექტორი იყო იპოლიტე ჭანტურია. ასი წლის წინათ სწორედ მან ქართველი გოგო-ბიჭები ჩამოიყვანა პლასტუნკიდან (სოჭის მახლობლად, ხომ გახსოვთ, ქართველებით რომ იყო დასახლებული) მშობლიურ ენაზე განათლების მისაღებად.**

სკოლა მედალზე არ დაუმთავრებია. ცოტა ცელქი ბავშვი ვიყავიო. სპორტით იყო გატაცებული, უმეტესად, კალათბურთით. უმედლოდ მაშინ უმაღლესში ვერ ჩააბარებდი. სულ ცოტა, ორი წლის სამუშაო სტაჟი უნდა გქონოდა. მამის მეგობარმა, აფხაზმა **გრიშა ფილიამ** თავისთან მოაწყო — სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკაში. წითელ ხიდთან. კინოთეატრი „აფსნი“ რომ გაიხსნა, იქვე. კოკა ნადარეიშვილმა ქარხანაში მუშაობის პარალელურად საბუღალტრო ორწლიანი სკოლა დაამთავრა. დიპლომი მაქვს, დედას ვფიცავარო, — მითხრა.

— მამაჩემმა იქ მომაწყო, საყალთაბანდოდ დრო რომ არ დამრჩენოდა... ჩემი აფხაზური ნუ გაგიკვირდებათ, მათ შორის ვტრიალებდი — ყველა ჯურის ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა: მამას ჰქონდა მიზეზი ჩამოვეშორებინე იმათგან, ვინც, რბილად რომ ვთქვა, ქურდული მენტალიტეტით ამჯობინებდა ცხოვრებას.

(მკითხველი უთუოდ შეამჩნევს, რომ ამ ნარკვევის გმირის მონათხრობში დეტალები ხშირად არის მოხმობილი. სიამოვნებით იხსენებდა. მეც სიამოვნებით გადმომაქვს ქაღალდზე, რადგან ახლა უკვე მოგონებად ქცეული აფხაზეთი მახსენდება, ის გარემო, რომელშიც ჩვენმა ახალგაზრდობამ ჩაიარა:

**„გამარჯობა,**
**აფხაზეთო შენი“,**
**ლურჯო მთებო,**
**თეთრო სანატორია,**
**მომენატრა მზე**
**სინათლის მფენი,**
**მომენატრა ზღვა,**
**რომელიც შორია...“**
***გალაკტიონი***

ბიჭვინთა, გაგრა, „ჩორნაია რეჩკა“, მიუსერა, სტალინის აგარაკი, ამ სახელებს ჩვენი დროის აფხაზეთის სურნელება მოჰქონდა. ანდამატივით იზიდავდა ფიქრთა ნარჩენებს...

გვაპატიოს ახალმა თაობამ, რომ ვერ შევუნარჩუნეთ „ზღვა, რომელიც შორია“...).

მოგონებების ტალღამ კინაღამ რომ წაგვლეკა, ამ დროს აკაკი ნადარეიშვილის სამუშაო კაბინეტის კარი მისმა კოლეგამ შემოაღო.

— ეს ჩვენი ონკოქირურგია, უროლოგი, — **გამაცნო,** — ზალიკო კვირიკაშვილი.

მოკლე, საქმიანი საუბარი — ოპერაციაზე ლაპარაკობენ.

ვუბრუნდებით რეალობას.

**— ბატონო აკაკი, ბუღალტრის დიპლომიანი ბიჭი სამედიცინო ინსტიტუტში როგორ აღმოჩნდით?**

— თავიდანვე ექიმობა მინდოდა. ჩემი უფროსი ძმა გივი ნადარეიშვილი ექიმი იყო. კი მაფრთხილებდა დედაჩემი, ვერ მოხვდებიო ინსტიტუტში. მამაჩემი საყვედურობდა, რას აიჩემე, ვერ მოხვდებიო. გაუშვი, ჩააბაროს, ჩაირიცხება.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი **პეტრე გელბახიანი** იყო, ძალაუფლების მოყვარული კაცი. მე რომ ჩავაბარე, იმ წელს საგამოცდო კომისიების მთელი შემადგენლობა შეცვალეს. ფიზიკის კომისიის თავმჯდომარედ მოიყვანეს თსუ პროფესორი ჭელიძე, უცხო ენაში ინოლა გურგულიამ გამომცადა.

იმ წელს (1962-ში) ჩავირიცხეთ მე, **ფრიდონ თოდუა, რომა შაქარიშვილი, დათო გორდელაძე, გია ლეშკაშელი, ლიანა ოსეფაიშვილი** (მამამისი მილიციის თბილისის სამმართველოს უფროსი იყო), **მანანა სარიშვილი** (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ლეგენდარული რექტორის ივან ფაუსტოვიჩ სარიშვილის ქალიშვილი)... ერთი მე ვიყავი და კიდევ, რა თქმა უნდა, ფრიდონ თოდუა „უპატრონოები“.

**— უროლოგის სპეციალობა როდის აირჩიეთ?**

— ჩვენ დროს, გახსოვთ, ალბათ, უმაღლესდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტებს სამუშაოდ ანაწილებდა სახელმწიფო კომისია. მე შემომთავაზეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სიდის კოლონიაში ექიმის თანამდებობა, — ИТК-26-ში. უარი ვთქვი, რადგან იყო ორი სხვა ადგილი გალის რაიონის საავადმყოფოებში. კომისიაში იჯდა პეტრე გელბახიანი თავისი ამალით. ჩემი უარი არ მოეწონა. რატომ არ გინდათ, მკითხა, იქ წასვლა სამუშაოდ, სადაც სახელმწიფო გაგზავნითო? ციხეში მუშაობა არ მხიბლავს-მეთქი. უყურე, შენ! — გაცეცხლდა რექტორი, — უარს იტყვი და საერთოდ ვერ დაამთავრებ ჩემს ინსტიტუტს! მე ჩემსაზე დავდექი — სამიანს მაინც მივიღებ ყველა საგანში! — შევეპასუხე. შემომიტიეს კომისიის სხვა წევრებმაც და იძულებული გავხდი, თანხმობა ხელმოწერით დამედასტურებინა: წელიწადნახევარი მომიწია იქ მუშაობა.

შემდეგ, როგორც იქნა, იპოვეს ექიმი, რომელიც ჩემს ადგილზე მუშაობას დათანხმდა, და მე წავედი კიევში, ექიმების დახელოვნების ინსტიტუტში უროლოგიის სპეციალობით. ხუთი თვე ვიყავი უკრაინის დედაქალაქში. შემდეგ მოვხვდი მოსკოვის სეჩენოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკურ ორდინატურაში უროლოგიის კათედრაზე. მოსკოვში დავამთავრე ასპირანტურა და მოსკოვშივე გავაგრძელე მუშაობა ჩემი სპეციალობით: ვიყავი ჯერ კლინიკური ორდინატორი, შემდეგ კლინიკის ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, 1980-1990 წლებში მოსკოვის კრასნოპრესენსკი რაიონის მთავარ უროლოგად ვმუშაობდი.

**— კარგად ყოფილხართ მოწყობილი...**

— დიახ. უკეთესის წარმოდგენაც კი ძნელია.

**— ვიცი, რომ 90-იანი წლების დასაწყისში იმ ქართველ ექიმებს შორის იყავით, რომლებიც ბატონ ფრიდონ თოდუას ჩამოჰყვნენ მოსკოვიდან თბილისში სამუშაოდ.**

— დიახ, ასე იყო. და, სამწუხაროდ, ბატონ ფრიდონს ჩემ გარდა ყველა გამოეცალა, დღესაც მისი სახელობის კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ვმუშაობ. აკადემიკოსმა ფრიდონ თოდუამ, პრაქტიკულად, ცარიელ ადგილზე შექმნა უთანამედროვესი სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი და უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტებით დაკომპლექტებული ეს კლინიკა, რომელმაც მთელ ევროპაში გაითქვა სახელი.

**— თქვენ თბილისში დაბრუნდით მაშინ, როცა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ჟინი და შემდეგ უკვე — მოპოვებული თავისუფლებით გამოწვეული ეიფორია სუფევდა.**

**პრევალირებდა ტოტალური თავისუფლების გრძნობა და პატრიოტულ ლოზუნგებს ამოფარებული დილეტანტიზმი.**

— მით უფრო საჭირო იყო პროფესიონალი კადრების კონცენტრაცია მეურნეობის ყველა სფეროში. ცხადია, მედიცინაშიც. ურთულესი პერიოდი იყო.

დაძლიეს. მისი წვლილიც იყო ქვეყანა კალაპოტში რომ ჩადგა. დაუფასეს: ორგზის ღირსების ორდენის კავალერია, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დოქტორი, პროფესორი, მეცნიერი-ხელმძღვანელი: ათზე მეტმა ახალგაზრდა რადიოლოგმა მისი ხელმძღვანელობით დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ავტორია 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და ა.შ.

აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელობის კლინიკის უმაღლესი კატეგორიის პროფესიონალთა ამქრის გამორჩეული წევრია ბატონი აკაკი ნადარეიშვილი, სახელგანთქმული უროლოგი.

ამას წინათ ყაზახეთიდან ჩამოაკითხა კაცმა. ვინ გამიწია რეკომენდაცია, იმ სიშორიდან რომ ჩამოხვედითო, ჰკითხა ბატონმა აკაკიმ. ინტერნეტში ამოვიკითხეო, უპასუხია მომავალ პაციენტს. რუსეთიდანაც ჩამოდიან, სხვა ქვეყნებიდან. თორემ სომხეთისა და აზერბაიჯანის მკვიდრთა ყოველდღიურ რიგებს ბოლო არ უჩანს.

ვკითხე (ეტყობა, არ უნდა მეკითხა): რითი ახსნით, ბატონო აკაკი, პაციენტების ასეთ შემოჯარვას — თქვენი პოპულარობით, თუ უროლოგიური დაავადებების ზრდით?

ამ უკანასკნელითო, — მიპასუხა.

ხომ ვიცოდი, რომ ასე იტყოდა...

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ინტერვიუსთვის სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ დამიბარა. მივედი. ორი ბოლო (ასე მეგონა) პაციენტი ის-ის იყო გაუშვა.**

**40-იოდ წუთის შემდეგ მისი კაბინეტიდან გამოსულს, ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენი წყვილი თვალის საყვედურიანმა მზერამ ზურგი ამიწვა.**

**სამუშაო დღე დიდი ხნის დამთავრებული იყო... ოღონდ არა აკაკი ნადარეიშვილისთვის.**

**ა.ს.**

**ჩვენ უნდა გავხდეთ არა სამხედრო, არამედ ქვეყნებს შორის ურთიერთობების განმტკიცების, მეგობრობის, სტუმართმოყვარეობის პოლიგონი, რაც ყველაზე კარგად ხელეწიფება ქართველ ხალხს. კავკასიურ სივრცეში ქართველთა გადარჩენის განმაპირობებელ მიზეზებზე ნაფიქრალი აქვს აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს, რომელიც სამ ძირითად ფაქტორს გამოყოფდა: 1. ქართველთა მებრძოლ სულისკვეთებას; 2. ქვეყნის სწრაფად აღდგენად სოფლის მეურნეობას; 3. მართლმადიდებელი სარწმუნოებისადმი განსაკუთრებულ პატივისცემასა და მოკრძალებას.**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როდემდე, ჩემო სამშობლოვ?!

**ჩვენ ვცხოვრობთ კავკასიის ურთულეს და უმშვენიერეს გეოპოლიტიკურ სივრცეში, რომელსაც უამრავი შედევრი მიუძღვნეს. კავკასიელები განსაკუთრებული, ამაყი და ბევრი ღირსების მქონე ხალხია. ჩვენს მეგობრობას განაპირობებს ეთნოფსიქიკური სიახლოვე, საოცარი ურთიერთპატივისცემა და განთქმული სტუმართმოყვარეობა. კავკასიაში დღესაც შენარჩუნებულია უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი, რომლის დაუწერელი კანონები ზოგჯერ კონსტიტუციაზეც ძლიერია.**




შუასაუკუნეებში კავკასიელ ხალხთა კულტურული და საგანმანათლებლო ურთიერთობის ეპიცენტრი საქართველო, მისი დედაქალაქი თბილისი იყო. ეს მისია თითქოს განგების მიერ იყო მონიჭებული. სამწუხაროდ, მსოფლიოში და განსაკუთრებით აწ უკვე ყოფილ საბჭოთა კავშირში განვითარებულმა არასასურველმა მოვლენებმა დაღი დაასვა ამ ურთიერთობებს.

მაგრამ ქართველი ხალხის ძალისხმევით დაარსდა „კავკასიური სახლი“, რომელმაც უნდა ააღორძინოს და იტვირთოს ის ტრადიციები, რომლებიც ტრადიციულად იყო ჩამოყალიბებული. საბედნიეროდ, კავკასიურმა დიასპორამ საკმაოდ მოიკიდა ფეხი მსოფლიოში, შეიქმნა კულტურული ცენტრები, რომლებშიც ქართველები დიდ როლს თამაშობენ.

ჩვენი გეოსტრატეგიული ფუნქცია უნდა განვამტკიცოთ კავკასიაში, როგორც ენერგეტიკული, ისე სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური მიმართულებით. **ჩვენ უნდა გავხდეთ არა სამხედრო, არამედ ქვეყნებს შორის ურთიერთობების განმტკიცების, მეგობრობის, სტუმართმოყვარეობის პოლიგონი, რაც ყველაზე კარგად ხელეწიფება ქართველ ხალხს.** კავკასიურ სივრცეში ქართველთა გადარჩენის განმაპირობებელ მიზეზებზე ნაფიქრი აქვს აკადემიკოს **ნიკო ბერძენიშვილს,** რომელიც სამ ძირითად ფაქტორს გამოყოფდა: **1. ქართველთა მებრძოლ სულისკვეთებას; 2. ქვეყნის სწრაფად აღდგენად სოფლის მეურნეობას; 3. მართლმადიდებელი სარწმუნოებისადმი განსაკუთრებულ პატივისცემასა და მოკრძალებას.**

საქართველოს, ქართველი ერის მტრებს კარგად აქვთ შესწავლილი ყოველივე ეს და შეგნებულად და მიზანმიმართულად, ყოველგვარი ხერხისა და საშუალების გამოყენებით მოქმედებენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. 30 წელია, ამ მოჯადოებულ წრეზე ვტრიალებთ და ვიტანჯებით. როდემდის, ჩემო სამშობლოვ?!

ქართველთა **მებრძოლი სულისკვეთება** ისტორიულადაა დამტკიცებული და აღიარებული. ამის გარეშე ჩვენი მცირერიცხოვანი ერი ვერ მოაღწევდა აქამდე. ქართული ჯარი, მისი მენტალიტეტი დღესაც განთქმულია. ყველგან, რომელ მისიებშიც მონაწილეობენ, წარმატებით ართმევენ თავს და განსაკუთრებული ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევიან. სამწუხაროდ, **ჩვენი ქვეყნის ეროვნული იდეა და ინტერესები ნაკლებად, შეიძლება ითქვას, სრულებით არ არის გათვალისწინებული და, როგორც ადრინდელ ისტორიულ ეპოქაში, ახლაც მამლუქებად ვართ გადაქცეულნი.** ეს კი ერში იწვევს ეროვნული სულისკვეთებისა და პოტენციალის განადგურებას. მეტიც, ახალგაზრდები ისეთ განათლებას იღებენ, რომ მათში ჩაკლულია პატრიოტული აღზრდა, ქვეყნის სიყვარული, მისი დაცვის ინტერესები, ხოლო ე. წ. ელიტური კასტა, რომელიც შვა **ამ ე. წ. ველურმა კაპიტალიზმმა, თავიანთ შვილებს ჯარში არ გზავნის. ახალგაზრდებს, თავი რომ აარიდონ სამხედრო-სავალდებულო სამსახურს, სხვადასხვა რელიგიურ სექტებში აერთიანებენ. რაც შეეხება ჯარში გასაწვევ კონტიგენტს, ქვეყანაში შექმნილი მძიმე დემოგრაფიული ფონისა და ახალგაზრდობის საზღვარგარეთ გადინების გამო, თითქმის ორჯერ შემცირდა.** ჯარში გასაწვევი კონტიგენტის უმრავლესობის ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, რაც იმის შედეგიცაა, რომ ბავშვების 30% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, 6-8% — უკიდურეს სიღარიბეში, 50 ათასი ბავშვი შიმშილობს, მოკლებულია მზრუნველობას, 700 ბავშვი ყოველწლიურად იღუპება შიმშილისგან. **14 ათასი სასკოლო ასაკის ბავშვი არ დადის სკოლაში. საერთოდ, ქვეყანაში ბავშთა სოციალური დაცვის სისტემა არ არსებობს. რა გენოფონდზე, რა ნიჭიერებასა და მომავალზეა ლაპარაკი, როცა მალე აღარც თოფის, აღარც თოხისა და წიგნის დამჭერი აღარ იქნება ამ ქვეყანაში არსებობის გაუსაძლისი პირობების გამო.**

**რატომ ვერ იკმაყოფილებს უნიკალური ბუნებისა და პირობების მქონე ქვეყანა თავის თავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით? რატომაა გამოუყენებელი სახელმწიფოს ხელში არსებული მიწა, რომელიც საერთო ფართობის 70%-ია?**

ქვეყანაში არსებობდა სამხედრო ინფრასტრუქტურა. იყო საარტილერიო სასწავლებელი, საჰაერო და საზღვაო ფლოტი, საავიაციო ქარხანა და სხვ. სამწუხაროდ, დღეს ეს ყველაფერი მოშლილი და განადგურებულია. არ გვაქვს სათანადო და სრულყოფილი ტექნიკური უზრუნველყოფა და ინფრასტრუქტურა, განვიცდით ინტელექტუალური კადრების ნაკლებობას... რაც მთავარია, არ გაგვაჩნია ქვეყნის სამხედრო კონცეფცია.

**ე. წ. ელიტური კასტა, რომელიც შვა ე. წ. ველურმა კაპიტალიზმმა, შვილებს ჯარში არ გზავნის. სამხედრო-სავალდებულო სამსახურს თავი რომ აარიდონ, ახალგაზრდებს სხვადასხვა რელიგიურ სექტაში აერთიანებენ**

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის სწრაფად აღდგენასა და ბუნების დაცვას, სამწუხაროდ, ქვეყანაში ცალკე ხალხზე ტარდება ექსპერიმენტი, რამდენ ხანს გაუძლებს შიმშილს და ცალკე ბუნებაზე — რამდენ ხანს გადაურჩება განადგურებას. ცნობილია, რომ გერმანელმა მეცნიერმა გამოიგონა მცენარეთა შესაწამლი ნივთიერება — პესტიციდები, რომელმაც გაანადგურა არა მხოლოდ სარეველა მცენარეები, არამედ ადამიანები, ამიტომ მისი გამოყენება სასტიკად აიკრძალა. სამწუხაროდ, ამ ნივთიერების გამოყენების შედეგად დღესაც მსოფლიოში მილიონობით ადამიანი იღუპება. ჩვენთანაც ტარდება ექსპერიმენტი აზიურ ფაროსანაზე სხვადასხვა ნივთიერებით და კაცმა არ იცის, რა შედეგს მოიტანს. ყველას გვახსოვს ქათმისა და ღორის ჭირით გამოწვეული ზარალი. ახლა აზიური ფაროსანა გვანადგურებს და ეს ჩვენი სასწრაფოდ აღსადგენი სოფლის მეურნეობა სწრაფად ნადგურდება. **ქვეყანაში არ არსებობს სოფლის მეურნეობის აღორძინების სტრატეგია. მიწისა და ქონების 70% კვლავ სახელმწიფოს ხელშია და გამოუყენებელია მისი დამუშავების საშუალებების ნაკლებობისა და სიძვირის გამო.** ჩვენ სხვა ღირებულებების სისტემა და მენტალიტეტი გვაქვს შრომის, დისციპლინის, ინდივიდუალური და კოლექტიური ურთიერთობების მიმართ, რასაც დაემატა სიღარიბე და არ ვითვალისწინებთ ყოველივე ამას.

**ჯარში გასაწვევი კონტიგენტის უმრავლესობის ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, რაც იმის შედეგიცაა, რომ ბავშვების 30 % სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, 6,8 % — უკიდურეს სიღარიბეში; 50 ათასი ბავშვი შიმშილობს, მოკლებულია ყოველგვარ მზრუნველობას, 700 ბავშვი კი ყოველწლიურად იღუპება შიმშილისგან**

უწინარესად, ხელი უნდა შევუწყოთ **საოჯახო და კოოპერატიული საწარმოების შექმნა-განვითარებას,** რომელიც ყველასთვის და ყოველმხრივ ხელმისაწვდომი იქნება თავისი საკანონმდებლო ბაზით, სუბსიდიებით, აგროდაზღვევითა და სხვა ღონისძიებებით.

უნიკალური ბუნების მქონე ქვეყანა თავს ვერ იკმაყოფილებს **სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით,** როცა აქვს უდიდესი პოტენციალი, ამ პროდუქტების მოყვანითა და მისი გადამუშავებით ქვეყნის ბიუჯეტი სათანადოდ შეივსოს. სამწუხაროდ, **მიწა,** როგორც ქვეყნის ეკონომიკური საფუძველი, და ტერიტორია, როგორც ქვეყნის პოლიტიკური საფუძველი, კარგავს თავის ფუნქციას.

ახლა მინდა შევეხო ჩვენთვის ყველაზე მტკივნეულ, სათუთ, სათაყვანებელ და **სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს — მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი დამოკიდებულებას. სამწუხაროდ, ეროვნულ თავისუფლებასთან ერთად თავმოყვარეობაც დავკარგეთ და ახლა სულიერ და პიროვნულ თავისუფლებასაც გვართმევენ, რადგან არ გვაძლევენ უფლის ნების აღსრულების საშუალებას — ვიცხოვროთ ზნეობრივად, შევინარჩუნოთ ჩვენი თვითმყოფადობა და თავისუფლება.** ჩვენი ერისთვის შეუთავსებელია ის ზნეობრივი ფასეულობები, რომლებსაც თავს გვახვევენ. ლგბტ პირების პროპაგანდა და გეიაღლუმების ჩატარება სრულიად მიუღებელია ჩვენთვის. მართლმადიდებლობაზე შეტევა, როგორც გარედან, ასევე შიგნიდან, თანდათან ძლიერდება. **ამას თვალნათლივ ვხედავთ, როცა ევროსაბჭოს დეპუტატი იქამდე კადნიერდება, რომ სვამს კითხვას საქართველოში გეიაღლუმების ჩატარების თაობაზე, როცა უწმინდესისა და უნეტარესის — ილია მეორის ეპისტოლეების წაკითხვასაც კი გვიკრძალავენ, რომელიც ქადაგებს: თუ სიკეთე და სიმართლე განქარდება, ურთიერთპატივისცემა და პატიოსნება დაიკარგება; თუ მეგობრობა, სიყვარული და თანადგომა ადამიანთა ბუნებიდან წაიხოცება, ასეთი საზოგადოება ხომ თავისთავად გახდება სიცოცხლის უუნარო და გადაგვარებისთვის განწირული. ამასთანავე, გაქრება ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი ზღვარიც, ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის.**

თავსმოხვეული დირექტივებითა და კანონებით ცხოვრება შეუძლებელია. ჩვენი მენტალიტეტით, რწმენით უნდა ვიცხოვროთ. ანტიქართული კანონპროექტები ერის ტრადიციული ფასეულობებისთვის შეუთავსებელია.

ქართველი კაცისთვის ყველაზე ძვირფასი მართლმადიდებლობა და მის მიმართ მოკრძალება და პატივისცემის გამოხატვაა. ეს არის მრწამსი, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ეთაყვანება და მისთვის სიცოცხლეს სწირავს ქართველი კაცი. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა მიმდინარე წელს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს დავესწარი და ქვეყნის მასშტაბითაც ვადევნებდი თვალს. ასე შემართული, ასე იმედით აღტკინებული ქართველი ხალხი, დიდი ხანია, არ მინახავს. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული კი დააგვირგვინა უწმინდესისა და უნეტარესის ბრძნულმა გამონათქვამმა: **„გწამდეთ და გიყვარდეთ, რაც გადაარჩენს საქართველოს!“**

**ჯონი ცინცაძე,**
ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

1485 წლის ნაშრომში „ჰაერში სხეულების ფრენისა და მოძრაობის შესახებ“ ლეონარდომ გააკეთა ესკიზი პირამიდის მსგავსი კონსტრუქციისა, რომელსაც შემოხვეული აქვს ბამბის ქსოვილი. გამომგონებელი წერდა, რომ ხელის მტევნიდან იდაყვამდე მანძილის 12 სიგანისა და 12 სიმაღლის მქონე ნაჭრის კარვით ადამიანს შეუძლია გადმოხტეს ნებისმიერი სიმაღლიდან, ისე, რომ სხეულის დაზიანების არ შეეშინდეს. საოცარია, მაგრამ, და ვინჩის ნახაზების მიხედვით, 2000-იან წლებში შექმნილი პარაშუტი ზუსტად ისე მუშაობდა, როგორც აღწერა დიდმა იტალიელმა.



# ლეონარდო და ვინჩის 7 გენიალური გამოგონება, რომლებმაც რამდენიმე ასეული წლით გაუსწრო დროს

მხატვარი, სკულპტორი, არქიტექტორი, მეცნიერი, მწერალი, ანატომი... ალბათ, უფრო იოლია იმის ჩამოთვლა, რომელ პროფესიას არ ფლობდა ლეგენდარული ლეონარდო და ვინჩი. მიუხედავად იმისა, რომ იტალიელის გამოგონებათა უმრავლესობა მხოლოდ ნახაზებად დარჩა, მას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ აღორძინების ეპოქის უდიდესი წარმომადგენელი. გთავაზობთ ლეონარდო და ვინჩის 7 გენიალურ გამოგონებას. შეხედეთ მათ XXI საუკუნის ობივატელის თვალით.







## 1. პარაშუტი

და ვინჩიმ, რომელიც მოხიბლა მფრინავი ადამიანის იდეამ, თავის დროზე შექმნა ესკიზი მოწყობილობისა, რომელიც ჰაერში დრეიფის საშუალებას იძლევა.

1485 წლის ნაშრომში „ჰაერში სხეულების ფრენისა და მოძრაობის შესახებ“ ლეონარდომ გააკეთა ესკიზი პირამიდის მსგავსი კონსტრუქციისა, რომელსაც შემოხვეული აქვს ბამბის ქსოვილი. გამომგონებელი წერდა, რომ ხელის მტევნიდან იდაყვამდე მანძილის 12 სიგანისა და 12 სიმაღლის მქონე ნაჭრის კარვით ადამიანს შეუძლია გადმოხტეს ნებისმიერი სიმაღლიდან, ისე, რომ სხეულის დაზიანების არ შეეშინდეს.

საოცარია, მაგრამ, და ვინჩის ნახაზების მიხედვით, 2000-იან წლებში შექმნილი პარაშუტი ზუსტად ისე მუშაობდა, როგორც აღწერა დიდმა იტალიელმა.



## 2. საჰაერო ხრახნი

„საჰაერო ხრახნი“ ლეონარდო და ვინჩის ხელნაწერებში ნაპოვნი ერთ-ერთი საინტერესო ესკიზია. მასში ინჟინერმა აღწერა უჩვეულო აპარატი, რომელსაც შეეძლო ცაში აფრენა მოძრავი ფრთების მეშვეობით.

სელისგან დამზადებულ გიგანტურ ხრახნებს უნდა შეექმნა აეროდინამიკური ძალა, რომელიც, ავტორის ჩანაფიქრით, „ჰაერის ხრახნს“ ჰაერში აწევდა.

ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს თანამედროვე ვერტმფრენს.



## 3. რობოტი-რაინდი

ლეონარდო და ვინჩი, აგრეთვე, ცნობილია, როგორც პირველი რობოტი-ჰუმანოიდის შემქმნელი, ოღონდ, როგორც ჩანს, თავისი სხვა გამოგონებებისგან განსხვავებით, იტალიელმა მაინც ააგო რაინდის ფორმის რობოტი. როგორც ცნობილია, ლეონარდო დიდ დროს უთმობდა ადამიანის ანატომიის შესწავლას, სწორედ ეს ცოდნა დაედო საფუძვლად რობოტი-რაინდის შექმნას.



## 4. სამომავლო ქალაქები

იმ პერიოდში, როცა ლეონარდო და ვინჩი მილანში ცხოვრობდა, ევროპაში ჭირის ეპიდემია მძვინვარებდა. მეცნიერმა შეამჩნია, რომ დიდი ქალაქები უფრო დაუცველი იყო ვირუსისგან, ვიდრე სოფლები. და ვინჩის გაუჩნდა იდეა, შეექმნა „იდეალური ქალაქი“ მინიმალური ანტისანიტარიით. ქალაქის პროექტში გათვალისწინებული იყო ბევრი თანამედროვე ტექნოლოგია, ისეთი, როგორიც არის სარინი არხების სისტემა, მრავალდონიანი ქუჩები და სხვ.



## 5. თვითმავალი ურიკა

თუ რობოტ-რაინდს შეიძლება ვუწოდოთ ადამიანის მსგავსი პირველი მანქანა, თვითმავალი ურიკა თვითმავალი ტრანსპორტის პირველი მაგალითია. და ვინჩის ნახატები სრულად არ ხსნის ურიკის მოქმედების პრინციპს, მაგრამ ცხადია, რომ ის გადაადგილდებოდა ზამბარიანი მექანიზმის მეშვეობით, როგორიც გამოყენებულია თანამედროვე საათებში. ზამბარების მომართვა შეიძლებოდა ხელით და, სანამ ისინი საბოლოოდ გაიშლებოდა, ურიკა წინ მოძრაობდა. საჭე კი იმართებოდა რამდენიმე ბლოკისა და გადაცემათა ჯაჭვის მეშვეობით.



## 6. ჯავშნიანი ტანკი

ჰერცოგ ლოდოვიკო სფორცასთან მუშაობისას ლეონარდო და ვინჩიმ დახატა ის, რაც სამხედრო მანქანების სფეროში მისი ქმნილებების გვირგვინია — ჯავშნიანი ტანკი. ამ „კუში“ შეიძლებოდა ერთდროულად 8 ადამიანის მოთავსება. ტანკის გარშემოწერილობაზე კი განლაგებული იყო 36 იარაღი. თუმცა ამ პერსპექტიული სამხედრო მანქანის აგება ვერ მოახერხეს ტექნოლოგიების შეზღუდულობის გამო.



## 7. მყვინთავის კოსტიუმი

ლეონარდო და ვინჩი XV საუკუნის ბოლოს ვენეციაში ცხოვრობდა. მას გაუჩნდა მტრის ფლოტის განადგურების ინოვაციური იდეა, რომლის მიხედვითაც, მებრძოლთა ჯგუფს სპეციალური წყალგაუმტარი კოსტიუმებით უნდა ჩაეყვინთათ ნავსადგურის ფსკერზე და შეუმჩნევლად დაეზიანებიდათ ხის ხომალდები. დღეს ეს იდეა შთამბეჭდავი არ არის, მაგრამ და ვინჩის პერიოდში გაუგონარი რამ იყო. ასეთ კოსტიუმებში მყვინთავებს შეეძლოთ ჰაერი სპეციალური ტომრებიდან შეესუნთქათ, მინის ნიღბიდან კი წყალქვეშ ყველაფერი დაენახათ.

**მოამზადა ნიკა კორინთელმა**

**ამერიკის თასის გათამაშებებში 15-ჯერ გაიმარჯვა ურუგვაის ნაკრებმა. შემდეგ მოდის არგენტინის ნაკრები 14 გამარჯვებით, ლიდერებს ძალიან ჩამორჩებიან ბრაზილიელები. მათ ანგარიშზე 8 გამარჯვებაა.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რამდენიმე ფაქტი ამერიკის თასის შესახებ

**14 ივნისს ბრაზილიისა და ბოლივიის ეროვნულ ნაკრებებს შორის სან პაულუში გამართული მატჩით (ეს შეხვედრა დასრულდა ბრაზილიელთა გამარჯვებით — 3:0) სტარტი აიღო სამხრეთ ამერიკის თასის (კოპა ამერიკა) 46-ე გათამაშებამ ეროვნულ ნაკრებებს შორის. არსებობის 100-ზე მეტი წლის განმავლობაში ტურნირის მსვლელობისას უამრავი საინტერესო მოვლენა მოხდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ავარჩიეთ და დღეს გასაცნობად გთავაზობთ.**

* ამერიკის თასი — მსოფლიოში ყველაზე ძველი კონტინენტური შეჯიბრებაა ეროვნული ნაკრებებისთვის. სამხრეთ ამერიკის პირველობის პირველი გათამაშება 1917 წლის ივლისში გაიმართა არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში. იმხანად ევროპაში I მსოფლიო ომი მძვინვარებდა და ფეხბურთისთვის არავის ეცალა. ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩები მხოლოდ 1958 წელს ჩატარდა, აზიისა და აფრიკის თასების ფინალური ტურნირები კი შესაბამისად — 1956 და 1957 წლებში.

* ამერიკის თასი ყველაზე რთული ტურნირია ეროვნული ნაკრებებისთვის. ამჟამინდელი ტურნირის მონაწილე გუნდების ზუსტად ნახევარი ფიფას სარეიტინგო სიის საუკეთესო ოცეულში შედის. ნაკრებების განაცხადში კი ისეთი ვარსკვლავების გვარებს შეხვდებით, როგორიც არის **მესი, დი მარია, აგუერო კოუტინიო, ფირმანო, ფერნანდინიო, სუარესი, კავანი, ვიდალი, ალექსის სანჩესი, ფალკაო** და სხვ.

* ამერიკის თასის გათამაშებებში 15-ჯერ გაიმარჯვა **ურუგვაის** ნაკრებმა. შემდეგ მოდის არგენტინის ნაკრები 14 გამარჯვებით, ლიდერებს ძალიან ჩამორჩებიან ბრაზილიელები. მათ ანგარიშზე 8 გამარჯვებაა.

* ამერიკის თასის ყველა გათამაშებაში მონაწილეობდა 18 გუნდი. სამხრეთ ამერიკული 10 ნაკრების გარდა, ორგანიზატორები ტურნირზე იწვევდნენ **კოსტა-რიკის, აშშ-ის, ჰაიტის, ჰონდურასის, იამაიკის, მექსიკის, პანამისა** და **იაპონიის** ნაკრებებს, ახლა კი მათ დაემატა **ყატარის** ნაკრები.

* ტურნირის მასპინძლები არც ისე ხშირად იგებდნენ ამერიკის თასს. 1987 წლიდან მათ წარმატება მხოლოდ 4-ჯერ მოიპოვეს. ბოლოს ეს შეძლო ჩილემ 2015 წელს. მან ფინალურ მატჩში პენალტების სერიაში დაამარცხეს არგენტინის ნაკრები — 4:1.

* წინა ტურნირი, რომელიც შეჯიბრების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა, პირველად ჩატარდა სამხრეთ ამერიკის ფარგლებს გარეთ — აშშ-ში, ისევ გაიმარჯვა ჩილემ, რომელმაც კვლავ პენალტების სერიაში დაამარცხა არგენტინა — 4:2.

* ბრაზილია ამერიკის თასის თამაშებას მეხუთედ მასპინძლობს. წინა ტურნირები ამ ქვეყანაში გაიმართა 1919, 1922, 1949 და 1989 წლებში. ბრაზილიელებმა უკვე გამართულ 4 ჩემპიონატში 4-ჯერ გაიმარჯვეს.

* 1989 წელს რიო-დე-ჟანეიროში, ცნობილ სტადიონ „მარაკანაზე" ბრაზილიასა და ურუგვაის ფინალურ მატჩს 170 ათასი მაყურებელი დაესწრო.

* ტურნირის ამჟამინდელი ფორმატი, როცა შესარჩევ ეტაპზე მონაწილენი განაწილებულნი არიან სამ ჯგუფში, თითოეულში 4 გუნდი, 1993 წლიდან მოქმედებს. ფლეიოფში თითოეული ჯგუფიდან გადის 1-ელ და მე-2 ადგილებზე გასული გუნდები, აგრეთვე, 2 ნაკრები, რომლებსაც საუკეთესო მაჩვენებლები ექნებათ მესამე ადგილზე გასულ გუნდებს შორის.

* სამხრეთ ამერიკის XIV ჩემპიონატი (ასე ეწოდებოდა ტურნირს 1975 წლამდე), რომელიც არგენტინაში ჩატარდა, უნიკალური აღმოჩნდა — დაიწყო ერთ წელიწადში და დასრულდა მეორეში. პირველი მატჩი გაიმართა 1936 წლის 27 დეკემბერს, ფინალური კი — 1937 წლის 1 თებერვალს.

* 1987 წლის ტურნირს გაუჩნდა თილისმა, სახალისო არსებების ჯგუფს (ერთ-ერთი, მაგალითად, იყო სიმინდის ტარო) ხელმძღვანელობდა გამორჩეულად ჩაცმული გარდელიტო, რომელიც ძალიან ჰგავდა არგენტინელ ტანგოს ცნობილ მოცეკვავე **კარლოს გარდელს.** ამჟამინდელი გათამაშების თილისმაა **კალიბარა** (ნახევრადამფიბია ბალახისმჭამელი ძუძუმწოვარა) ზიზიტო. ასე ეწოდა მას ამერიკის თასის გათამაშების ისტორიაში ერთ-ერთი შესანიშნავი ბომბარდირის — **ზიზინიოს** პატივსაცემად.

* ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულს იყოფს ორი ფეხბურთელი — არგენტინელი ნორბერტო მენდესი და ბრაზილიელი **ზიზინიო.** თითოეულის ანგარიშზე 17 გოლია. თუმცა, თუ ბრაზილიელმა ბურთები გაიტანა ამერიკის თასის 6 გათამაშებაში (სხვათა შორის, არც ერთხელ არ ყოფილა ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი), არგენტინელმა თავისი 17 ბურთი 3 ჩემპიონატში (1945, 1956, 1947) გაიტანა.

* ამერიკის თასის გათამაშების 34 მატჩში მონაწილეობდა ჩილელი გოლკიპერი **სერხიო ლივინგსტონი.** რეცორდს, კარგა ხანს, ალბათ, ვერავინ გააუმჯობესებს, რადგან ლივინგსტონის უახლოესი მდევრის, ლიონელ მესის, ანგარიშზე მხოლოდ 21 მატჩია.

* დიადი პელე ამერიკის თასის მხოლოდ ერთ გათამაშებაში მონაწილეობდა — 1959 წელს. მიუხედავად ვარსკვლავური შემადგენლობისა, რომელმაც ერთი წლით ადრე მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, ბრაზილიელებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. აღსანიშნავია, რომ პელემ 6 მატჩში 8 ბურთი გაიტანა.

* ამერიკის თასის გათამაშების ისტორიაში ყველაზე შედეგიანი იყო არგენტინისა და ეკვადორის მატჩი, რომელშიც არგენტინელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 12:0.

* ტურნირის პირველი ბურთი ურუგვაელმა **ხოსე პენდიბენემ** გაიტანა ჩილელთა კარში 1916 წელს. ეს მოხდა შეხვედრის 44-ე წუთზე, გოლს, ბუენოს-აირესის სტადიონ „ხიმნასიის" ტრიბუნებიდან თვალს ადევნებდა 18 ათასი მაყურებელი.

* პირველი ავტოგოლი ჩილელების ანგარიშზეა. წარუმატებელი აღმოჩნდა ჰავბეკი **ლუის ალბერტო გარსია,** რომელმაც ბურთი თავისი კარის ბადეში გაახვია და გამარჯვება არგენტინელებს მოუტანა.

* კოლუმბიელი **რენე იგიტა** პირველი მეკარეა, რომელმაც ამერიკის თასის გათამაშებაში ბურთი გაიტანა. 1989 წელს მან პენალტიდან შეაგდო ბურთი ვენესუელის ნაკრების კარში.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**








მარაკანა


ზიზიტო


არგენტინა - კოლუმბია

# ჩემი ირაკლი

**დიდი ხანი არ არის, რაც ჩემი უფროსი მეგობარი, აკადემიკოსი ირაკლი ჟორდანია განერიდა წუთისოფელს. ის მაღალი ზნეობის, დიდი ბუნებისა და სიკეთის განსახიერება გახლდათ.**



ჩემი ირაკლი ბუნებამ უხვად დააჯილდოვა გარეგნობით, ნიჭიერებით, კეთილგონიერებით, კეთილსინდისიერებით, გულწრფელობითა და გასაოცარი თანადგომის უნარით. მან შესანიშნავად იცოდა მეგობრობის ფასი, ყველასთან ინარჩუნებდა კეთილგანწყობილ ურთიერთობას, გულწრფელად იზიარებდა მოყვასის სატკივარს... დადიოდა თავის სათაყვანებელ ქალაქში სახენათელი, თხემით ტერფამდე ქართული გენისა და ჯიშის, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კაცი.

რაფინირებული, დახვეწილი ინტელიგენტი, ზნეკეთილი, სასიამოვნო მოსაუბრე, რომელიც სიკეთის ეტალონი იყო. სიდინჯე, შინაგანი კულტურა, მომხიბვლელობა, დარბაისლური მსჯელობა იყო მისი მახასიათებელი. ცხოვრებაში რთული, მაგრამ მეტად საინტერესო გზა განვლო, სამშობლოსა და ხალხის ინტერესებისადმი ბოლომდე ერთგული დარჩა.

ირაკლიზე ბევრი მაქვს მოსაგონარი, მასზე ბევრი კარგის თქმა და გახსენება შემიძლია. ის დიდი ადამიანი იყო, დიდ ადამიანებთან მეგობრობა კი უფლის წყალობაა. ის ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს ჩვენს ურთიერთობას — ჩვენმა მეგობრობამ ათეულ წლებს გაუძლო.

მიუხედავად იმისა, რომ მას სრულიად ახალგაზრდას მიანიჭეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდო — ლენინური პრემია — მეტალურგიაში, ის როგორი თავმდაბალი, მოკრძალებული და უპრეტენზიოც იყო მანამდე, ისეთივე დარჩა ცხოვრების ბოლომდე.

ჩვენ 1980 წელს ერთად მიგვიწვიეს მოსკოვში, სახალხო მეურნეობის აკადემიაში. ჰქონდა უნარი, ნებისმიერი საკითხი განეხილა მხოლოდ სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით. მეცნიერების კორიფეებს, რომლებიც ლექციებს გვიკითხავდნენ და სემინარებს გვიტარებდნენ, აკადემიკოსებს, საკავშირო მინისტრებსა თუ კომიტეტის თავმჯდომარეებს — ყველას ხიბლავდა მისი მსჯელობა ქვეყნის პრობლემურ საკითხებზე. ის მაშინ საქართველოს საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო, მე კი — მშენებლობის მინისტრის მოადგილე.

ორჯერ ვისვენებდით ერთად კარლოვი ვარში. ურთიერთობაში ის ყოველთვის ამჟღავნებდა დიდ სითბოს, სიყვარულსა და პატივისცემას ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ. ირაკლის არ უყვარდა თავისი დაბადების დღეების აღნიშვნა, მაგრამ ცოტა ხნის გასვლის შემდეგ ვიწრო წრეს აუცილებლად შეგვკრებდა და მოგვეფერებოდა.

1982 წელს ჩემს ორმოცი წლის იუბილეზე მოსკოვში, სადაც აკადემიის სახელგანთქმული მეცნიერები მყავდა მოწვეული, აღფრთოვანებით და ხაზგასმით აღნიშნავდნენ მის ბრწყინვალე თამადობას. ვიცნობდი მის სანათესაოს, როგორც უსათნოესი და ულამაზესი დედის, ასევე მამის მხრიდან. ეს ღირსეული ხალხი მაღალი ინტელექტით, წიგნიერებითა და შესანიშნავი გარეგნობით გამოირჩეოდა (მინდელები, აბაშიძეები, ჟორდანიები).

მისმა შესანიშნავმა, ერთგულმა მეუღლემ **ლალიმ** თავდაუზოგავად იბრძოლა ირაკლის სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ...

ერთადერთმა სათაყვანებელმა ქალიშვილმა **თათიმ,** რომელიც ამჟამად უცხოეთში ცხოვრობს, სწორედ იმ დღეებში, როცა ირაკლი გარდაიცვალა, ქვეყანას მოავლინა ვაჟი. უზომოდ სამწუხარო და გულდასაწყვეტია, რომ ვერ მოესწრო ნანატრ პირველ შვილიშვილს, რომელსაც მოუთმენლად, დიდი სიყვარულითა და სიხარულით ელოდა.

ჩემო ირაკლი, შენი შვილიშვილი რომ წამოიზრდება, მოვიყვან შენს საფლავთან, სანთელს დაგინთებ და ვუამბობ ბაბუის კეთილგონივრულ და სასახელო საქმეებზე...

თითქმის ყოველდღე ვსაუბრობდით. ორი-სამი დღე თუ არ შევეხმიანებოდით ერთმანეთს, დამირეკავდა და ხუმრობით მისაყვედურებდა — არ გრცხვენია, ომარ? სად ხარ, რატომ დაიკარგეო... საღამოს ტელეფონის ზარზე, წამიერად გამიელვებს აზრი — ირაკლი ხომ არ რეკავს...

მენატრება შენი ბუბუნა ხმის გაგონება, ჩემო ირაკლი!

რა ვქნა, ძალიან მაკლიხარ, უშენობას ვერ შევეგუე!

ღმერთო, უმრავლე ჩემს სამშობლოს ირაკლის სადარი ღირსეული პიროვნებები, თხემით ტერფამდე ჭეშმარიტი მამულიშვილები...

**ომარ მარგველაშვილი**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22



# პატრიარქი: ჩვენ ვდგავართ განსაცდელის წინაშე, წინაპრების სიწმინდე უნდა შევინარჩუნოთ

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს განცხადებით, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ის სიწმინდე და ტრადიციები, რომლებიც ჩვენს წინაპრებს ახასიათებდათ.**

„ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ის სიწმინდე, ის ტრადიციები, რომელიც ახასიათებდა ჩვენს წინაპრებს. მათ არ ჰქონდათ სიმდიდრე, მაგრამ ჰქონდათ სიწმინდე და ეს სიწმინდე, ეს ძალა ღვთისა, რომელსაც გვაძლევდა ჩვენ უფალი ღვთისმშობლის შუამდგომლობით, ეს სიწმინდე უნდა შევინარჩუნოთ. ჩვენ ვდგავართ განსაცდელის წინაშე, მრავალი განსაცდელი ხდება ადამიანის ცხოვრებაში. განსაკუთრებით ახალგაზრდობა დიდი საფრთხეების წინაშე დგას, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი დაიცავს, დაიფარავს, გადაარჩენს საქართველოს. ნათქვამია, საქართველო გაბრწყინდებაო უკანასკნელ ჟამს და ინებოს უფალმა, მადლი ღვთისა მოვიდეს ჩვენზედა და ძალი მადლისა მოვიდეს ჩვენზედა“, — **აღნიშნა პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას.**

# დედოლარიზაცია — რუსეთი და ევროკავშირი რუბლითა და ევროთი ანგარიშსწორებაზე გადადიან

**რუსეთის ფედერაციის ვიცეპრემიერ ანტონ სილუანოვის პრესმდივნის, ანდრეი ლავროვის, განცხადებით, რუსეთი და ევროკავშირი ქმნიან სამუშაო ჯგუფს, რათა მათ შორის ანგარიშსწორება გადავიდეს რუბლსა და ევროზე.**

უფრო ადრე **სილუანოვმა** და ევროკომისიის ვიცეპრეზიდენტმა **მაროშ შეფჩოვიჩმა** შეხვედრა გამართეს და განიხილეს საკითხი ვაჭრობისას, მათ შორის ენერგომატარებლებით ვაჭრობისას, ანგარიშსწორების ნაციონალურ ვალუტებში — რუბლსა და ევროში — გადაყვანის შესახებ.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ ეროვნული ვალუტების გამოყენების გაფართოება ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება, რადგან ევროკავშირისა და რუსეთის მეწარმეებისთვის რისკებს შეამცირებს. შეხვედრაზე, აგრეთვე, იმსჯელეს ევროპული ბიზნესის მონაწილეობაზე რუსეთის ნაციონალურ პროექტებში.

მხარეებმა გამოთქვეს იმედი, რომ გაფორმდება ეკონომიკური ურთიერთობა რუსეთსა და ევროკავშირს შორის.



**დოლარზე დამოკიდებულების შემცირების აუცილებლობა 2018 წელს განხილვის მთავარი თემა იყო. რუსეთის ხელისუფლება მიუთითებდა, რომ აშშ თავისი სანქციების პოლიტიკით ძირს უთხრის დოლარისადმი ნდობას, ამცირებს ქვეყნის რეზერვების ჩადებას ამერიკის სახელმწიფო ვალში და ხელს უწყობს საგარეო ვაჭრობაში რუბლისა და სხვა ვალუტის მოცულობის მომატებას.** მოსკოვის მტკიცებით, ეკონომიკის დედოლარიზაციის პოლიტიკა არ ითვალისწინებს დოლარის მიმოქცევის აკრძალვას — საუბარია მხოლოდ ეკონომიკურად სასარგებლო პირობებზე სხვა ვალუტების გამოსაყენებლად.

# დონალდ ტრამპმა «ნიუ იორკ თაიმსის» სტატიას მოღალატური უწოდა

### ამერიკული პრესა ტრამპისა და პუტინის შეხვედრის ჩაშლას ცდილობს

**ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გამოეხმაურა The New York Times-ში გამოქვეყნებულ მასალას, რომლის თანახმადაც, აშშ-ის სპეცსამსახურებმა ბოლო წლის განმავლობაში აქტიურად დაიწყეს რუსეთის ენერგოსისტემაში დამაზიანებელი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, ტრამპის განცხადებით, ეს სინამდვილეს არ შეესაბამება.**

„შეგიძლიათ თუ არა, დაიჯეროთ, რომ The New York Times-მა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ამტკიცებს, რომ აშშ-მა, არსებითად, მოუხშირა რუსეთის წინააღმდეგ კიბერშეტევებს“, — წერს ტრამპი „ტვიტერის“ გვერდზე.

ტრამპის თქმით, ამას „ოდესღაც უდიდესი გაზეთის“ მხრიდან მოღალატურ საქმიანობად მიიჩნევს, რომელიც სასოწარკვეთილი ეძებს ნებისმიერ ისტორიას, თუნდაც ეს ქვეყნისთვის დამაზიანებელი იყოს. ამერიკის პრეზიდენტის აზრით, დღეს კორუფციაში ჩაფლული მედია ყველაფრისთვის მზად არის.

„ისინი ყველაფერს გააკეთებენ ან განაცხადებენ, რაც გნებავთ ისე, რომ ოდნავადაც არ დაფიქრდებიან მოსალოდნელ შედეგებზე“, — განაცხადა ტრამპმა და დასძინა, რომ ისინი ნამდვილი მშიშრები არიან.




ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894